


879. 102. 1-1

საამდროვო გამომცემლობა „ნიმარეთი“ ქუთაისში.



თ ხ ზ უ ლ ი შ ა


ბიოგრაფიული მანუსკრიფტის

ქოჩიაშვილისა.


(ჯალაღდების)

ნიმონე

გამოსემა მისი უპილის ბიოგრაფიული მანუსკრიფტის ქოჩიაშვილისა.



ბიოგრაფია—იონა ბეჟინაძისა
კრიტიკული განხილვა ივ. გომართლისა.



ქუთაისი

ი. კილაძის სცემბა.

1913





თ. გიორგი მაქსიმეს ძე მოჩაქიძე.

(1847—1898)

„მიყვარს ფაცხა“ ვინც პირველად იმღერა ქართულ სცენაზე და „მახსოვს პირველად“ ვინც საყმაწვილო წიგნებში დაბეჭდა და ორმოცის წლის განმავლობაში ეს ლექსი ჩვენს ბავშვებს ასწავლა და აზეპირა, ქალადიდელის სახელიც მათ შექმნეს ჩვენს მწერლობაში. იმ დროებიდან დაწყებული დღემდის ეს სახელი სულ ყოველთვის სმენია ქართველ მკითხველს, მაგრამ ის, რაზედაც უნდა დამყარებულიყო თვით სახელი ქალადიდელისა, როგორც მგოსნის— მისია ლექსთა-კრება— არსად იყო ღ ამის გამო ყველა იმ ქრთულ მწერალთა და მწერლობის მოყვარეთ, რომელთაც უწერიათ ან ულაპარაკნიათ ქალადიდელზე და ქებით უხსენებიათ იგი— აკაკის, ნიკოლაძეს, ღიმიტრი შრისთავს, ნიკო ღადიანს, ღავთ შრისთავს, ხახანაშვილს, შანცხავას, ილია შყონიას, ჯანაშვილს, „შევითვატყევე“ მხოლოდ ბანი მიუციათ იმ პოპულიარობისთვის, რომელიც შექმნეს გარეშე შალადიდელის სახელისა „ფაცხის“ სიმღერამ და ერთმა მისმა პატრიოტულმა ლექსმა.

ღღეს, როცა ჩვენი მწერლობისთვის საჭირო შეიქნა საბოლოოდ განსაზღვრული და საფუძველზე

დამყარებული აზრი გამოითქვას ყველა იმ მწერალთა და პოეტთა შესახებ, რომელნიც სამოციან წლებში განახლებულ მწერლობას წინ ეწეოდნენ, ქალადიდელის ერთ წიგნად წეკრების და დაბეჭდვის მოთხოვნილებაც დაიბადა. ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ქალადიდელის შვილმა ბორისმა და ძმებმა პლექსანდრემ და ანტონმა დამავალეს მე მათი მამის და ძმის ნაწერების ერთად შეკრება და დაბეჭდვა, ზედ-დართვით მისი ცხოვრების აღწერისა.

ქალადიდელის ლექსების და სხვა ნაწერების შეკრებას და დასაბეჭდათ დამზადებას დიდი შრომა არ მოუთხოვია ჩემგან, რადგანაც ეს შრომა უკვე გაეწია ჩემზე ადრე და ჩემზე უკეთ ბ. თედო სახოკის. მე მხოლოდ ამისგან შეკრებილ მასალას, ფოთელ მწერლობის მოყვარეთა რჩევით, გამოვაკელი ოციოდე ლექსი, რომელიც არც თვით მგოსანს უცვნია ღირსად დაბეჭდვისა*). ცხოვრების აღწერისთვის კი, თუმცა რთული არ იყო ბიორგის ცხოვრება, მე ცოტა შრომა კი არ დამჭირებია და ძებნა სხვადასხვა დაწესებულებებში (სხვათა შორის ქუთაისის გუბერნიის სამმართველოში) და დღეს, როცა ამ ნაწერს ვგზავნი დასაბეჭდათ სტამბაში, გამომცემლის ისიდორე ძვიცარიძის დეზით ანაჩქარები, ვგრძნობ რომ ცხოვრების აღწერა არ არის სრული, რომ ეს აღწერა, დრო რომ მქონოდა, იქნე-

*) არ დაბეჭდა შემდეგი სათაურების ლექსები: „აბა თუ იცნობთ“, „მშვიდობით“, „ბედნიერნი“, (ვარიანტი) „მგელი ცხვრის ტყავში“, „სიყვარული“, „X-სს“, „კეთილშობილი არშისი“, „ჩიქორთულა ლექსი“, „ოდეს უქლორა“, „ამაყს მეგობარს“, „გახსოვს, ტურთაე“, „მე ხშირად მესმის“, „ხეები მეტად ხარობდნენ“, „ვის რა უჯის“, „შვიერი შვილი“, „გულდა, თხა და ძაფი“, „ვირი დარჩება ვირადა“, „სიზმარი“, „Серпѣю“ და სხვა.

III.

ბოდა უფრო შეზავებული ჩვენი მწერლობისა და ისტორიისთვის საჭირო მასალებით. მე დიდი ხანია ფიქრად მქონდა გიორგის ცხოვრების აღწერით შესარგებლნა და მეგრელ მწერალზე ლაპარაკის დროს ქართულ-მეგრულის ურთიერთობაზეც ჩემი აზრი აქ დალაგებით გამომეთქვა, მაგრამ ჩემდა სამწუხაროდ, სწორედ მაშინ, როცა მე უნდა შემეღვინა ზიორგის ცხოვრების აღწერა—ბოდიშს ვიხდი ამის თქმისთვის—თვით ჩემი ცხოვრება შესცვალა მოულოდნელათ დროთა მდინარეობამ და „თუ რაც მინდოდა ვერა ვთქვი“, აპატივეთ ჩემს მდგომარეობას: ნახტომ შემლილი ვიღებ ხელში კალამს ქალაქიდელოს ვინაობის მოსათხრობად.

I.

ქოჩაქიძეების წინაპარი.—ზიორგის დაბადება.—მისი დედ-მამა.

ქოჩაქიძეების წინაპარს საქართველოს მატთანე პირველად იხსენიებს მეთორმეტე საუკუნეში, თამარ მეფის დროს „**მდეს ზაქარია მხარგძელმა ბრძოხორასნელთა დროსა თამარ მეფისასა, ამბობს ძველი ხელთნაწერი, პროფესსორი ჩუბანაშვილისაგან გამოქვეყნებული***), მაშინ ქოჩანველი მთავრის ძე, მცირე ყრმა, მოიყვანა მძევლად. მსე ყრმა მონათლეს ქრისტეანედ და და დაასახლეს **მდიშში** და იწოდებოდა თავადად ქოჩაქიძედ“. ჩვენი ქვეყნის მთავარი მატთანე „ქართლის ცხოვრება“ ქოჩაქიძეს არ იხსენიებს, როცა მოგვითხრობს ზაქარია მხარგძელის გალაშქრებას ერას და ადგილსა ხვარონისა-

*) ნახე ჟურნალი „ივერია“ 1884 წ. № XI—XII გვ. 137.

სა, მაგრამ საკმაოდ ნათლად აგვიწერს ამ გალაშქრებას. „აწ ბრძანოს მეფობამან თქვენმან—მოახსენეს მეფეს მხარგძელმა ზაქარია სპასალარმა, მსახურთ — უხუცესმა იოანემ და მარამ ბაგელმა—რათა არა ცუდად ვაუქმოთ სპანნი თქვენნი და დავიწყებასა მიეცეს სიმხნე მათი, არამედ აღვამხედროთ ერაყს რომ გვარსა ზედა რომელ არს ხვარასანს რათა სცნან ყოველთა სპათა აღმოსავალისათა ძალი და სიმხნე ჩვენი: ან უბრძანეთ სპათა საქართველოსათა, რათა მზა იყვნენ ლაშქრად ხვარასანს დაღათუ არავინ ქართველთაგანი მიწვენილ არს მუნ ხვარასანს და ერაყს არამედ ბრძანე რათა ნიკოფსიითა დარუბანდამდის აღიქურვნეს და მზა იყვნენ საომრად*). მეფემ ნება დართო დიდებულთა და ქართველობა გაელაშქრა ხორასანს. სხვა მათიანეს სხვა წყაროებიდან შეუტყვიან, რომ ჭოჩაქიდის წინაპარი ამ გალაშქრებიდამ მოსულა პირველად საქართველოში „ქუშანგიდამ“, ან ჭოჩანგიდამ.

შორეული ჩამომავალი ამა თუ სხვა წინაპრისა, თავ. გიორგი ჭოჩაქიძე (ქალადიდელი) დაიბადა 15 ივნისს 1847 წ. სოფ. შერსათს, იმერეთში.

ღედა ბიორგისა მართა იყო ასული მლიზბარ მოსიძისა, ფერსათის მცხოვრების; მამა თავადი მაქსიმე ბერიძე ქალადიდის მებატონე. შმაწვილობის დროს მაქსიმე დიდხანს ახლდა საფრანგეთის კონსულს ბამბას, რომელსაც ეკუთვნის შესანიშნავი აღწერილობა კავკასიისა „Voyage dans la Russie meridionale“. ამასთან—ვარდ-ციხეს—მაქსიმემ სხვა სიკეთესთან ფრანგულის ენის ცოდნაც შეიძინა. მუთაისის გემნაზიის საკმეებში მე ვნახე

*) „ქართლის ცხოვრება“ გამოცემა ბროსესი ნაწ. 2 გვ. 328-

ერთი მისი წიგნი დაწერილი ფრანგულს ენაზე. რუსულის უცოდინარი, მაქსიმე სწერდა გემნაზიის დირექტორს ლევანდას ფრანგულად:...

„J'ai l'honneur de vous adresser un certificat de docteur qui atteste la maladie de mon fils Georges. J'ai espoir en votre bienveillance et que le retard apporté aux études de mon fils ne sera pas, grâce à l'intérêt particulier que vous portez à la jeunesse mingrélienne, préjudiciable à son avenir“...¹⁾)

ამბობენ, გამბას ცოლს უნდა ეშვილნა მაქსიმე, მაგრამ ამან კათოლიკობის მიღებაზე უარი განაცხადა და მისი შვილად აყვანა არ შედგა. შემდეგში, როცა ლავით ლადიანი გამოავრდა სამეგრელოში ამან მაქსიმე დანიშნა თავის წარმომადგენლად, ან როგორც იმ დროში ამბობდენ, სამეგრელოს ვეჟილად თფილისში და შოჩაქიძემ რამდენიმე ხანი ამ თანამდებობაში გაატარა. მერმე მაქსიმე, როგორც გამოცდილი და ნიჭიერი მოხელე, ლავით ლადიანმა დანიშნა მარტვილის მაზრის მდივანბეგად. ლავით ლადიანი დიდად თურმე პატივს ცემდა მაქსიმეს. ტირილში რომ თავის მაგიერ კაცს გაგზავნიდა, მისგან განაგზავნი კაცი ან ბრიგოლ ტარიელიჩი იყო (ლადიანი) ან მაქსიმე შოჩაქიძე, რომელთაც უქებდენ ენაწყლიანობას სამძამრის თქვაში. მსეც ერთი საქმე იყო ჩვენს ქვეყანაში.

რუსის მოავრობა რომ დამკვიდრდა სამეგრე-

¹⁾ საქმე по алфавиту № 37.

ლოში შემდეგ გლახთა ამბოხების დაწყნარებისა. მაქსიმე დაინიშნა სენაკის კომისარად, ე. ი. სენაკის პოლიციის მოხელედ. აქ ის დიდ-ხანს არ დარჩენილა. მრთი წლის შემდეგ მაქსიმე მიუბრუნდა შინაურობას, და მთელი მისი, სიცოცხლე იმან შვილების აღზრდას შესწირა.

II.

პირველი სამეგრელოს სასწავლებელი რუსულ ენაზე — პირველი სწავლულები.— გიორგის შესვლა ქუთაისის გემნაზიაში.— მისი ამხანაგები.

გიორგის სწავლის დრო რომ დაუდგა, სამეგრელოში მარტო ერთი სასწავლებელი იყო და ეს სასწავლებელი სწორედ იმ მაზრაში არსებობდა, რომელსაც განაგებდა მამა მისი მდივანბეგი მაქსიმე ჭოჩაქიძე. მე ვამბობ მარტვილის სასულიერო სასწავლებელზე.

მარტვილის სასწავლებელში, რომელიც დაფუძნდა 1830 წელს „განვითარებისათვის სასულიეროთა ყრმათა“, როგორც სწერდა სამეგრელოს მთავარს ლევან დადიანს კავკასიის მთავარ-მართებელი პასკევიჩი ერევნისა,*) გარდა „სასულიეროთა ყრმათა“ იზრდებოდნენ სამოქალაქონიცა. 1852 წ. ამ სასწავლებელში სწავლობდა 37 სასულიერო წოდების ბავში და 5 სამოქალაქო. სამოქალაქონი ჯერ კიდევ ცხენსა და უნაგირს უფრო ეტანებოდნენ და ქორ-მიმინოს, ვიდრე სწავლას. მაქსიმე ჭოჩაქიძეს შეეძლო მისი შვილი ამ სასწავლებელში შეეყვანა, მაგრამ როგორც ქობულეთში იტყვიან,

*) წერილი 8 თებერვ. 1880 წ. № 620. ნახე ქუთაისის გუბერნიის სამართველოში. Дѣло Канц. Владѣтеля Мингрелин № 2406/80.

ის „ნაკითხი“ კაცი იყო და ნამყოფი და ამის გამო მარტვილის სწავლას ის არ დასჯერდა თავის შვილისთვის. იმან განიზრახა გაეგზავნა ბიოგრაფი თვალისს.

სამეგრელოს გარეშე სწავლის მაძიებელნი ამ დროს იშვიათნი იყვნენ. შინც ცხენის-წყალს გაღმა შკოლაში გააპირებდა შესვლას, იმას მთავრის მოწმობა უნდა წაელო, რომ ნება ქონოდა გარეშე შკოლებში შესვლისა და ამ გვარი მოწმობა სულ რამდენსამე კაცს-ღა ქონდა გატანილი. მთავრის კანცელიარიის საქმეებიდან ჩანს, რომ ამგვარი მოწმობა ეთხოვნათ მთავრისთვის: საქილაოდან ქონსტანტინე ნანეიშვილს, მარტვილიდან პლექსი სტეფანეს ძე ჭალაგანიძეს, ბანძიდან პლექსანდრე ხიტუის ძე შალავას*). ზეპირ-გადმოცემით გამიგონია ამ გვარივე მოწმობა გაუტანიათ მთავრის კანცელიარიიდან რამდენსამე თავად აზნაურს — ღადიანს, ჩიჩუას, შალავას, ლოლუას, ზაბუნიას. როგორც გამიგონია ბრიგოლ ბურიელისგან, მთავარმა ღავით ღადიანმა გაუჭივრა ტარიელ ღადიანს ამ გვარი მოწმობის მიცემა. ქონსტანტინე ზაბუნიამ, მელიტონ ღადიანმა, ანდრია ზეგეკეკორმა, ლევარსაბ ლოლუამ, რომანოზ გაბუნიამ მოწმობა დაუბრკოლებლად მიიღეს და პირველმა მეგრელებმა დაამთავრეს სწავლა ორთა პირველთა ქუთაისის უეზდის სასწავლებელში და მესამემ თფილისის სასწავლებელში სემინარიაში. ამათ სიას რომ დავსძინოთ მარტვილის სასწავლებელში სწავლა დამთავრებულები მეგენი ღკებუაძე, ქოსტა აღშიბაია, ანდრონიკე სა-

*) ქუთაისის გუბერნიის სამართველოში ნახე Дело канцелярии Владѣтеля Мингрелии № 898/49.

ლაცია, იოსებ შაბუნია და ზრიგოლ ანჯაფარიძე, ჩვენ თვალ-წინ დაგვიდგება ჯგუფი იმ მეგრელებთა, რომელთაც პირველად მიიღეს სწავლა რუსულს. ენაზე აგებულ სასწავლებლებში.

მაქსიმე შოჩაქიძეს განუზრახავს თავის შიორგი-მიეცა თფალისის კეთილ-შობილთა სასწავლებლის პანსიონში და ამის შესახებ საჭირო თხოვნა გაეგზავნა იმას კავკასიის მთავარ-მართებელთან.

პასუხად ამა თხოვნისა სამეგრელოს მთავარს ღვით ღადიანს მოუვიდა კავკასიის სამოსწავლო-ოლქის მზუნველის ბარონ ნიკოლაისაგან შემდეგი წერილი:

Милостивый Государь

Кн. Давидъ Левановичъ.

Директоръ Канцелярїи Намѣстника Кавказскаго препроводилъ на мое заключеніе докладную записку Мингрельскаго Владѣнія Мартвильскаго Окружнаго мдиванбега прапорщика кн. Максима Кочакидзе о принятїи сына его Георгїя, имѣющаго 6 лѣтъ отъ роду въ благородный пансіонъ при Тифлисской Дворянской гимназїи. Вслѣдствїе сего имѣю честь покорнѣйше просить, Вашу Свѣтлость, приказать объявить просителю, что на основанїи Полож. о Кавк. Учеб. Округѣ, въ Тифлисскомъ пансіонѣ не полагается воспитывать на казенный счетъ сыновей Мингрельскихъ князей и дворянъ, но въ благородномъ пансіонѣ при Кутанской гимназїи опредѣлено для нихъ пять вакансій и назначенїе на оныя пансіонеровъ предоставлено усмотрѣнїю Вашей Свѣтлости.—При этомъ нужнымъ считаю присовокупить, что Кутанскїй пансіонъ имѣетъ быть открытъ въ концѣ 1854 или 1855 года, т. е. тогда, когда сынъ князя Кочакидзе до-

IX.

·стигнеть надлежащаго возраста для приёма въ заведение положеннаго.

Примите увѣреніе въ отличномъ къ Вамъ почтеніи и таковой-же преданности,—Баронъ Николаи. *)

ამ წერილს თანახმად, ზიორგი ქოჩაქიძე მიიღეს ქუთაისის გემნაზიის პანსიონში 7 სექტ. 1859 წელს. პირველს ხუთს წელში გაათავა ზიორგიმ მოსამზადებელი და ოთხი პირველი კლასები; მეხუთე და მეექვსეში ის სწავლობდა ორ-ორ წელს და შემდეგ კლასი დაამთავრა 1869 წელს, (მერვე კლასი მაშინ არ იყო).

სხვადასხვა დროს მასთან ერთად სწავლობდნ: ლევან ჩიჩუა, დიმიტრი ლადიანი, შანშე მხეიძე, ლავით ჩხოტუა, რომან მაჭავარიანი, ვარლამ შრისთავი, ივანე მესხი, მიხაილ და ივანე ბეგიძეები, როსტომ წერეთელი და თომა ჩიკვაიძე.

III.

ზიორგი გემნაზიის პანსიონში.—მისი ავთომყოფობა.—როგორ ასწავლიდნ გემნაზიაში ქართულენას.—სტუფ. ძიმისტარაშვილის და ლევან ჩიჩუას მოგონება.

ბევრს ქოჩაქიძის თანამედროვეს ვსთხოვე დაეხატა ჩემთვის ამ წერილში მოსათავსებლად ქოჩაქიძის დროს სწავლა გემნაზიაში და თითონ ქოჩაქიძის სურათი; მაგრამ ჩემი აჯა ვერავის შევასმინე, გარდა განსვენებულის სტუფანე ძიმისტარაშვილისა. ქოჩაქიძის აზნანავი ივანე მესხი ერთ-ხანს მპირდებოდა თავის მოგონებას, მაგრამ როცა დამიგვიანა და დამიგვიანა, მე იმას დანაპირების ამოსაღებად ზოგადი ნაცნობი მიუჩინე ბოქაულად, „სუღებნი

*) 23 დეკ. 1852 წ. № 2652.

პრისტავად“, გარნა როცა ჩვენი ნაცნობი მეორე-
ჯერ მისულა მასთან, ივანეს ასე ეთქვა: ნამდვილ
„სულებნი პრისტავს“ რა წაუღია ჩემგან, რომ შენ
გაგატანო“ და არა დამახმარა რა ამ წერილისთვის.

ღმერთმა ისევ სტეფანე ძიმასტარიშვილს უშ-
ვეოოს, მე მხოლოდ იმან დამიხატა ზიორგის დრო
გენაზიაში და თვით ზიორგის სურათი.

სტეფანეს აწერილობით ზიორგი ძლიერ კარგი
და მოხდელი ყმაწვილი კაცი იყო, მარჯვე, მოს-
წრებული, ბურთის სამაგალითოდ მოთამაშე, ჩინე-
ბული გიმნასტიორი, ფეხ მარდი, იმ ზომამდის ფეხ-
მარდი, რომ გაქცეულს ზიორგის, როგორც ამბო-
ბენ, ლადიანის მწვევარიც ვერ დაჟწეოდა. მისი და-
ახლოვებული მეგობრები იყვნენ: ლევან ჩიჩუა და
როსტომ წერეთელი, სამნივე სამხედრო მისწრაფე-
ბით გამსჭვალულნი, საბოლოოდ სამნივე ამ სანსახურ-
ში შესულნი. ამ დროის გენაზიაში ლევან აბაში-
ძის მათაურობით მოსწავლეთაგან შემდგარი მოქეი-
ფე ჯგუფი არსებობდა და ამ ჯგუფში ზიორგი ძო-
ჩაქიძეს თვალ-საჩინო ადგილი ექირა. მათ სალა-
მოს—ეს სხვისგან მაქვს განავონი—ეს ჯგუფი გა-
დახდილი ფაეტონით მიაღვა თურმე ერთს პატივ-
ცემულ ოჯახს, რომელშიაც რამდენიმე ქალიშვი-
ლები იყვნენ და ეშხით წაღებულთა დაიწყეს სერე-
ნადის მღერა. ღიდხანს თურმე იმღერეს, სანამ ქა-
ლიშვილებმა თუნგის წყალით არ გაუგრილეს ამათ
ზემოდან მათი გულის სიმხურვალე. მარლამ მარი-
სთავს დღესაც უნდა ახსოვდეს რაც დღე დააღდა
ამ სალამოს მოქეიფეთა ჯგუფს.

ბურთში, კიდაობაში და ქეიფში გართულ ქო-
ჩაქიძეს ძიმასტარიშვილი სწავლის ნაკლებობას უჩი-
ვის. „ცუდათ სწავლისთვის“ ერთ დროს ზიორგი

ვითომ სულ უნდა დაეთხოვათ გემნაზიიდან, მაგრამ ივანე მოსიძის და ბიორგი ზვათუას თხოვნით ის ხელ-ახლა მიეღოთ სასწავლებელში. რომ დავეკითხე ამ საგანზე ბიორგი ზვათუას, იმან შემდეგი მიაშობო: მეხუთე კლასში იყო, თუ მეექვსეში კარგათ არ მახსოვს, ბიორგი მძიმედ ავად გახდა და მე წამიყვანეს მის მოსარჩენად ბორჯომს, საცა იმას ექიმობდა დიდი მთავრის მკურნალი ლიუბაუ. სხვათა შორის, მახსოვს ეს ექიმი (კიპიდარს გვანთებებდა ბიორგის ოთახში. ჩამდენიმე თვის შემდეგ, როცა, ბიორგი მომჯობინდა, ის ჩამოვიყვანეთ ქუთაისს, მაგრამ გემნაზიის დირექტორს არ უნდოდა მისი მიღება და მხოლოდ, როცა იმას გამოესარჩლა ბრიგოლ ლადიანი, ბიორგი მიიღეს გემნაზიაში, რომელიც იმან სრულად დაამთავრა 1869 წელს.

ქართულ ენას გემნაზიაში ჯერ ასწავლიდა ივანე მოსიძე, კვიდრი ბიძა ბიორგისა და შემდეგ დეკანოზი შუთათელაძე. მოსიძე ჩინებული მცოდნე იყო ქართულის ენისა და თითონ სწერდა ლექსებს. შუთათელაძის დროს კი რა რიგათ მიდიოდა ქართულის ენის სწავლება ამას დიმიტარიშვილი აგვიწერს შემდეგს, საგანგებოდ ამ წიგნისთვის დაწერილს სცენაში.

„სცენა წარმოადგენს სასწავლებლის ოთახს და მის მიდამოს. სასწავლებელთა ოთახიდან გამოდის ოთხმოცდათის წლის ღრმით მოხუცებული გრძელ თეთრ-წვერა მასწავლებელი. მათ ხელში ეურნალი (ტომარაკი) უჭირავს და მეორეში სათვალე, ძლივს მიდის კლასში. კლასიდან გამოგზავნილია ორი-სამი უმაწვილი და უყარაულებს მასწავლებელს. უმაწვილები დაინახვენ თუ არა მასწავლებელს ასტეხენ სიცილს და ხმაურობას: ერთი მათგანი შეირბენს

XII.

კლასში და დაიწყებს ყვირილს: „ბატონი მოდის, ბატონი მოდის“. ღანარჩენი ორი გამოჟღვლება მასწავლებელს, ერთი ჟურნალს ჩამოართმევს, მეორე შენდობასა სთხოვს, ხელზე კოცნის და ასე მიიყვანე კლასის კარებამდი, სადაც სხვა ყმაწვილებიც მიესალმებიან.

პირვ. ყმაწვილი. მადლობა ღმერთს, ბატონო, მშვიდობით მობრძანდით!

მეორე. ღმერთო, დიდ-ხანს გვიცოცხლე ბატონი.

მასწავლებელი. ჩუმათ იყავით, ბავშვებო, თორემ გერ ინსპექტორი მოდის.

მესამე. ბატონო, თურმე დირექტორიც უკან მოყვება.

მასწავლ. შენ, უბედურო, რას სცელქობ? ღანარდი, თორემ კარცერში ჩაგსვამ.

შმაწვ. ბატონო, ოღონდ თქვენ გვიბრძანეთ და ამას (უჩვენებს ამხანაგზე) შკატში შევამწყვდევ.

მასწ. შენ რა გვარისა ხარ, ბოშო!

შმაწვ. მე, ბატონო, ერისთავი გახლავარ.

მასწ. იცი, ბოშო, შენი გვარი საიდან წარმოსდგა?

შმაწვ. არ ვიცი, ბატონო.

მასწ. მაშ ყური მომიპყარ: შენი გვარი წარმოდგა ერისა და თავისაგან. მრი ქვია ხალხს; შენს წინაპრებს მეფეები ხალხის ან ერის უფროსად — თავკაცად აყენებდენ და აქედან მომდინირეობს თქვენი გვარი მრისთავი.

შმაწვ. ბატონო, მაშ თქვენც ამეების (ამხანაგებზე უჩვენებს) თავად მე დამნიშნეთ.

მასწ. შენ თავად კი არა ბოლოთაც არ გამოდგები.

შმაწყ. ბატონო, შენი ჭიკაძე.

მასწ. კარგია, ნუ ლაყბობ.

შმაწ. ბატონო, ამის გვარი საიდან წარმოსდგა?

მასწ. ეს რა გვარისაა?

შმაწყ. მე, ბატონო, გოგობერიძე ვახლავარ.

მეორე ყმაწყ. მე ვიცი, ბატონო, გოგობერიძის გვარი საიდან წარმოსდგა.

მასწ. აბა სთქვი.

შმაწყ. ზოგობერიძე წარმოადგა, ბატონო, გოგოსაგან და ბერისაგან.

მასწ. დააცხვრე ენა შენი ბორბოტისაგან და ბაგენი შენნი ნუ იტყვიან ზაკვასა.

შმაწყ. ბიჭო, გამოაცხვე ენა შენიო, ბატონი ბრძანებს.

მასწ. გამოაცხვე კი არა, შე უბედურო, ნუ ლაქლაქობ მეთქი (მიუბრუნდება მეოთხე ყმაწვილს) ბოშო, შენი გვარი?

შმაწყ. ძანდელაკი, ბატონო.

მასწ. პირველ დაწყებითი სახელი რომელია?

მეორე ყმაწყ. მვაა, ბატონო, მვა.

მასწ. ვისი ევა, რისი ევა, რას ტუტუცობ, ბიჭო?

შმაწყ. ბატონო როგორ არ იცით? ჩვენი მვა, ადამის ცოლი. პირველ დაწყებულში ის არის. ადამი რომ შეაყვინდა და ლეღვი აქამა, ღმერთმა დასწყევლა მვა და უბრძანა: მწუხარებითა და კუსუნებითა შენითა შობდე შვილსა შენსაო.

მასწ. ხა, ხა, ხა! ჰო, შე სულელო, პირველ დაწყებულში კი არა, პირველ დაწყებითი სახელი ძანდელაკის გვარისა, ე. ი. სათავე ამ სიტყვისა რომელია, საიდან წარმოსდგა?

შმაწყ. ძანდელაკის სათავე, ბატონო, ნიკურა-

ქვა, პირველ დაწყებითი ნაკურაძე გახლავს და აქედან წარმოსდგა ძანდელაქი.

მასწ. საიდან იცი შენ ეს, ბოშო?

შმაწვ. მამაჩემისაგან გავიგონია.

მასწ. ჰოო, ცხონდა მამა შენი! მართალი უთქვამს. ეს ძანდელაქე'ი კულაშელი ნაკურაძეები არიან, მხოლოდ დროთა ვითარების გამო ძანდელაქეებად მონათლულან.

მართი ყმაწუ. მეორეს. ბიჭო, ყოვლის ფერი სკოდნია ჩვენს ბატონს: მოისთავო, ზოგობერიძე, ძანდელაქი, ნაკურაძე და ვინ იცის კიდევ რამდენი ეცოდინება.

მეორე ყმაწვ. რას ლაპარაკობ? მაშ ასი წელიწადი ტყვილად იცოცხლა, რომ ამისთანაები არ იცოდნენ? ხელობა რა იყო?

მასწ. (მოაკონდდება, რომ გაკვეთილი უნდა მისცეს მოსწავლეთა) შენ რა გვარი ხარ? კითხავს სხვა ყმაწვილს?

შმაწვ მე, ბატონო, ჩიკვაიძე გახლავარ.

მასწ. მე გიკარნახებ და შენ სწერე დაფაზე.

შმაწვ. რა'ს მიტრამახებ, ბატონო.

მასწ. გიდიკტოვკებ, გიდიკტოვკებ, ახლა ხომ გაიგე ქართული. არიან ნიშანნი მართლ-წერისანი. (ყმაწვილი ვერ ახერხებს წერას; მასწავლელთა ცარცს გამოართმევს და თითონ ხელს-კანკალით განაგრძობს), რომელნიცა ცხადსა ბრწყინვალეებისა მოგვეცემენ ანუ სიტყვისა, ანუ ლექსისასა, ანუ ასოსასა, რომელთაცა ნიშანნი და სახელნი არიან ესენი: მძიმე, წერტილი, საკითხავი, შემკვრელი, გარდასატანი, ფრჩხილი, სხოლიო, მახვილი, ბრჯკუ, კრებული, განსაკვირველი, საუფლო, სამთავრულო და საზოგადო. ეს ნიშნები ზეპირად დაისწავლეთ ბავშვობა.

შმაწვ. (უჩვენებს რვეულს) ეს, ბატონო, მე დავსწვრე.

მასწ. ამას ღრამატიკული კანონები აკლია; აქ უნდა დაუსვა წერტილი.

შმაწვ. ბატონო, მე წერეთელი კი არა ჩიკვაიძე გახლავარ.

მასწ. ნუ ბრიყვობ, მათხოვე კარანდაში.

შმაწვ. არ მაქვს, ბატონო, კარანდაში დავკარგე.

მასწ. ლავგარგე რა ქართულია? უნდა სთქვა კარანდაში წარვსწყმიდე. ბავშვებო, თქვენს მამებს კითხეთ იქნება კალმასობა ქონდეს და მომიტანეთ.

შმაწვ. ჩვენი მამები რა საკიროა, ბატონო, ძურცოვის მაღაზიაში მეტი რა არის?

მასწ. რას ამბობ, ბოშო!

შმაწვ. კალმასი, ბატონო, ძურცოვის მაღაზიაშია. პონშონი *) სულ იმას არ სჭამს?

მასწ. შე უგუნურო, კალმასი კი არა, კალმასობა. ძალმასობა საკითხავი წიგნია“...

მს სურათი ძიმასტრიშვილისა დაადასტურა ბიორგის ამხანაგმა ლევან ჩიჩუამაც და თავის მხრით დასძინა:

ბმირთა ღრო იყო ჩვენი ღრო წერეთლის ბაღში ჩვენ რომ პურთაობას გავმართავდით ჩვენი მომრევი არავინ იყო. ხანდახან ზემოდან ჩამოდიოდნენ სასულიერო სასწავლებლის მოსწავლენი, მაგრამ ჩვენთან ვერც ისენი ხდებოდნენ რას და ვერც ქალაქის მობურთაღნი. მრთხელ ამბავი მოგვიტანეს ვითომ ერთი ჩვენი გემნაზიელი შესულიყო ნებარულების სახლში და იქ ეს ყმაწვილი გაელახათ ვი-

*) ფრანგული ენის მასწავლებელი იყო.

ლაცაებს. ეს რომ შევიტყვეთ ვიგზიანეთ გემნაზი-
ლებმა. მივარდით იმ სახლს და სულ ერთიანათ
მივლევ მოვლევით მანდაურობაო.—

ქართულს გარდა ამ დროს გემნაზიაში თათ-
რულსაც გვასწავლიდნო, თქვა ლევან ჩიჩუამ. თათ-
რულის მასწავლებელი იყო **მმარ ეფენდი**; ჩალ-
მიანი, ხალათით მოსილი. ახირებული კაცი იყო ეს
მასწავლებელი. ჩვენს ამხანაგს ძალმიგოროდსკის,
რომელიც კუდათ სწავლობდა ოათრულს, იმან პა-
ლურის სიმწარე ამ სიტყვებით აგრძნობინა. „ი-
ათუდა თებე დამ, ნაგალავა ფაილოთ“, დაემუქრა
თურმე მოსწავლეს მასწავლებელი, თუ კარგად არ
ისწავლი გაკვეთილსაო.

როგორც სჩანს გემნაზიის საქმიდან, ზიორგიმ
ჩინებულათ იცოდა: ისტორია (4) გეომეტრია (5)
ფიზიკა (4) გეოგრაფია (4) ქართული ენა (5) მხატ-
ვრობა (4). რუსულში კი ის სუსტი ყოფილა. სა-
შვალი ნიშანი, ეგზამენის დროს მისგან მიღებული
იყო $3\frac{7}{17}$. ამის გამო ზიორგის გემნაზიის პედაგო-
გების რჩევამ ატესტატის მიცემაზე უარი უყო. ზი-
ორგი გამოვიდა გემნაზიიდან 15 ივნისს 1869 წ.

IV.

ნესტორ წერეთლის და ზიორგი ლოლობერიძის საღამოები
ქუთაისში.—მიდრეკილება საქართველოს ინტელიგენციისა
სამხლვარ-გარეთ სწავლისადმი.—ზიორგის წასვლა რუსეთში.

გემნაზიის დამთავრების შემდეგ, ერთხანს ვერ
გამოირკვა რაგვარათ უნდა წარმართულიყო შოჩა-
ქიძის მომავალი.

სამოციანი წლების ბოლოს ქუთაისში რამდე-
ნიმე ოჯახი იყო, საცა თავს იყრიდა იმ დროს ქარ-

თული საზოგადოება. თავად-აზნაურობას და სამსახურის კაცებს ფიანდაზა ქონდა გაშლილი სტუმრობით განთქმული ოჯახი გუბერნიის მარშლის ნესტორ წერეთლისა, თვისის ლხინითა და თამაშობით სალამ-სალამობით. ძართული მწერლობის და საქმეთა მოყვარე საზოგადოება, ის რასაც ეძახიან ქართულ ინტელიგენციას, იკრიბებოდა ბიორგი ლობერიძესთან, რომელსაც კვირაში ერთი დღე ქონდა დანიშნული—jour—Fixe—და ამ დღეს, სალამობით, მის სახლში ეს საზოგადოება წართავდა სალიტერატურო სალამოს, საცა იკითხებოდა ჩვენი მწერლების ახალი ნაწარმოები. სხვათა შორის ამ სალამოებში ხშირათ კითხულობდა თავის ლექსებს თ. მამია ბურიელი. დანიშნულ დღეს აქ შეხვდებოდა კაცი: აკაკის, ლიმიტრი ბაქრაძეს, პეტრე ნაკაშიძეს, სოლომონ ლეონიძეს, მროთეი სიღამონოვ მრისთავს, ლავით ბაქრაძეს, ლათა მრისთავს, ბერასიმე ძალანდარიშვილს და სხვათა, რომელთაც ჩვენი მწერლობის სიყვარული გულში ქონდათ დაწერგული*). აქ ჩახავდა კაცი, თუმცა იშვიათათ, ბიორგი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძეს და სერგი მესხის, შემქნელთა და დამფუძნებელთა ახლის გაზეთისა და ჟურნალის, რომელნიც უფრო თფილისში სცხოვრებდენ...

თავის დროზე ამ სალამოებმა კარგი ზედგავლენა იქონიეს ქუთაისის ახალ-გაზღობაზე. მოზარდი თაობა უფროსის კლასებისა, თუ საშუალო სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი „უღკაშ აშლილნი, წვერგამო“ აქედან სწავლობდენ, რომ არა პურითა მხოლოდ შეეძლო კაცს ცხოვრება, რომ

*) დავით ბაქრაძისგან განაგონი.

XVIII.

მამულის შვილთათვის, გარდა საგნების შესწავლისა და სამსახურის ერთგულებისა, საჭირო იყო ეროვნული გრძნობის აღზრდა და განმტკიცება, სიყვარული ქართულის ენისა, მწერლობისა, ისტორიის, კულტურის.

შალადიდელმა სავსებით ისარგებლა ამ ვიწრო წრის ზედგავლენით. იმან ჯერ ისევ გემნაზიაში დაიწყო ქართულის წერა და ორის წლის განმავლობაში დასწერა ოციოდე უმეტეს ნაწილად მამულის სიყვარულით გამსჭვალული ლექსები და ეს ლექსები ჯერ კიდევ ახალი ხილი ჩვენში, „დროებაში“ სიამოვნებით დაუბეჭდა მას.

მაგრამ რა რომ გემნაზია გაათავა ზიორგიმ, იმას ან სწავლის გაგრძობა ეჭივრებოდა უმაღლეს სასწავლებელში, ან სამსახურში სადმე შესვლა. ათასში ერთხელ ლექსების წერა და უსაქმოდ ყოფნა არ იყო მიზანი ცხოვრებისა გემნაზიაში სწავლა დამთავრებულისათვის.

ზარნა გემნაზიაში სწავლა დამთავრებული ქართველობა, უმაღლესი განათლების მოსურნე, ამ დროს, ცოტა არ იყოს გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო. მოწინავე ქართულ საზოგადოებაში იმ ჟამად გავრცელებულ—იყო ის აზრი, რომ რუსეთის მაღალი სასწავლებლები აძლევენ ქვეყანას მარტო ჩინოვნიკებს და არა ქვეყნისთვის გაშოსადგე მუშაკთა და ამის გამო მოსწავლეთა შორის დაიბადა ის აზრი, რომ ვისაც უნდა რამე სარგებლობა მოუტანოს ჩვენ ქვეყანას, ვინც ზრუნავს არა მხოლოდ თავის სარგებლობაზე არამედ საქართველოს აღორძინებაზე ის უნდა მიესწრაფოდეს სასწავლებლად არა რუსეთში, საცა სწავლა-განათლება გადმოჰანილია ევროპიდან, არა-

მედ პირდაპირ ევროპაში. იმ დროს „დროების“ რედაქტორი სერგი მესხი სწერდა თავის გაზეთში: „ჩვენი უკანასკნელი თაობა ათასის მაგალითით დარწმუნდა, რომ ჩინოვნიკობა არც საკუთრად იმათ და არც, საზოგადოდ, იმათ სამშობლო ქვეყანას მაგდენ სარგებლობას არ აძლევს და კეთილს არას ჰმატებს. ეს მოაზრება დიდი ხანია ცაადი და ადვილად შესამჩნევი უნდა ყოფილიყო იმათთვის, რომ მელნიც გონებით დაბრმავებულნი არ იყვნენ და ჩვენ ნასწავლ ჩინოვნიკების ცხოვრებასა და ყოვალქცევას ხედავდნენ. მაგრამ ნაოქვამია: ქეშმარიტება სწორი გზით არას-ოდეს არ მოინახებაო. რაკი ჩვენი ახალ-თაობა ნამდვილათ დარწმუნდა, რომ ეს ძველი გზა ყოველ შემთხვევაში გამოუსადეგარი და ხანდახან მავნებელი გზა იყო, შეუღდა ახალი გზის მონახვას და ამ ახალი თაობის საქებრად უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახვას. ეს გზა დასავლეთ ევროპის გზა არის.

შოველ გვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესობისა და წარმატების წყარო ჯერჯერობით დასავლეთ ევროპა არის. შველა ხალხი და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გამაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუკეშებელია ზეწინ წიმწივი ხალხთა ცხოვრებაში. თავის თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგათ და ქეშმარიტათ გაუცვნა. ბაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებებს მხოლოდ ის კაცი მოუჭანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპიულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალთ უნახავს და

შეუსწავლია სიღარიბის მომსპობი და კეთილ-
დღეობის მომნიჭებელი სახსრები. სხვა არა იყოს
რა, უბრალო დანახვაც განათლებული ერთა ცხოვ-
რებისა და მეცნიერების ნაყოფისა—არა მცირედ
სარგებლობას მოუტანს ისეთის ქვეყნის შვილს, რო-
გორც ჩვენია“.*)

მოჩაქიძესაც გული უთქმიდა წასულ-იყო ამ
გზით სამზღვარ-გარეთ, საცა ამ დროს ბევრი ქარ-
თველი მოზარდი თაობა იყო წასული და საცა ახ-
ლაც ემზადებოდენ ბევრი მისნი ახლო ნაცნობ-
ნი ქალნი და კაცნი ქუთაისიდან და ოფილისიდან,
მაგრამ უსახსრობამ დასძლია და ბიძა მისის ბიორგი
შვათუას რჩევით და შენწეობით ბიორგი ნაცვლად
ვეროპისა წავიდა რუსეთს.

როგორც მიაშობო ძირილე ლორთქიფანიძემ,
1869-ს წელს, აგვისტოს თუ სექტემბერს, მოჩაქი-
ძე და კირილე შეხვდენ ერთმანეთს ადესაში და
იქიდან ორნივე ერთად გაემგზავრენ პეტერბურგს.

V.

ბიორგის სამხედრო სამსახური.

1870 წელს, 14 აგვისტოს, ბიორგი შევიდა
სამხედრო სამსახურში. ჯერ ის განწესდა ქონსტან-
ტინეს სახელის მეორე სამხედრო სასწავლებელში
იუნკრად და შემდეგ მხაილის სახელის არტილერ-
იის სასწავლებელში იუნკრადვე. ამ სასწავლებლი-
დან 1873 წელს ბიორგი გამოვიდა პირველის აფ-ც-
რის ჩინით კავკასიის გრენადერის არტილერიის ბრი-
გადაში. ქავკასიის მთავარ მართებელმა, ლიდმა მთა-

*) ნახე „წაწეობი სტრუვი მესამისა“ გამოცემა ს. ფირცველავისი
გვერდი 107.

ვარმა მიხაილ ნიკოლოზის ძემ მიწერა სამხედრო სასწავლებელთა უფროსს ახალ-გაზდა ზიორგი გაეწეებიათ მისი სახელის არტილერიის ბრიგადაში და დიდის მთავრის სურვილი სასწავლებელთა უფროსმა მყისვე აღასრულა.

როცა ატყდა ომი რუსეთსა და ოსმალოს შორის და კავკასიის ჯარი შეესია ოსმალოს მცირე აზიაში, ზიორგი მიყვებოდა იმ კორპუსს, რომელმაც გადააბიჯა რუსეთის საზღვარი 12 აპრ. 1877 წ. ლორის-მელიქოვის ხელ-ქვეით.

შარსი რომ შეკრა ჩვენმა ჯარმა, ზიორგი ბლოკადში ტრიალებდა.

ზივინში რომ დიდი სისხლის ღვრა მოხდა 13 ივნისს 1877 წ. და რუსი დამარცხდა, ზიორგი ძლივს გადურჩა სიკვდილს.

ალაჯანის მალღებში ლორის-მელიქოვის სარდლობით, კიზილთათაში ზაქარია ჭავჭავაძის ხელ-ქვეით, დევებოინუს და არზრუმში ბეიმანის და ტერ-შუკასოვის ჯარებში ზიორგი თავის არტილერიას ბეჯითობდა.

ამ ჩხუბში გამარჯვებისთვის ზიორგის მისი ფართე მკერდი დაუმშვენეს წმიდის გიორგის ჯვარით.

ომი რომ გათავდა, 1879-ს წელს გიორგი გადაიყვანეს რუსეთს ქვეითა ჯარის ს. მოსწავლო ბატარეის სამუდამო კადრში და შემდეგ 1888 წელს დანიშნეს მიხაილის სახელის არტილლერიის სასწავლებლის ბატარეაში უმცროს აფიცრად. 1882 წელს აქედან გიორგი გადააწესეს ლეიბ გვარდიის პირველი არტილლერიის ბრიგადაში ბატარეის უმცროსს აფიცრად. 1887 წელს დანიშნეს 36 არტილერიის ბრიგადის პირველი ბატარეის კამანდირათ და 1895 წელს, 12 მარტს, 30 არტილლერიის

ბრიგადის მეორე დივიზიონის კამანდირათ.

ეს იყო უკანასკნელი მისი. თანამდებოზა სამხედრო სამსახურზე.

როგორცა სჩანს ბიორგას ნამსახურებითი სიიდან, პოლკოენიკი თავადი ბიორგი შაჩაქაძე იყო კავალერი ორდენებისა: მეორე ხარისხის სტანისლავასი, მეორე ხარისხის ანნასი, მეოთხე ხარისხის შლადიმირისა და მეოთხე ხარისხის წმიდის ბიორგისა.

ამავე ნამსახურებითი სიიდან სჩანს, რომ სამსახურის დროს ბიორგის არა ერთხელ მისცემია მინდობილება მთავრობისა შეემოწმებია სხვა ადგილებში ან ბატარეების მზადყოფნა, ან სამაგალითო მობილიზაცია არტილერიას საჩქარო პარკებისა, ან სროლა ლაგერში.

ბიორგის ძნამ ანტონმა წამაკითხა ერთი კონფიდენციალური წერილი მიხაილის სახელის არტილერიის აკადემიისა და სასწავლებლის უმფროსისა მიწერილი ბიორგისთან 17 ნოემბერს 1890 წელსა. რადგანაც ეს წერილი ეხება კავკასიის სამხედრო სფერაში ცნობილს ს—დონ მ—ძეს ღ ახასიათებს ბიორგის სამსახურს, ვბეჭდავ აქ ამ წერილის ნაწყვეტს.

Милостивый Государь,
Георгій Максимовичъ.

Его Императорскому Высочеству генераль-фельдцейхмейстеру благоугодно было назначить на службу во ввѣренную вамъ батарею, отчисляемаго отъ артиллерійскаго училища за неуспѣхи въ наукахъ юнкера Э—дзе.

Великій князь увѣренъ что вы, какъ бывшій офицеръ воспитатель артиллерійскаго училища, обратите должное вниманіе на Э—дзе, поддержите

его въ нравственномъ отношеніи и понудите приготовить къ экзамену, для котораго онъ долженъ будетъ прибыть въ Петербургъ весною“...

ზიორგის დახმარებით, ეს ყმაწვილი ჩინებულათ მოემზადა და მან დიდის წარმატებით გაათავა სასწავლებელიცა და აკადემიაც.

ზაზეთს „Русскій Ивалидъ“-ში 10 აგვისტოს 1890 წელს არის მოყვანილი ცნობა ზიორგისგან გამოგონილ პარომზე, რომლის საშვალეებით მდინარე ოკას გადაატარეს ამ წელს მეცამეტე კორპუსის არტილერია.

აი რას სწერენ ამ გაზეთში:

„Въ полкъ 36-й пѣхотной дивизіи въ теченіи лѣтнихъ сборовъ сего года произведено было по нѣсколько упражненій въ переправѣ подручными средствами, какъ охотничьихъ командъ, такъ и строевыхъ частей пѣхоты съ ихъ обозами I разр.; но затѣмъ недоставало навыка переплавлять также и артилерію, на что и было обращено вниманіе командира 13-го корпуса. Съ приходомъ артилеріи въ дивизионный лагерь въ г. Орель начались какъ въ пѣхотѣ такъ и въ артилеріи опыты по выработкѣ необходимыхъ снарядовъ для переправы. Приемы переправы, примѣняемые охотничьими командами, основаны на пользованіи мѣстными небольшими лодками и разнымъ подручнымъ матеріаломъ, какъ то: жердями, досками и проч., коихъ можетъ и не оказаться въ данномъ мѣстѣ въ необходимомъ числѣ, поэтому надо умѣть изворачиваться лишь предметами своего снаряженія. Въ этомъ отношеніи очень подходящимъ средствомъ для пехоты является предложеніе фельдфебеля л.—гв. Семеновскаго полка Чагина, о вязкѣ челноковъ изъ подотнищъ солдатскихъ палатокъ. Но и для этихъ челноковъ требуются жерди а потому желательно рѣшеніе вопроса, основанное на

пользовании исключительно матеріаломъ войсковымъ, безъ сторонней помощи. Такое рѣшеніе и предложено на дняхъ командиромъ I-й батареи 36-й арт. бр., подполковникомъ княземъ Кочакидзе, по мысли коего связанъ былъ паромъ изъ дышель и передковыхъ коробовъ, предварительно опорожненныхъ. На этомъ паромѣ 27-го іюля переправлена батарея вполне успешно: тотъ же паромъ можетъ служить и для переправы пѣхоты“...

სამწუხაროთ, სხვა მასალები არა გამაჩნია რა, გარდა ამ მშრალის წელთა და თანამდებობათა აღრიცხვისა, რომ შოჩაქიძის სამსახურის აღწერისთვის რამე ხალისის მიცემა შემეძლოს. არც ერთი მისი მიწერ-მოწერა ჩემ ხელთ არ ყოფილა, არც ერთს მასზე მოგონებას ჩემამდის არ მოუწევია. შიტყვი მხოლოდ, რომ შოჩაქიძეს სამსახურში ყველანი დიდის პატივისცემით და სიყვარულით თურმე ეპყრობოდენ. შვით მთავარ-სარდალი კავკასიის ჯარებისა დიდი მთავარი მახაილ ნიკოლოზის ძე აფასებდა მისს ნიჭს და ბეჯითობას. ერთხელ, როცა მთავარ-სარდალს მოხსენდა ზიორგის ჯკარზე წარდგინება, დიდმა მთავარმა უთხრა ზიორგის ბიძაშვილს, მისი კანვოის კამანდირს ზიორგი ზვათუას:

— მე დიდად მოხარული ვარ, რომ ჩემგან ხელ-დადებულია შოჩაქიძე ასეთი კარგი აფაცერი გამოდგაო.

და ყოველს შეყრაზე ზიორგისთან, დიდი მთავარი მოიკითხვიდა მას ქართულად:

— კამარყობა!



VI.

ზიორგის პირველი სიყვარული.—მისი დაცოლშვილება და განქორწინება.—ზიორგის შვილი.

ჯერ ისევ ქუთაისის გემზნაზიაში სწავლობდა ზიორგი, როცა ის დაუახლოვდა ერთს ქალთა სასწავლებელში ნასწავლს ვაქრის ქალს და ყმაწვილობის აღტაცებით აღენტო მისდამი სიყვარულით. როგორც ამბობენ, თვით ამ ქალსაც, რომელსაც ზიორგი იხსენიებს თავის ლექსებში ანობით და ნარობით, მოსწონდა ზიორგი, მაგრამ როდესაც მგოსანმა ხელი სთხოვა ბანოვანს მან პასუხად თურმე გასცა: ჯერ მაღალი სასწავლებელი გაათავე და მე-რე გამოგყვებიო.

ამ ურთიერთობას მოყვა ჯერ რუსეთში სასწავლებლად წასვლა და შემდეგ ომა, ე. ი. განშორება და დავიწყება.

მის შემდეგ ზიორგის სულ სხვა წრეებში შეხვდა ყოფნა. ამ წრეებში ომ-გადახდილი ვაჟ-კაცი, რომელსაც მკერდს უმშვენებდა წმიდის ზიორგის ჯვარი, სახით ლამაზი, მზიარულებით სიცოცხლით აღსავსე, ამასთან ჩინებული მემუსიკე და მხატვარი, ზიორგი იყო სასურველი სასიძო და მალე ის აქ შეეყარა მისს საბედოს. პეტერბურგში ყოფნის დროს ზიორგიმ გაიცნო ნაფიცი ვეჟილის სტეფანე მზერსკის ქალი ანნა და იმაზე ჯვარი დაიწეა 1 ოკტ. 1884 წელსა.

ამ ქორწინებიდან ზიორგის 31 ივლ. 1885 წ. ეყოლა ვაჟი, ბორისი.

სამწუხაროდ, ზიორგის საოჯახო ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. თუმცა ცოლქმარს ერთმანეთი დიდათ უყვარდათ. წვრილ-წვრილი ში-

ნაური უთანხმოება, რომელიც თავიდანვე აუტყდათ ზიორგისა და მის სიმამრს თანდათან გამწვავდა და მალე საქმე იქამდის მივიდა რომ სიძე სამუდამოთ განშორდა სიმამრის ოჯახს და მამის მორჩილი ასული დაუბრუნდა დედ-მამის ოჯახს, თუმცა ქმრის სიყვარული ისევ ისე ძალზე უღვივოდა იმას გულში. 1889 წელს ზიორგი და მისი ცოლი ერთმანეთს განშორდნენ და განქორწინდნენ.

იმ დროინდელს ზიორგის სამახსოვრო წიგნში, რომელმაც ჩვენამდი მოაღწია არის აწერილი რამდენათ ემძიმებოდა გიორგის ამ განქორწინებისთვის საქარო მოთხოვნილებათა ასრულება. ის სამი ოთხი წლის განმავლობაში ეწინააღმდეგებოდა ამ განქორწინებას, ნაკრამ ბოლოს, რომ ვერა გახდა რა, იძულებული შეიქნა თანხმობა განეცხადებია.

განქორწინების შემდეგ ზიორგის ნაცოლარი მითხოვდა სხვა ქმარს პეტერბურგის ოლქის სასამართლოს წევრს ველიჩკოს, მაგრამ ნამდვილი მეგობრული განწყობილება ზიორგისადმი იმას სამუდამოთ ქონდა გულში დამარხული. როგორც გადმომცა ზიორგი ზვათუამ, ცოლი არა ერთხელ მოსულა ზიორგისთან და მოუყვანია მასთან სანახავად მისი შვილი ბორისი. იგივე განწყობილება ქმრის სახელისა და ხსოვნისადმი სიამოვნებით შევნიშნე მე წარსრუდს წელს, როცა ზიორგის ცოლი ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა შვილის საქმეთა გამო. ის გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა, სხვათა შორის, ამ წიგნის გამოცემასაც.

ზიორგის შვილმა ბორისმა სწავლა-განათლება მიიღო პეტერბურგის მაღალ სასწავლებელში—училище правовѣдѣнiя და მას შემდეგ რაც სამხედ-

რო სამსახური გაათავა ხელმწიფა იმპერატორისაჲს კირასირის პოლკში, შევიდა მოხელეთ სახელმწიფო კანცელარიაში, საცა დღესაც განაგრძობს სამსახურს. აღზრდის პირობათა გამო ბორისმა ქართული არ იცის, მაგრამ ქართული ენის სიყვარული მას მამის სიყვარულთან აქვს შეკავშირებული. წასრულს წელს ბორისი ჩამოვიდა ჭალადიდს მამის საფლავის თაყვან-საცემლათ.

ცოლ-შვილის დაშორებამ საშინელი ცუდი გავლენა იქონია ბიორგის ხასიათზე. მოვიდენ მასთან ცოლ-შვილი და ბედნიერება მოუტანეს, წარვიდენ და ბედნიერება მისი თან წარიღეს. მუდამ მხიარული ბიორგი, ამას შემდეგ მოეშვა, შეიქმნა მუდამ მოღვრემილი, მღუპარე.

— მამისა რცხვენოდა და განქორწინების შემდეგ მთელი ათი წელიწადი სახლს არ მოკარებია ბიორგო, მიიხრა მისმა ძმამ ანტონმა.

XII.

რა პირობებში და რა ენით უწერია ჭალადიდელს.

თუ მართალია ლათინური თქმულება „პოეტი იბადებო“, არა ნაკლებ მართალია ისეც, რომ პოეტი—თუნდ დედის ნაშობი—თუ იმას ხელს არ უწყობს გარშემო მზლუდველი გარემოება, ვერ იხეირებს ისე, როგორც ვერ იხეირებს მცენარე, სინათლესა და სითფოს მოკლებული. ზამოაკელით ჩვენს დროებას ის, რაც არ იყო ქუთაისში სამოციანი წლების ბოლოს, როცა ფეხს იდგამდა ჭალადიდელის მწერლობა: გაზეთი, ჟურნალი, დრამა, კომედია, მოთხრობა, საჯარო კითხვა, საჯაროთ ლაპარაკი, მხატვრობა, ქანდაკება, მუზეუმი, ყოველდღიუ-

რი, ყველასათვის ხელ-მისაწვდენი ქუჩა მთა-რული ილლიუსტრაცია, ერთი სიტყვით გამოაკელით ჩვენ დროების სხვადასხვაობა თანამედროვე ხელოვნებისა და თქვენ თავ-ქვე დააყირავებთ ეხლანდელს სიტყვა-კაზმულ მწერლობას, ღრუბელს გაავლებთ სამწერლო მაგიდაზე ისეთ ნიჭიერ მგოსნებს, როგორც იყვნენ და არიან: ბრიშა აბაშიძე, ბრიშა-შვილი, მედოშვილი, შანშიაშვილი, აბაშელი, რუხაძე, შუჩიშვილი და სხვანი ახალთ-ახალნი, ჟინტონი მოლექსენი, რომელთა ნაწერებს სიამოვნებით კითხულობს ჩვენი საზოგადოება. ეს ამიტომ რომ სულ ყველა ესენი შვილნი არიან დროებისა და გარეშე ჩამოთვლილის პირობებისა, სამწერლო ნიადაგზე ესენი, ისე, როგორც სხვანი, თავს ვერ იჩენდენ. ჭალადიდელიც შვილი იყო დროებისა და რადგანაც მის დროს აკლდა ხსენებული პირობები, მისი ნიჭის ძლიერებაც... შვაზე გაიყო. მხოლოდ ხალხს შეეძლო გარეშე ამა პირობათა თავისუფალი თქმა და შემოქმედება. ხალხის შემოქმედების საუნჯეს, როგორც ნეგატივს, საქართველოს ბუნების სიმშვენიერემ, საქართველოს ბედმა და უბედურებამ, ქართველი ქალის, გოგონას, მომხიბლავმა სიმშვენიერემ გარედან შუქი შეანათა და ხალხური ლექსი დაიბადა თავის თავად, თითქო ისე, როგორც იბადებოდა ხმა სფინქსისა, როდესაც იმას დაჰკრავდა დილის მზე. ღამხვეთ ეს პირობები და კერძო პიროვნებაც, როგორც ძლიერი მწერალი, კარგავს თვის ღირსებას.

შეუსაბამო პირობაში მყოფს ჭალადიდელს რაც უწერია ამას თვით მკითხველი დაინახავს ამ წიგნიდან.

მე აქ ნებას ვითხოვ შევეხო მხოლოდ, მის ენას, მისს ქართულს.

ქართული ენა ქალადიდელს არ უსწავლია არც შინ, საცა ლაპარაკობდენ მეგრულად, ლე არც შკოლაში, საცა, როგორც დავინახეთ ძიმისტარაშვილის წერილიდან, რადგანაც მთელი მისი ცხოვრება მას გაუტარებია უცხოეთში, შორის არტილლერიის აფიცრებთა და ჯარის კაცებისა.

სამეგრელოს ოჯახებში, ოდიშს, წასრულ საუკუნეში ქართულათ არ ლაპარაკობდენ. ქართულათ საუბრობდენ მხოლოდ მთავრის სასახლეში, საცა, დედოფლები გამოუღეველად ან ქართლ-ქახეთიდან იყვენ, ან იმერეთიდან, ან გურიიდან ან რაჭიდან და დედობლის მსახურთა, ამის გამო, ყველას ქართულად უნდა ელაპარაკათ. ქართულადვე ლაპარაკობდენ სასახლეში: მთავრის მხლებელნი და მოსამსახურენი, რადგანაც ესენი უმეტეს ნაწილათ ლეჩხომლები იყვენ, თანამდებობის კაცნი, სასულიერო პირნი, მთავრის კანცელიარის მსახურნი, გარეშე სტუმარნი. მთავრის სასახლეს ბაძვიდენ რამდენიმე წარჩინებულნი თავადის—შვილნი, უმეტეს ნაწილათ მთავრის სახლიდან გამონაყოფნი, გურია-იმერეთის სიძეები. დანარჩენ ოჯახებში კი ყველანი მეგრულათ ლაპარაკობდენ.

ღა მეგრელებმა... ამას წინეთ გრდემლში (წიგნი 1) ერთი მცირე მოთხრობა წავიკითხე ბარონისა სახელად „თებერას დანიშნული“. ამ მოთხრობაში, რომელშიაც სულ 35 ფურცელია, მე წავაწყდი 100 სიტყვას, რომლის მნიშვნელობა ან სულ არ მცოდნია და ოდნად, ან მცოდნია და ოდნად, ბუნდოვანად. რომ ანკეტა მოვახდინე, აღმოჩნდა, რომ ამ მოთხრობაში უცნობი სიტყვები შეხვდომიათ: მეგრელებს: ბიორგი ბვაზავას 77, ღუტუ—მეგრელს 5±; იმერელს მიხა ნადირაძეს 101 და

გურულს ნოე ჟღენტს 131. რისგანაა რომ გურულსა და იმერელს ამდენი უცნობი სიტყვა შეხვდა შიგა და შიგ ბარნოვის მოთხრობაში არ ვიცო (პროვინციალიზმით აიხსნება, უეჭველია; აბა შიგა შიფშიძემ წაიკითხოს ეს მოთხრობა, ან სოფრომ მგალობლიშვილმ, ან ნიკო ლომაურმა, თუ იმათ ერთი უცნობი სიტყვა იპოვონ შიგ), მაგრამ ის კი ვიცი, რომ მეგრელებს ამდენი უცნობი სიტყვები იმიტომ დაუხვდათ მოთხრობაში, რომ ეს სიტყვები იმათ არც შინ გაუგონიათ, არც უკოლაში, არც ცხოვრებაში. ამდენი სიტყვა რომ ამგვარ პატარა მოთხრობაში აკლიათ იმათ, თქვენ თითონ უნდა წარმოიდგინოთ რამდენად ღარიბი უნდა იყოს საზოგადოთ მათი ქართული ლექსიკონი. ღარიბი ლექსიკონი! ე. ი. ღარიბი სახსარი აზრთა სხვადასხვაობის და ფერადობის გამოსათქმელად.

სამოციან წლებში, როდესაც ბიორგის სამწერლო ენა იბადებოდა, ჩვენი ახალი ქართული მწერლობა არც ისე ღარიბი იყო, რომ ბიორგის არ შესძლებოდა ამ მწერლობის ენით ესარგებლნა, გარნა მაშინდელნი ნაწარმოებნი ქართულის მწერლობისა ჩვენში არ იყვნენ გავრცელებულნი, არაკისა არ იყოს, იყვნენ და არა იყვნენ...

იყვნენ დაწერილნი:

„მგზავრის წერილები“ ილია შავჭავაძისა 1861 წელს,

„ბლახის ნაამბობი“ 1862 წელს.

„ბაცია ადამიანი“ 1863 წელს.

აკაკის „საიდუმლო ბარათი“ 1860 წელს.

ბრიგოლ მარბელიანის „ანტონს“ 1827 წ.

ბარათაშვილის „ბუღბუღი ვარდზე“ 1834 წ.

რაფიელ ერისთავის პირველი ლექსები 1852 წ.

ბიორგი მრისთავის „გაყრა“ 1850 წელს.

მაგრამ სულ ყველა ამ ნაწერებს სამოციანების ბოლოს ჯერ კიდევ არ ჩაუწევიათ სამეგრელოძის.

იბეჭდებოდნენ ამ დროს თფილისში ჟურნალე-ბიც და გაზეთებიც, მაგრამ არც ამ გამოცემით ქონდათ გახსნილი გზა სამეგრელოსკენ. ერთად ერთი ქართული გაზეთი „დროება“ 1869 წელს სულ იბეჭდებოდა 240 ცალი.

ამგვარ ატმოსფერაში დაბადებული და აღზრდილი, ჭალადიდელი არ ასცდა ყველა იმ ნაკლს, რომელიც იყო ზოგადი მისი დროის მეგრელებისთვის. ქართული ენის უცოდინარობიდან ის ვერც დედის იმერლობამ იხსნა და ვერც დეკანოზმა შუთათელაძემ.

მისი ლექსები გადაჭრელებულია სიტყვებით: „ლუკმა პურს თავს აქმევს“, „გულსა მკვდარია“, „გატინთრაქულა“, „გულს არ უჯის“, „მგრნობარე“, „უგრძნობარე“, „მშფოთარე“.

რითმის გულისთვის ის „მდიდარის“ მაგიერ ხმარობს „მდიდარეს“, „ლრეს“ მაგიერ სწერს „ღროს“.

ხაჭაპური და ქადური ერთს თანა-ხმის უღელში ჰყავს შებმული.

და სხვა და სხვა.

სუსტის ქართულით, მორცხვად, მორიდებით შემოდგა ფეხი ჭალადიდელმა ქართულ მწერლობაში, მაგრამ იმ ქვეყანაში, საცა ყოველი კაცი ლექსსა სწერს, სამოციანების ბოლოს, ჩვენში როგორღაც ლექსი ძვირობდა და ჭალადიდელის ლექსი შეიქმნა საცილო, ხელიხელ საგოგმანები. ჯერ ერთი გაზეთი რომ დაბეჭდავდა მის ლექსს, მეორე გაზეთი დამშეულივით, ამ ლექსს მთლად იმეორებ-

და. მისი ლექსები „ქება შრომას“, „დარჩენილი ჩერქეზი“, „მოგონება“, „ჩემი ანა“, „ნეტარ არს კაცი“, „ელეგია“, ჯერ „დროებაში“ დაიბეჭდენ და მერე „სასოფლო გაზეთში“. 1870 წელს, მახსოვს, თფილისის სემინარიაში ქართულის მოყვარე მოწაფე ისეთი არავინ იყო, რომელსაც ზეპირათ არ სცოდნოდა ბიორგის პატრიოტული ლექსი

ჭალაქელი ბიჭი ვარ,
საყვარელი მეცა მყავს.

ეს ლექსი რვეულიდან რვეულზე გადადიოდა სასწავლებელში.

VIII

ნეკო ლადიანის და ალექსანდრე ხახანაშვილის აზრი ჭალადიდელზე.—ღიმიტრი მრისთავის ლექსი.

ჭალადიდელის ცხოვრების აღწერა არ იქნება სრული თუ არ მოვიგონეთ აქ ის, რაც თქმულა იმის შესახებ სხვადასხვა დროს ჩვენს თუ რუსულს მწერლობაში. ბევრის ნათქვამიდან მოკვყავს აქ მხოლოდ რამოენიმე, სულ სამი, რომელთაგან ერთი ეკუთნის ნეკო ტარიელის ძე ლადიანს, მეორე პროფესორ ხახანაშვილს და მესამე თავ. ღიმიტრი მრისთავს.

ნეკო დადიანმა ჭალადიდელზე შემდეგა აკროსტიხი დასწერა:

ჭირის და ლხინის ტალკვესი ქართველისათვის ლექსია,
ამით მოსთქვამს და მოილხენს—ეს მისი ყოფის წესია!
ლამპრად მგზებარე ტალანტი ამ კაცში ცას უთესია,
აქხედრებული პეპასზე არავის უდარესია,
ღრო-შეხამებით მოლექსე საერო გრძნობის მკვნესია;

იმღერა სევდა-რეულად, საგანი წმიდა, ზესია;
 ღადუბდა უცებ; გავკვირდით, ვსთქვით: რა ქმნა, რა
 წესია?

მწვია სენი მოშლისა? თუ აწ სთქვას უკეთესია,
 ლამაზი, ტურფა შაირი, ხომ ხნითაც აწ უბრძნესია!..

პროფესორმა ხახანაშვილმა თავის თხზულებაში
 Очерки по исторіи грузинской словесности შემ-
 დეგი ადგილი უძღვნა ბიორგი ჭალადიდელს:

Младшимъ современникомъ плеяды грузин-
 скихъ писателей, выступившихъ на литературное
 поприще въ эпоху паденія крѣпостного права,
 былъ поэтъ кн. Г. М. Кочакидзе, первымъ произве-
 денія котораго относятся къ концу 60-хъ годовъ...
 Двадцатилѣтнимъ юношей онъ выступилъ бойки-
 ми стихотвореніями въ Дрозба, Кребули, Мнато-
 би. Его дебюты сопровождались рѣдкимъ успѣ-
 хомъ,—въ немъ видѣли достойнаго преемника кн.
 И. Чавчавадзе и кн. Ак. Церетели. Стихотворе-
 нія его, появившіяся въ „Дрозба“ (1869—1870), въ
 журналѣ „Кребули“ и въ календаряхъ С. Месхи
 („Нико и Нино и др.) быстро распространились
 въ народѣ путемъ устной передачи и расиѣваю-
 тся понынѣ подъ звуки чіануры во всей западной
 Грузіи. Его стихотвореніе „Проводы сына въ шко-
 лу“, ставшее обычной пѣсней дѣтей, приобрѣло
 ему огромную популяриность тою искренностью
 чувствъ и простотою ихъ изображенія, которыя
 вообще отличаютъ его произведенія.

За тридцатилѣтній періодъ литературнаго
 творчества онъ написалъ немного, но, то, что на-
 писалъ, пока разбросано въ повременныхъ изда-
 ніяхъ и не имѣется сборника его стихотвореній.
 Основной темъ его творчества, это—любовь къ ро-
 динѣ, расцвѣту которой онъ готовъ былъ „пожерт-
 вовать жизнью“. Этотъ лейт-мотивъ проходитъ
 черезъ всѣ его произведенія. Звучный стихъ, лег-

კიი ეზუკუ, თუთუ ნუთრუნი სუბუტუთუ იუ პუ-
 ლუბლუნი იდუთუ თუკუ ისკრუნიუთუ ი პრუვლუკუ-
 თუბლუთუ, კუთრუ ი ჟურუნი პუთუიკუთუ კრუსუთუ.
 ოტლუიკუთუთუ ჟურთუ იუ მუზუ სუსტუბუთუ თუ-
 ნუკუ ზნუნი დუიუ ჟუღუბუკუ ი რუდკუ სუსუბლუთუ
 პრუიკნუთუ ვუ ნურდნუთუ პსუკოლუიუ. „პუსნუ“ (ნუ
 მუთუვუ „კულო ზუბურდუიანუ“) — ობრუბუთუ პონუ-
 მუნიუ გორდსკუთუ ობუბუთუბლუთუ ლუბლუთუ კუ
 რუდინუ; პუსნუ სოგრუბუთუ იდუი პრუვუბლუთუ
 კუ ვოზლუბლუთუთუ ი გოთუბლუთუ ლუჯუ კოსტუმი
 ზუ იუ. ვუ პურუდლუთუ ზუ თუთუ პუსნუ „პუ-
 დუჟუ“ რუსუთუ გოსუპრუიონუ, დობრდუ-
 შუნუ კრუსუთუბლუთუ ვუ პლუთუნიუ
 უბუშუკუ, სრუდი ბუდნუთუ სულსკუთუ ობსტუ-
 თუბლუთუ ვურუნუთუ ზრუნიტულუთუ სუთუთუ
 სრუნი. შკოლნუთუ პუსნუ ვნუშუთუ ბოდრუ-
 შუთუ ო ნურუბრუთუთუ თრუდუთუ ი პრუი-
 ბრუბლუთუთუ ზნუნი. ბუდუი პუთუთუ-
 გრუბლუთუთუ პო პრუიუბლუთუთუ, ოტ-
 ვუთუ, ოტუბუთუთუ ნუ ზურუსუ დნუ, ოტ-
 სუთუთუ ნუბოთუბლუთუ სურუკოთუ
 ობრუბლუთუთუ, დუ ბლუგუ ნურდუთუ,
 ჟუღუბლუთუ ბულუ ისტრუნიუთუთუ ზუ-
 დოთუბლუთუთუ ვუ თუთუთუ მულკუთუ
 სტუიკუთუთუთუ, გდუ ოთუ ბერუთუ
 ოჯურთუთუ კურტინუ გორნუთუ
 პუიზუბლუთუთუ. თუკუთუ იუ
 მუთუბლუთუთუ ჟუღუთუთუ პრუი-
 ჟუსუ, პუსუბლუთუთუ გორნუთუ
 ვოდუბუდუ.

თუ. ლუბლუთუ პრუსთუბლუთუ უბლუთუ
 ჟულადიდულს სსოვნუს
 შუბლუთუთუ ზინუბლუთუ ლუკსი:

სუსტუიკუსუ კურსუ ზრდულლუთუსუს
 მით აიტუნდუ ნუბი ყუვუილი,
 კოლხიდის ტურთუ ვულკოტუთუ შორის
 აღმოცენილი დუ გუთურჟკენილი?..

ღუსტკუნუ ყუვუილი... შუჟურდუთუ
 კუთილშობილის მგოსნისუ გულის...
 შურდუთუ მოვისმენტ კვლავ ტუბილსუ
 მღურუს მშობის, ერთობის დუ სიყუარულის...

შურ გავიგონებთ ახალსუ ჟანგებს,

მაგრამ ძველებსა ხომ ხალხი ჰმღერის?
ჰმღერის ყანაში, ჰმღერის ლხინის დროს
სადიდებლად მგოსნის სახელის...

ძართველსა დედას უდვიძებს გრძნობას,
მგოსანო, შენი მაღალი რწმენა,
და დასჩიჩინებს იგი ნორჩს შვილსა:
„ზიყვარდეს, შვილო, სამშობლო ენა!“

ძენი-ასულნი ივერიისა
„ღა ძეურად ერთერთს გარდაჰხვევიან“
ღა, ვით შენ გწადდა, სამშობლო ქვეყნის
ასაყვავებლად ერთად ილწვიან...

ქეთილმა თესლმა შენის სიტყვისამ
უცხო ნაყოფი აღმოაცენა.

„სწლოვან მუხად“ იგი გარდიქმნა,
ქვეყანაც ჩვენი მთლად დაამშვენა ..

ამაყად წელში ის გამართულა...
„არღა ჩაჰლუნავს აწ მძიმედ თავსა“,
მწვანე ფოთოლნი ამოშრიალით
ძართველს ეტყვიან შენსა ამბავსა:

„აქ, ჩემს ჩრდილს ქვეშე, უკუნის ძლით
„სძინავს მგოსანსა ზალადიდელსა;
„მე ვარ იმისი მაღალი სული,
„აღმოცენილი კოლხიდის ველსა...

„ღა ვინც ჩემს ჩრდილს ქვეშ თავს შეაფარებს
„ძვის გულიც ქონდეს, მყის გაუთბება:
„იგი გაიგებს, თუ რა ტკბილია,
მამულის ტრფობა და ერთგულება!“*)

სხვების ნაწერებიდან ციტატებს თავს ვანებებ,
მაგრამ ესეც კია, აკაკის ხომ სხვა არ ეთქმის.
„ილია ზყონიას ნაწერებმა“ მოიგონეს და მე აქ
ვიმეორებ აკაკის სიტყვას გიორგის შესახებ: „ზა-
ლადიდელმა თავისი ნიჭი ზარბაზნის კვამლში გა-
ხვიაო“. დიდი მგოსანი ნაღვლობდა რომ ნივთიერ-

*) ივერია № 97/98.

მა ხელმოკლეობამ და იმ გარემოებამ, რომ სალიტერატურო შრომა ჩვენში უზრუნველ არ ყოფს მუშაკს, ჭალადიდელის ნიჭი მოაკლეს ქართულ მწერლობას...

IX.

ზიორგის გარდაცვალება.—მისი ჩამოსვენება რუსეთიდან და დასაფლავება.

ის ავად-მყოფობა, რომელმაც გადაიტანა განსვენებული ზიორგი— ასტმა—დიდის ხნიდან აწუხებდა მგოსანს. სიკვდილამდის ერთის წლის წინათ ის ჩამოვიდა რუსეთიდან სამშობლოს, მაგრამ ავადმყოფობა ისე შორს იყო წასული, რომ ვერც ცხოველს-მყოფელობა სამშობლოს ჰაერმა და ბუნებამ უშველეს რა იმას. ზიორგი გარდაიცვალა 1 აპრილს 1898 წ. ქალაქს მინსკში, საცა იდგა მეორე დღე-ზიონი ოცდა მეთის არტილერიის ბრიგადის, რომლის კამანდირი ის იყო დანიშნული 1895 წელს. 24 მაისს ზიორგის ცხედარი ჩამოასვენეს მინსკიდან ქალაქს ფოთს და აქედან წაასვენეს სენაკით სამშობლო ქალადიდს, საცა 26 იმ თვეს იგი დაკრძალეს. როგორც ფოთში, ისე სენაკს და ქალადიდში განსვენებულის ცხედარს დიდძალი ხალხი დაუხვდა სიტყვებითა და გვირგვინებით. ჩინებული სიტყვა წარმოსთქვა ფოთს ბ. იაკობ ზანცხავამ. ამ სიტყვაში განსვენებულის ლექსი

„ზამაცოცხლე, მანატრე“

ბ-მა ფანცხავამ ამ გვარათ სთარგმნა: ს-ფლავშიაც რომ ვდნებოდი, იქილამაც კი, დარწმუნებული ვარ, საფლავს ამოვარღვევ და ქარხლოსის შვილთა სა-

XXXVII.

ზოგადო ფერხულში მეც მონაწილეობას მივიღებ,
თუ კი აყვავებულ სამშობლოს მოვესწრებიო.

სამშობლოს ნატვრა იყო უკანასკნელი ოხრვა
განსვენებულის მგოსნისა მისთვის უცხო ქვეყანაში.
მისკენ მიისწრაფოდა იგი როცა ამბობდა:

მოკვდები, ხელს დავიკრეფ,
მასვე ჩავეხუტები.

ი. შეუნარგია.

5 აპრ. 1913 წ.

ფ. ო. თ. ი.

ჭალადიდელის პოეზია

შოველი სახელოვნო ნაწარმოები ნაწილია პოეტის სულისა; მასში გამოკვეთილია ყოველივე, რასაც პოეტი იმდროს ფიქრობდა და გრძნობდა, რაც მას აღელვებდა, ახარებდა და სევდასა ჰგვრიდა.

და რაც უფრო ძლიერია, თან მშვენიერი ეს სული, მით უფრო ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს სახელოვნო ნაწარმოები.

ზოგჯერ მოხდება: პოეტის სული ლამაზია, მაგრამ საკმაოდ ძლიერი ნიჭი არ ახლავს თან, რომ შესაფერი ფერადები და სურათები გამონახოს. მაშინ პირველი შთაბეჭდილება ნაწარმოებისა სუსტია, მაგრამ რაც უფრო ჩაუკვირდებით მას, მით უფრო იშლება თქვენი თვალის წინ და ცხადი ხდება პოეტის სულის სილამაზე, მისი პირადი ღირსებანი.

ჩვენი პოეზიის ცაზედ ჭალადიდელის შემოქმედება მეტათ მკრთალათ ბეუტავს, მაგრამ მასში ნათლათ ისახება პოეტის სული და ამ მხრით არის ის საყურადღებო. შოველი ლექსის მთხზველი პოეტათ არ ითქმის.

პოეტია თუ არა ჭალადიდელი?

შმეტესი ნაწილი მისი ლექსებისა ვერ გაგაკვირვებსთ ენის სიმდიდრით და სილამაზით, მხატვრული სახეებისა და ფერადების შეწყობით და მრავალგვარობით, აზრის ორიგინალობა — თავისე-

II.

ბურობით ან ფანტაზიის სიუხვით, მაგრამ არის შიგნითი მარგალიტებიც, რომელთა შექმნა მხოლოდ ჭეშმარიტ ხელოვანს შეუძლია. აიღეთ მაგალითათ „მოგონება“ და „სიმღერა გარდახვეწილისა“. ამ ლექსების დაწერა შეუძლებელია, თუ ღვთიური ცეცხლი გულში არა ღვივის.

შალადიდელი აღიზარდა მესამოცე და მესამოცდაათე წლების მოწინავე აზროვნებაზედ. მან შეისისხლხორცა ეს აზროვნება და თავის ნაწერებში ის გვეხატება მოწინავე რწმენა-აზრის პიროვნებათ.

ძმობა, ერთობა, თანასწორობა, სიყვარული, — აი რას ქადაგებს ის თავის პოეზიაში.

რა არის პოეტის შეხედულებით „ამ სოფლიური დანიშნულება?“

მოდმის დახმარება, გვეუბნება თითონ პოეტი ერთ-ერთ თავის ლექსში.

ვინ არის მოძმე?

შოველი ადამიანი, რომელსაც უჭირს, რომელიც ბედს გაუწირავს და ადამიანს დაუჩაგრავს.

„და როცა შეგვხედეს კაცი უძლური,
იცოდე, რომ ის შენი ძმა არი“.

ვინც უნდა შეგვხედეს, — გინდა მტერი, გინდა მოყვარე, — ყველას სიყვარული უნდა მიუზღო მხოლოდ, ქადაგებს პოეტი. ამ კითხვაში პოეტი უკიდურესი იდეალისტია და ჭეშმარიტი ქრისტიანი.

ნეტარ არს კაცი, რომელიც სოფელს
და მის ტალღას არ შეჰპუებია;
თავისსა მტერსა და დაუნდობელს
მეგობრულადა მიგებებია.

არც ერთ ადამიანს და მოღვაწეს, რა გენიო-

III.

სიც უნდა იყოს ის, სამარადისო მნიშვნელობა არა აქვს, ბოლოს ყოველივე ქრება, მაგრამ ეს იმას არა ნიშნავს, ვითომ ყოველივე ამაო და ფუჭი იყოს; აწმყო წარსულის ნაყოფია და ამავე დროს ის, ხი-ღია მომავალისა. შოველი ადამიანი განსაზღვრულ დროსა და პირობებში მოქმედობს და ამიტომ მისი შრომაც ამ დროისა და პირობების მიხედვით უნდა ფასდებოდეს.

ჭალადიდელი ეკუთვნოდა სამხედრო წოდებას, რომლის ცხოვრება და მისწრაფება ძირიანათ ეწი-ნაალმდეგებოდა პოეტის რწმენას. მან დაიწყო წერა მესამოცე წლების გასულს, როცა ბატონების აზ-როვნება გამეფებული იყო ჩვენს ცხოვრებაში. მიუ-ხედავად ამისა მან შეუერთა თვისი ხმა ძმობა-ერ-თობისა და თანასწორობის გუაუნს, მუშის შრომას ქება უძღვნა. აამალლა ის და თამამათ გამოაცხადა:

აფერუმ ყოველ შრომას,
ქება ყოველს ოფლის წვეთს,
ქება მუშის მუშურს ხმას
და მისს მარტოხელა ბედს.

შოველ პოეტესა ჰყავს თავისი მერანი; რა მრავალფეროვანიც უნდა იყოს მისი შექმედება, მას მაინც ერთი ყავს სატრფო, რომლის გარშემოც ტრიალებს პოეტის გრძნობა და ოცნება, ფიქრი და მისწრაფება. ამგვარათ ჩნდება მთავარი მოტივი ან ულემიტმოტივი პოეტისა:

შინ არის სატრფო ჭალადიდელისა?

სამშობლო.

აქედან წარმოსდგება უმთავრესი მოტივი ჭალადიდელის შემოქმედებისა—სამშობლოსადმი სიყვარული. პოეტის საუკეთესო ლექსები ამ გრძნობის ნაყოფია.

სამშობლოს მოგონება პოეტს ფრთებს ასხამს, იმის ნიჟს ასპეტაკებს, აძლიერებს, პოეტი იცვლება, ის თავის თავს აღარა ჰგავს. სამშობლოს სიყვარულს გარეშე ქალადიდელი ჩვეულებრივი მოღვაწისა. ამ გრძნობით გამსჭვალული კი ის ქვეშაირიტი პოეზიის წმინდა ნაკადს ეზიარება და აშკარათ გვიმტკიცებს, რომ ძლიერი სიყვარული დედაა პოეზიისა.

პოეტი ადამიანს იმდენათ აფასებს, რამდენათაც მას სამშობლო უყვარს. პოეტი მარტო ცარიელის გრძნობით კი არ კმაყოფილდება,—ის ითხოვს საქმეს: ყოველი ადამიანი თავის მოქმედებაში და მისწრაფებაში სამშობლოს კეთილდღეობით უნდა ხელმძღვანელობდეს.

იმ ადამიანს, რომელსაც სამშობლო არ ახსოვს, პოეტი პირუტყვზედ დაბლა აყენებს.

პოეტი შეჰყურებს მერცხალს, რომელსაც თავისი მხარე არ ავიწყდება, ამავე დროს იგონებს ადამიანს, რომელსაც სამშობლო დავიწყებია და ამბობს:

„რომელს პირუტყვის გრძნობა ბევრით სჯობს, მით რომ სამშობლო არ აგონდება“.

შინ არის ქვეშაირიტი ადამიანი პოეტის შეხედულებით?

ნამდვილი ადამიანია მხოლოდ ის, ვინც მოძმეს ეხმარება, გაჭირვებულს ხელს უწვდის და სამშობლოს აყვავებას ხელს უწყობს.

სადაც უნდა იყოს პოეტი, ის მუდამ სამშობლოს იგონებს, მუდამ მისი ნახვა ენატრება.

ჩემ სამშობლოს ვიგონებ,
ნახვას ველირსებოდე.

ნატრობს პოეტი.

სამშობლოს მოგონება პოეტის გულს სიყვა-

რულით ავსებს, სულს ამალღებს, გონებას ოცნების სფეროსაკენ იტაცებს. შველაზედ უძვირფასესი სიტყვა პოეტისათვის სამშობლოა; ყველაზე უძლიერესი ნატვრა სამშობლოს აყვავებაა.

მაცოცხლე და მანატრე,
თუნდ საფლავში ვდნებოდე,
აყვავებულ სამშობლოს
თუ კი მოვესწრებოდე!

ჭალადიდელის გრძნობა სამშობლოსადმი თვისის გულწრფელობით ხიბლავს მკითხველს და იწვევს იმის არსებაში შესაფერ გამოხმაურებას.

ჭალადიდელის ნიჭის ერთ დამახასიათებელ მხარეს სატირადა ჰუმორი შეადგენს.

ჭალადიდელის სატირა საკმაოდ მკრელია, მაგრამ მწველი არ არის და გესლიანი, როგორც აკაკის სატირა.

საუცხოვოა ამ მხრივ ჭალადიდელის სიზმარი, მოხელე რომ სიზმარში თავის ყელზე ორდენს დაინახავს.

არ ვიცი, ვის მოეტანა,
ანუ ვის გამოეგზავნა,
მლონდ ვნახე, ყელზე ჯილდოთ
დაეკიდნათ ჩემთვის „ანა“.

რამდენიმე სტრიქონში სამაგალითოთ არის დახასიათებული მოხელე მთელის მისის სულიერი ავლა-დიდებითა და მისწრაფებით.

ჭალადიდელის ჰუმორი მსუბუქია, უწყინარი, სიტყვა მოსწრებული და მკვირცხლი. გაიხსენეთ თუნდა მისი შენიშვნა რუსეთის შესახებ, სადაც დუდილის ნება მხოლოდ ბორშსა და სამოვარსა აქვს. ჭალადიდელის მთელ პოეზიაში ეროვნულ დემოკრატიული ჰანგია გატარებული.

VI.

ამიტომაც მიყვარს ფაცხა
ღარიბული, არ მდიდრული.

ზვიცხადებს ავტორი ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში.

მთელი მისი პოეზია იწვევს მკითხველში სიყვარულს მოძმისადმი, დაჩაგრულთადმი, შრომისა და მამულისადმი; აღვიძებს მისწრაფებას ერთობასა და თანასწორობისადმი. ავტორის მთელი სიმპატია „შრომის შვილი“-საკენ არის; ის მტერია მუქთახორებისა, წოდებრივი უთანასწორობისა და მთელ თავის იმედს საქართველოს აღორძინებისას ის ამყარებს ღარიბულ ფაცხიდან გამოსულ ხალხზედ.

ი. გომართელი.

თ ფ ი ლ ი ს ი

1913 წ. აპრილის 22.



ს ა რ ჩ ე ვ ი .

ნაწილი პირველი—ლექსები და პოემები:



1.	ბიოგრაფია—იონა მეუნარგიასი.	I—XXXVII	გვ.
2.	პრიტიკული განხილვა—ივ. ზომართელისა	I—VI	„
3.	მოდეს რომ მე ვღონდებოდი	3	„
4.	ბელურა	4	„
5.	მეზობელი	6	„
6.	მოტყუებული იმედი	7	„
7.	საყვარელს ძმას	9	„
8.	მუძღვნი ანსა და ნარსა, ონსა და ხანსა	10	„
9.	სიზმარი	11	„
10.	სიმღერა	13	„
11.	სიმღერა	14	„
	1868 წ.		
12.	იმედი	15	„
13.	ქება შრომას	17	„
	1869 წ.		
14.	ქარგის ცოლის პატრონი.	19	„
15.	ღარჩენილი ჩერქეზი	21	„
16.	მოგონება	23	„
17.	ქეიფი	26	„
18.	მენავე	30	„
19.	ჩემი ანა	32	„
20.	ნეტარ არს კაცი	34	„
21.	სიზმარი	36	„
22.	მლეგია	38	„
23.	მწერლისადმი	40	„
24.	ზამოცანა	42	„
25.	ზამოხმოზა	43	„

II.

24. საზანდრული	44	83.
25. ვუძღვნი პ. ნ.	47	"
26. არავის	48	"

1870 წ.

27. ძართველო ქალო	49	"
28. ტიკტორა და გუდა	51	"
29. მერცხალი	52	"
30. შაცხა	53	"
31. შარვანა	56	"
32. მოხუცისადმი	58	"
33. სიმღერა („ქალო, ხაბარდინის“ ხმაზე)	61	"
34. სიმღერა გარდახვეწილისა	64	"
35. * *	66	"
36. საზანდრული	67	"

1871 წ.

37. ღილა ფილიანდიაში	69	"
38. სხვისი შვილები	71	"
39. ქურძნის კრეფა	74	"

1872 წ.

40. ვუძღვნი მ. მ ქ-ს ასულს	77	"
41. მოლალური გალიაში	79	"
42. ბორდის მთაზე	81	"
43. უბედურნი (პოემა ჩერქეზეთის ცხოვრებიდან)	82	"
44. დახლიდარის ანგარიში	93	"
45. * * * (გეინედან)	97	"
46. ვუძღვნი ჩემს იანგულოს (სიმღერა-ბაიათი)	98	"
47. * *	100	"

1873 წ.

48. * *	101	"
49. მიბაძვა ადოლფ შულცისა	102	"

III.

50. * *	103	გვ.
51. ზუძდენი ნ. სკანდელს	104	„
52. * * (ნეკრასოვიდან)	106	„
53. ღურგალი	107	„

1875 წ.

54. ზაჯავრებული ასოთ-ამწყობის შენიშვნა	108	„
55. * *	111	„

1881 წ.

56. (რუსულიდან)	112	„
57. ალავერდი (ისტორიული პოემა)	115	„
58. ალბომში	135	„
59. ექსპრომტი ნ. ნიკოლაძეს	136	„
60. საოჯახო ფიქრები	137	„
61. ციცინათელა	138	„

ნაწილი მეორე—პროზა, სცენები და სხვა წერილები: †

62. მამაშვილის თავგადასავალი	139	„
63. ზურული ექიმთან	141	„
64. სცენები ტყეში	144	„
65. ჩვენებური სცენები	153	„
66. პარასკეობა ქუთაისში	156	„
67. ზურული და ქართლელი	158	„
68. რუსულის მცოდნე	159	„
69. მისი კაცი ხარ	160	„
70. აქაური არ გახლავარ	161	„
71. სცენა პარიკმახერთან	162	„
72. ზურული საჩივლელათ	163	„
73. ზურიიდან	166	„
74. ცივ-ცივი ამბები	169	„

IV.

75. ცივ-ცივი ამბები (პეტერბურგიდან)	175	გვ.
76. ცივ-ცივი ამბები (ფილიანდელთა შესახებ)	184	„
77. შენიშენა	192	„
78. შენიშენა	193	„
79. აფორიზმები	194	„
80. 1875 წ. 4 აპრილს (სალიტ. საჯამოზე)	196	„
81. შენიშენა 1876 წ. 8 აპრილს	197	„
82. მშვიდობიანობა თუ ომი?	198	„
83. ა. ნ. ბარათზე პასუხი	203	„
84. ზიგო დიდასთან მიწერილი წერილი	208	„




ნაწილი პირველი.




კოეზიკა:

ლექსები & პოემები.





დეს რომ მე დავლონდები,
იმ წამსვე მომაგონდები,
სადაც რომ იყო, მოგძებნი...
ხან ვმღერი, ხან ავსტირდები.





ბ ე ლ უ რ ა .



ბა ბელურავ! თუ ძალგის ღონე,
მე საწყალი ხმა მეც გამაგონე, —
არის გულისა მწარე მახვილი
მე შენი უცხო ასე ჭყავილი.

მეცი, რასაც გრძნობ, რაზე დასწუხხარ,
რომ გამხმარ ჩხირზედ ნაზათა ზიხარ.
მის მეტი, ვგონებ, აღარ გიკარებს
და მწვანე ფოთოლს აღარ გაფარებს.

ხვედრმა და ბედმა მოგცა სახელი,
შოველ კაცისგან მეტათ საწყევლი.
შოველნი ერნი ცუდათ გიცნობენ
და ხორბლის ქურდსა შენ გიწოდებენ.

მაგრამ ნუ ჭყივი, ნუ გეშინიან;
შენ ასე ძლიერ ნუ მოგწყენიან,

ქურსაც ნუ უგდებ იმ ტყულსა ქორსა, —
ღმერთი იქ იცნობს ბრუნდე და სწორსა.

შენ გიჯობს ისევ, ნულარ ღონდები,
და იმ ქორებით, სჯობს, ნუ მონდები,
შრომა გასწიე, სარჩო იპოვე,
შენი სიმართლე ღმერთთან ითხოვე.

სანამ ზაფხული, თავის სიმდიდრით,
ბარჩენს, გაცხოვრებს სრულის სიუხვით,
მანამ იფრინე, იმხიარულე, —
და ზამთრის დროსა, სჯობს, იმარხულე.

მახსოვხარ, ჩემო ბელურავ, მისთვის,
რომ შენებრ ქურდად მეცა მძრახიან
და სული, გული მისთვისა მებრძვის:
„მეგრელო, ქურდო“ სულ მეძახიან.





უ გიყვარდე, აქ მობრძანდი,
ჩემთან კრემლი მოიწურე,
რადგან ძმურებრ შემიყვარდი,
ბულიც ძმურათ გამიხურე.

ჩემი წყლული გიჩნდ ს წყლულად,
ზიყვარდე მე მგალობელი,
იყავ ჩემთან მხიარულათ,
თუ ხარ სანდო მეზობელი!...

ხელი მომეც, და მიფიცე, —
მკითხე, გეტყვი თუ რაცა მჭირს,
და მაშინ სკან დიახ მტკიცე
მწუხარება რაც გულსა მჭირს.

ძარგი არის, შემეწიო,
ძვეყნათ ობოლს მიქნა ძმობა.
მაშინ გიცნობ, ჩემო ძმაო,
თუ რომ გიყვარს მეზობლობა.





ათ შერება თვალი, რისთვის ზალორებს,
რათ წარმოადგენს ჩემ საყვარელად
იმ უცხო ფრინველს, მის კოკობსა ნხრებს,
რადგან ჩემთვის არს მიუწოთქელად.

ჭუნჭერ სადაც ზის, თვალწინ მიდგია,
ჭუძახი, მაგრამ ვერ გავაგონე;
რით მოვახედო, ვერ გამიგია,
რა მეშველება, ვერ მოვიგონე!...

აბა გამოვცდი, დიდს დავიყვირებ,
მგებ, ვინ იცის, გამოიციქიროს,
ან და დავჯდები, მწარეთ ვიტირებ,
ვგონებ, მაშინ კი გამოეტაროს.

არა, ასე სჯობს: მივეპარები,
ჩუმათ დავიწყებ შორიდან ჩურჩულს,
იმ წამს შევატყობ, თუ ვებრალევი,
შემიცოდლებს შორიდან მისულს .

ჰიდეც ვიყვირე, იქაც მივედი,
მეხეტებოდი აცრემლებული,
მაგრამ ფუჭია ჩემი იმედი!...
და ყოლგან ვიქჰენ მოტყუებული.

რათ შვრება თვალი, რისთვის მატყუებს,
.
.
.

მსწყევლი იმ თვალებს აღშფოთებული,
რომელმა მე ის გამომიბრწყინა;
დამაგდო მითი ატირებული,
და ჩემ სატრფოდა გამოაჩინა.

მგერ ბრძანდება მშვენებით სრული,
სამოთხის ჩიტად გაბრწყინებულა.
მიკვირს, რათ სტკივა მას ჩემზე გული,
რომ ასე ძლიერ განმშორებულა.





აზათხულსა მოვესწარი,
მხედავ ბუნება იცვლება,
ხმელის ხეების შტოები
მწვანე ფოთლით იმოსება....

მაშ რა უჭირს საყვარელსა,
იმანაც რომ გაიხაროს
და ჩვენზედა ამა წელსა
მწყრალი გული შეიცვალოს.



მუქღვნი ანსა და ნარსა, ონსა და ხანსა.



რთსა მშვენიერს მაისის დილას
ბამოვედი მე მარტოკა ველად.
და დროს ვეძებდი იმავე ადგილას
წყლოლის გულისა განსაქარველად.

დასტურ ბუნება თანამიგრძნობდა
და თავის სიშნოთ გულს მიხარებდა,
სხვადასხვა პირუტყვთ ხმიანობითა
ღვთისა დიდებას აღიარებდა.

იქვე მოვძიე მე ბუჩქის ძირი,
სადაც მივსხედი და ვმშვიდდებოდი
და ისე ჩუმათ, ვითარცა გზირი,
იქით და აქეთ ვიყურებოდი.

(დაუმთავრებელია).





ათენებულა, ცუდი დილაა.

ალბათ, ღამეცა ცუდი ყოფილა.

მაშ ეს სიზმარი სულ ოცნებაა,
რომ ვარსკვლავები ცაზე მეჩვენა!
ნუ თუ მართლადაც ცა არ ნათობდა
და განთიადი სულ არ ბრწყინავდა;
მაშინ, როდესაც მე ოცნებამა
მთვარე ნათელი ტყვილა მაჩვენა?
მაგალითი ხომ ბევრი ყოფილა,
არე მარე რომ ბნელსა დაეხმოს;
მაგრამ განთიად ვარსკვლავ ბრწყინვალეს
ღილა სანატრი, კარგი დაეწყოს.
მაშ ეს სიზმარი და ეს ოცნება
სახსოვრად უნდა გულის შემენახოს,
რადგან სიზმარში ასე მინახავს,
მაშ ცხადათაცა უნდა მენახოს!

II

ასე მინახავს მანამ სამშობლოს
ნაწყვეტ-ნაწყვეტად თავს უგროვებდენ.
ახლა დავესწარ, თვალიც მოვკარი:
მამულსა ჰყიდდენ, აგირავებდენ.
ზახსოვს ნამუსით, პატიოსნებით
საქმესა სკრიდენ და ათავებდენ?

ახლა რომ ვხედავ, მუდამ კინკლობენ,
 მუდამ შურია, მუდამ დაობენ.
 ძურდ-ავაზაკი, სულით ღატაკი
 მანამ ჩვენშია მუდამ ზრახულა;
 ახლა შეხედეთ, პატისა სცემენ
 და საზოგადოთ გამოპრანქულა.
 მაშ ეს სიზმარი და ეს ოცნება
 სახსოვრად მინდა გულს შემენახოს,
 რადგან სიზმარში ასე მეჩვენა,
 იქნებ ცხადადაც უნდა მენახოს.
 თამარ დედოფლის დროსა ქალებსა
 ბამოუზრდიათ შვილნი გმირები,
 ძლიერ შვენოდათ თავზე ლეჩაქი,
 პირზე ნამუსი, თავზე კავები.
 ახლა რომ ზოგსა დააკვირდები,
 შურზე წიკწიკებს მარგალიტები,
 მშხითა ელავს უცხო თვალები,
 ბატინტრაქულა გული-მკლავები.
 უნდა წავიდეს ეს მწუხარე დრო,
 უნდა დაადგეს სხვანაირ გზაზე.
 ამ დროს სხვა შრომა მონდომებია,
 სხვაფერ სიმღერა ძველებურ ხმაზე.
 ამ ბნელ ღამეში მინდა ბედკრულსა
 ტკბილათ ქვეყანას შემოვხაროდე;
 სიზმარი მტანჯავს და ვერც გავუძლებ,
 რომ გათენებას არ მოველოდე.





ათ არ გიძგერს შენ გული,
სასოებით შემკული;

რათ არ შეგებრალემა
ბული ეშხით შეკრული?

თუ სოფელი ჭრელია,
სხვისი გული ტრელია,
ჩემმა რა დააშავა,
ზასაგებად ძნელია?

თუ შენთვისა დავდნები,
ძვესკნელს გარდაღვარდები
და შენს წელსა უნანო
სარტყლად შემოვაკვდები,

თუ თვალემა გამაქრობს,
თუ ლოყემა გამახმობს,
თუ ტუჩემა ღრმილი
ჟინულივით დამადნობს,

თუ კი შენ წინ სუსტი ვარ,
თითქო ნორჩი ბავში ვარ,
მხედავ, დამწვავ, დამხრუკავ,—
მაინც შენთან მოვდივარ.





ენს თვალ-წარბში სიხარულნი არიან,
სული, გული შენს ნახვასა სჩქარიან;
მე ვერ გეტყვი, როგორც სხვები გეტყვიან:
„შენ რომ გინდა, იმისთვის არ მცალიან,
„შენს თხოვნაზე მეცინება ძალიან!“

თუ პირდაპირ შემომხედე თვალებით,
ბული მეწვის ცხელის ცეცხლის აღვებით,
თუ კი გამკარ შორიდან და გარებით,
ბულს დამიჭრი ისრითა და ხმალებით.

შენს ნახვასა ვნატრობ და მიხარიან,
შენნი თქმანი ბულბულივით მღერიან;
მე ვერ გეტყვი, როგორც სხვები გეტყვიან:
„შენ რომ გინდა, იმისთვის არ მცალიან,
„შენს თხოვნაზე მეცინება ძალიან!“

მეგობრობას ძველებურათ ვიგონებ,
შენს სიყვარულს საფლავამდე ვიწონებ,
მოშორებას მანამდურათ ვიღონებ,
შენს სახესა შემკრთალ გულზე ვიკონებ!

შენი თვალნი, ეშხით მთვრალნი, მცქერიან,
მეც მიყვარხარ; გული, გრძნობა მძგერიან;
მე ვერ გეტყვი, როგორც სხვები გეტყვიან:
„სხვა ეძებე, მე შენთვის არ მცალიან,
„შენს თხოვნაზე მეცინება ძალიან!“





1868 წ.

ი მ ე ლ ი *).

(მიბაძვა შილერისა)



სეა, ძმაო, წუთი სოფელი:
აწმყოისათვის ჰფიქრობს ყოველი;
მოელის კეთილს სიამოვნებას
და მონობითა მისდევს დროებას.
მაგრამ სოფელი ხან გაიშლება,
ხან ბნელსა ფარდას ჩამოითარებს;
კაცი თვისს ხვედრსა აღარ სჯერდება
და სულ უკეთესს იმედოვანებს.

იმედი მარად მასთან თამაშობს,
ვით დედა შვილთან, ტკბილადა ხარობს.
შმაწვილს ატარებს, გულსა უყვავებს

*) დაბეჭდილია „დროება“ № 5, 1869 წ.

და მოხუცსაცა მითი აპურებს,
რომ შემდეგ სოფლის მოშორებისა
მოელის დრო მას ნეტარებისა....

მხ!.. ეს არის ფუჭი იმედი,
მფრინავ აზრებში დაბადებული:
ჩვენ ვიცით, ველით, გვიხარის ბედი,
რომ აღსრულდება ჩვენი იმედი:
ეს იმედია — ჩვენი რწმუნება
და მისგან ტყვილი როგორ იქნება!...

ქუთაისი, 1868 წ. 15 აგვისტო.



ქება შრომას *).



მ. ქ. შ. შ.
მ. ქ. შ. შ.
მ. ქ. შ. შ.

ინც მუდამ მიწასა სჩეჩავს
ან ჩაქუჩით ქვას ამტვრევს.
შინც კალოზე პურსა ლეწავს
და ლუკმაპურს თავს აქმევს,—

აფერუმ მისსა შრომას,
ქება იმისს ოფლის წვეთს,
ქება მისს მუშურსა ხმას
და მისს მარტოხელსა ბედს!

შინც გუთანს მისდევს ოფლით
და მუშურს აღიღინებს,
შინც ტვირთითა და ოხვრით
ცოლშვილს ძლივს-და აპურებს,—

*) დაბეჭდილია: „დროება“ № 40, 1869 წ.
აგრეთვე „სასოფლო გაზეთი“ № 18, 1869.

აფერუმ მისსა შრომას,
ჰება იმისს ოფლის წვეთს;
ჰება მისს მუშურსა ხმას
და მისს მარტოხელსა ბედს!

არ დაგავიწყდესთ ისიც,
ზინც ჭკუითა მუშაობს,
მაგრამ სოფლის მუხდლობით
ლუკმა პურსაც ძლივს ჰპოვობს...

აფერუმ ყოველ შრომას,
ჰება ყოველს ოფლის წვეთს,
ჰება მუშის მუშურს ხმას
და მისს მარტოხელსა ბედს!

ქ. ქუთაისი. 1868 წ.





1869 წ.

კარგის ცოლის კატრონი.



რ მყავს მე ძმა და ამყოლი,
პრც ამხანაგი და ტოლი,
მაგრამ ღმერთსა მოუცია
ჩემთვისა ლამაზი ცოლი.

ერთობ არის მშვენიერი,
თითქმის მტრედი ზეციერი,
თვითონც ხარობს ქვეყნიერათ
და მეც ვყევარ ბედნიერი.

როს სტუმრად გარდააბიჯებს,
ლოტოში ფულებს მოიგებს,
აფიცერი თავს დაუკრავს,
„იარანალიც“ დაჰპატიუებს,—

თავს მოირთავს, მოიკაზმავს,
ლოყას უცბათ შეიღებავს,
ახალ კაბის მონარჩენით
მეც უიღეტკას შემიკერავს.

ქიდევაც მთხოვს, კარგი ღვინო
ღავლიო და მოვიღხინო,
როს გადავკრავ ლოთიანათ,
ღავსწვე, ტკბილათ დავიძინო.

მე, მართალი მოგახსენო,
იმედს მომცემს, მეტყვის: შენო
ნუ სწუხდები კნეინასთვის,—
მე იმას არ მოვაწყენო.

მართლაც რომ, კნეინას გული
ღაურჩება მოხარული
და ჯიბეში გამოჰყვება
აბაზები გამოკრული.

და ჩემთანაც იარანალი
ღიდის მორიდებით არი,—
ჩინი, ადგილი და ფული
ჩემთვის ყოველთვის მზად არი...

ღმერთო, რა მოსაწონია
ქარგის ცოლის შეყვარება!
ამ სოფლათ იმას ჰქონია
შოვლათ სრული ნეტარება!...

და მაშინ მეც თან წამიტანს,
იარანლის სახლში მიმიყვანს;
ის დამხვდება მასპინძლურათ,
ქახურ ღვინოს გამომიტანს.

ქუთაისი 1861 წ.



I



ავ ზღვის პირს ვიყავ ერთხელ მავალი,
 მსჭვრეტლი შფოთავდამღელვარე წყალი;
 მაგრამ მე გრძნობა სხვამ რამ მომტაცა,
 მე ჭაბუკს მოვკარ უეცრათ თვალი.
 ჭაბუკი იყო ტკბილაა მძინარე
 იმ დროს, როდესაც მე ჩავუარე;
 არ მიქნა გულმა, — მინდოდა მეცნო
 და ხმის გაწყვეტით მას მივეპარე.
 მაგრამ გამიგო, წამომივარდა,
 მრისხანე სახით ჩამცქერებოდა
 და გაოცებით უკან იხევდა,
 თითქოს გაქცევას ეშზადებოდა.

II

მე ვუთხარ: „ძმაო, რა დაგმართნია,
 რომ შიწი მუდამ გულს ჩაკვარდნია;
 რისთვის გიფეთქავს, ჭაბუკო, გული
 და ჩემებრ ძმისა რად გეშინია?“
 ამოიოხრა და მითხრა: „ძმები
 არ მყვანდა, ძმაო, მე საძებარად,
 ახლა, შენც ჰხედავ, უძმოდ კვდები
 და არც ვარგივარ ძმათა სახმარად...“

*) დაბეჭდილია: „დროება“ № 15, 1869 წ.
 „სასოფლო გაზეთი“ № 8, 1869 წ.

აი, ამ ზღვითა ჩემი მშობლები,
 ჩემი ძმები და ამხანაგები
 წავიდენ ერთათ შორს ქვეყანაში
 და მე აქ მარტო დავიარები.
 ბედმან ჩამაგდო მწუხარებაში,
 ჩემი სიცოცხლე რაღას ვარგია,
 რადგან ძმები და სამშობლო მხარე
 ღმერთს ჩემთვის ყველა დაუკარგია!..
 მაშ რაღა არის მისი ცხოვრება,
 ვინც ჩემებრ მოძმეს არ ეხმარება?
 მერწმუნე, ძმაო, მას დაუკარგავს
 ამ სოფლიური დანიშნულება“...

III

როს გაათავა იმან ეს გრძნობით,
 აღმევსო გული საკლავ სიტყვებით;
 მაშინ მან მხარზე გადიგდო თოფი
 და მითხრა: „ძმაო, აწ კი მშვიდობით!“
 მორჩა, გათავდა. ჩემი ჭაბუკი
 ბზასა გაუდგა დაფიქრებული.
 ამოიხვნეშა საწყალობელმა
 და მეც დამტოვა დაღონებული.
 მაგრამ შევსწირე უფალს მადლობა
 მისთვის, რომ ვნახე მე ერთი სული,
 რომელსაც ჰქონდა კეთილი სული
 და მოძმებისა ღრმა სიყვარული.



I



ახსოვს, პირველათ სასწავლებელში
 წასაყვანად რომ მე გამამზადეს,
 მაშინ ანბანი მომცეს მე ხელში
 და შინაურათ მე გამომცადეს.
 ჯერ „ანი“ მკითხეს და მერე „ნარი“,
 მაგრამ ყველაზე ვუთხარ უარი.
 რა კი დარწმუნდენ არა ვიცოდი,
 მაშინ-კი ჩუმათ გამიღეს კარი
 და მითხრეს: „რადგან აქ არ ისწავლე,
 სასწავლებელში წადი, იწვალე,
 იქ გაჩვენებენ შენს თვალის სეირს,
 თუ ეს სიცელქე არ მოიშალე“.

II

მხედავდი, მინდვრებს რომ ვშორდებოდი,
 ნაჩვევ ბაღებსაც ვეთხოვებოდი,—
 ღაღონებული მწარედ ვსტიროდი,
 მაგრამ არავის ვებრალებოდი...

*) დაბეჭდილია: „დროება“ № 27, 1869 წ.
 აგრეთვე „სასოფლო გაზეთი“ № 13, 1869.

მხოლოდ ეს მახსოვს, — გადმომყვა დედა
და მითხრა: „შვილო, კმარა, ნუ სტირი,
ვინც სახლში დარჩა, რა გააკეთა,
ვინ მოიშორა თავიდან ქირი?
ბიყვარდეს სწავლა, გულმოდგინება, —
შრომა და ტანჯვა ნუ გეზარება,
თუ შენი შრომა და შენი ტანჯვა
სამშობლოს რადმე გამოადგება...“

III

„მცადე ძლიერ და გქონდეს სმენა, —
ქარგია, შვილო, სწავლის შეძენა, —
მაგრამ ამას გთხოვ ყველაზე უფრო,
არ დაივიწყო სამშობლო ენა:
მერწმუნე, რომა გამოცდილია, —
თუ საძირკველი დანგრეულია,
მაშინ კედლების აშენებისთვის
შოველი შრომა დაკარგულია!
გეზარებოდეს ყველასთან შური
და როცა შეგვხდეს კაცი უძლოური,
იცოდე, რომ ის შენი ძმა არი, —
არ დაუკავო ღვინო და პური...“

IV

„ბიყვარდეს შენი მოძმე კეთილი
და მისთვის მუდამ გეწოდეს გული, —“

შენს მოძმეთ შორის და შენს მიწაზე
ბერჩიოს იყო შენ დამარხული:
ტანი უსულო და უგრძნობარე
თუ გინდ შინ იყოს და თუნდა გარე,
მაგრამ როგორღაც. დედაშვილობამ,
სანატრელია სამშობლო მხარე“...

V

ამ სიტყვებითა დედაც მომშორდა,
და ეს მას აქეთ დამამახსოვნდა, —
რომ ის ამ სიტყვებს გრძნობით ამბობდა,
თვალთაგან ცრემლებს ფრქვევა გაჰქონდა.

.

ქუთაისი
1869 წ.



ქ ე ი უ ი. *)

(ვუძღვნი მ. ბ. ფ.)



აღეგ, ბიჭო, დაჰკა ტაში,
თავს ვაძღვევ მე დავიწყებას;
შენ თავი რად ჩაგიღუნავს,
სთქვი, რაცა გაქვს გუნებაში!

დაჰკა ტაში, შემომხედე,
აბა როგორ მოვილხინო!

ლამაზ გოგოს,
წითელ ღვინოს.
ქაცმა როგორ
არ დამღეროს!
იარი, იარი,
თარი არი
ადეგ, ადეგ
დაუკარი!

*) დაბეჭდილია „დროება“ № 39, 1869 წ.

მეც მახსოვს, ყმაწვილობაში
მეყავ კარგი ტოლუმბაში;
ღვინოს ვსვამდი მოწიფულათ,
მიყვარდა გოგოს თამაში.
ახლაც როს მოვალ გრძნობაში
და რიას ვარ ტოლ ამხანაგში,
სხვაში არ ვვარგვარ, თორემა
შვარგვარ ბახუსის ყმობაში.

და ამ გოგოს,
წითელ ღვინოს
ტაცმა როგორ
არ დ მღეროს!
იარი, იარი,
თარი, არი!
აღეგ, აღეგ,
ლაუკარი!

რას მოგწყენია, წინუცა,
რისთვისა ხარ უგრძნობარი?
შნება ხომ არსით მოგეცა,
ან ვინა გყავს შენ უბარი?
მე თუ მხედავ, ხომ ჯელი ვარ
და ქეიფის მეგობარი:
მოყვარესთან მოყვარე ვარ
და მტერისა — მოჩხუბარი.

ღა ამ გოგოს,
წითელ ღვინოს
კაცმა როგორ
არ დამღეროს!
იარი, იარი,
თარი, არი!
აღეგ, ბიჭო,
ღაუკარი!

რა ვქნა, რაღა გაეწყობა,
მს სოფელი ასე არი:
მაშინ ყველა მავიწყდება,
თუ ჯამ თარით გადავკარი!
ძმაო, შენ რათ დამხაგრულხარ,
რისთვისა ხარ თითქოს მკვდარი?
აღეგ, გირჩევ, თარს დაჰკარი
ახლა ფიქრის დრო არ არი!

მაშ ამ გოგოს,
წითელ ღვინოს,
კაცმა როგორ
არ დამღეროს!
იარი, იარი,
თარი, არი!
აღეგ, ბიჭო,
ღაუკარი!

თუნდ რომ იყო მეფე ჴენა,
მერწმუნე რომ ვერას გარგებს,
მაელის ქვეყნისა ქონება,
მრთს წამსაც ვერ მოგიმატებს.
როს მოკვდები, ჩემო ძმაო,
ზენტვის რაა სხვა სახმარი?
მხოლოდ ტილო ცხრა ალაბი
და უბრალო ხის ფიცარი.

მაშ ამ გოგოს,
წითელ ღვინოს
კაცმა როგორ
არ დამღეროს!
იარი, იარი,
თარი, არი.
აღეგ, ბიჭო,
დაუკარი!

ქუთაისი
1869 წ.



(მუძღვნი ო. ა. წ.)



ხედავ, დღე მიდის და დაჰკრეს ზარა,
ღიღი ხანია, მზეც გადიხარა;
ბამოიცვალა მსწრაფლათ ჰაერი,
ღრუბელმაც ღრუბელს გადაუარა.

დაჰქრის ნიავი,
მიფრინავს ნავი,
და ზღვის სივრცესა
მივეცი თავი.

ჯერ გზა არა მაქვს გათავებული
და მისთვის მივალ დაჩქარებული;
ჩემთვის ერთია თოვლი და წვიმა,
თუ გინდ ზღვა იყოს აღელვებული.

მივსცემ ნიავესა
პატარა ნავესა
და მხნეთ გავცურავ
მავენესა ზღვასა

*) დაბეჭდილია „სასოფლო გაზეთი“ № 11, 1869 წ.

რას მიზამს დეღვა და ქარიშხალი,
თუ აღვასრულე მე ჩემი ვალი,
ვერ შემაშინებს მშფოთარე ზვირთი...
და გავირბინე მე გზა უვალი.

აწ მე ნიავსა
ვანებებ თავსა
და დავაყენებ
პაწაწა ნავსა.

შენი ჩანგიც ხომ, ძმაო, ტრიალებს,
მაგრამ ნიავი ვერას დააკლებს
და მოძმეთ შორის დაუვიწყარი,
იცოდე, რომ ყოველთვის გასძლებს...

და ნეტავ იმას,
ვინც უძლებს ნიავს,
და აღასრულებს
დანიშნულებას!

ქუთაისი
1869 წ. 2 მაისს.





ახსოვს ის დრო, ოდეს ტურფას
ბრძნობითა მეც დაეხაროდი,
მასთან ტიკტიკს, მასთან ყოფნას
სამოთხეშიც არ გავცვლიდი.

ბავივლებდი გულში ხშირად:
„ვენაცვალე ჩემსა ანას,
რა ლამაზი არის პირად,
ვინ სკვრეტს ქალსა იმისთანას!“

მაგრამ ახლა ჩემი ანა
მორჩა და არ გამიტანა.
ღმერთმა ყველას აგაშოროსთ,
ძმანო, ბედი ჩემისთანა!

ოდეს მიგვიანდებოდა
და მის ამბავს ვერა ვცნობდი,
ჯავრით გული მიკვდებოდა
და ტანჯვასა მარად ვგრძნობდი.

მაგრამ ახლა მორჩა ანა,
სრულებით არ გამიტანა.
ღმერთმა ყველას აგაშოროსთ,
ძმანო, ბედი ჩემისთანა!

*) დაბეჭდილია „დროება“ № 35. 1869 წ.
„სასოფლო გაზეთი“ № 16. 1869 წ.

სანამ ვიყავ მე მასთანა,
სანამ სახე მიყვავოდა,
მანამ თურმე ჩემი ანა
ღრფობის ძალით დამხაროდა.

ახლა რა სცნო, რომ ქალარა
თმაშიდა შემომეპარა,
მსწრაფლათ ჩემგან სიყვარულმა
რიდით სახე დაიფარა.

ღა ახლა სულ მომრჩა ანა,
მომრჩა და არ გამიტანა.
ღმერთმა ყველას ავაშოროსთ,
ძმანო, ბედი ჩემისთანა!

მე შეცდომა მომივიდა,
ახლა რაღა გაეწყობა!
მაგრამ სხვასაც შიში მართებს,
ვინც დედაკაცს დაენდობა!

ვიცი, რომე ბევრმა სულმა
ღამაზს გული დაამყარა;
მაგრამ ჩემებრ სიყვარულმა
ბოლოს ყველას დაამწარა.

ვმადლობ ღმერთსა! მომრჩა ანა,
მომრჩა და არ გამიტანა....
თქვენ-კი ღმერთმა ავაშოროსთ.
ძმანო, ბედი ჩემისთანა!

1869 წ. 4 აგვისტოს
სოფ. ქალადიდი.





ნეტარ არს კაცი, რომელსაც გული
არა ჰქონია მუდამ დახშული,
და ერთხელ მაინც გულისა ნება
სრულათ ჰქონია მას გამოთქმული.

ნეტარ არს კაცი, რომელიც სოფელს
და მის ტალღას არ შეჰხუებია;
თავისა მტერსა და დაუნდობელს
მეგობრულადა შეჰგებებია.

ნეტარ არს კაცი, რომელს სიმდიდრით
სავსე ზანდუკი არ ჰქონებია;
მაგრამ რაც ჰქონდა, კმაყოფილებით
იმითი მაინც უცხოვრებია.

ნეტარ არს კაცი, ის ვინც შავ თვალებს
და მისს ესარს არ შემსჭვალებია,
ვინც იმის ღელვას არ დაჰკანკალებს
და მისი შხამიც არ ჰგემებია.

*) დაბეჭდილია „დროება“ № 38, 1869 წ. „სასოფ.
გაზ.“ № 19. 1869 წ.

მაგრამ ნეტარ არს კაცი ის უფრო,
. შინც თავისს ბედს არ გასჩერებია:
სანამ მის გულში სევდას გაეელო,
მანამ ამ სოფელს მოჰშორებია!..

1869 წ. 14 აგვისტო
ს. ქალაქიდი.



ანუ სატანიდან საჩუქარი.



ცნებით წარმომიდგება
 მრთ ღამის ტკბილი სიზმარი,
 . ღა ჯავრით სული მიქრება,
 მდეს ჩემს გულში ის არი.

მრთ ოთახში, ბნელსა ღამეს,
 ღაღალულსა, დამეძინა...
 მყის რაღაცამ საყულოზე
 შრიალი გააყრევენა.

მეგონა, თუ ტრფობის სახე
 მე ნიმუშად დავინახე,
 მაგრამ გულს რომ ხელი ვახე,
 საკვირველი რამე ვნახე!...

არ ვიცი, ვის მოეტანა,
 ანუ ვის გამოეგზავნა,
 მღონდ ვნახე, ყელზედ ჯილდოთ
 ღაეკიდნათ ჩემთვის „ანა“.

მაგრამ სოფელი ცრუ არი
და ნეტარება ყოველი
წამ ერთ ჩვენ თვალ წინ რომარი,
მერე მის ნახვას ნუ ელი.

და ისე ეს ჩემი ანა
სატანას გამოეგზავნა;
მცირედ გულზე დამაკარა,
მერმე მსწრაფლათ გააქარა.

ბავიღვიძე და ჩემ ხელსა
მალმალ ყელზე მოვისობდი,
ამ ჩემს სიზმარს იმლამდელსა
ღაღონებულათა ვგმობდი.

მას აქედ მე ყოველსა წამს
ცხადათ ვამბობ ყველასთანა
და გულშიაც ბევრჯელ მითქვამს:
„რა კარგია ყელზე ანა!“

მე მზათა ვარ, თქვენს მზეს ვფიცავ,
თუ გინდ მკერდზე დამცენ დანა,
მღონდ ჯილდოდ დამანებონ
იმლამდელი ჩემი ანა!

ქ. ქუთაისი 20 სექტემბერს 1869 წ.





ხედავ, ამ სოფლათ არა მაქვს შეველა,
სჯობს, რომ ვეძიო სხვაგან ბანაკი:
მისაც შევხედავ, მემდურის ყველა
და ეზიზღებათ მათ ლაპარაკი.

ის საიმედო ქვეყნათ ქმნილება,
რომელიც ჩემი მხსნელი მგონია,
თურმე ორპირობს და მეფერება,
თურმე მას გულში სხვა რამ ჰქონია!

ქურში ჩურჩული, პირმოთნეობა,
დახედეთ, როგორ გახშირებულა,
თქვენ რომ გინახავსთ, ის წმინდავერცხლი
ამ დროებაში გაყალბებულა.

ჰხედავთ, აგერ კაცს, ჰკენესი¹, გულჩვილობს
და ამბობს: „ჩემი სამშობლო მიყვარს“;
მაგრამ შეატყობთ, რომ ის ორპირობს
და მოძმეს სისხლით მას ხელი უყარს.

ამის შემხედავს რად მეძრახება,
ზიყო მტირალი, სული მხდებოდეს,

*) „დრ.“ № 42, 1869 წ., „სახლთ. გაზ.“ № 21, 1869 წ.

ქაცის სიკოცხლე და ნეტარება—
შველანი ერთათ მავიწყდებოდეს.

მე აღარ ვეძებ, არ მენალვლება,
თუნდ უბედური ბედი მხვდებოდეს,
და გული ისე არ მომიკვდება,
რომ ბედნიერი ვინმე მრჩებოდეს.

მაგრამ არ ვხედავ, არ ველი შველას,
დაე ყორნებმა მაინც დამღერონ.
და ვსთხოვ მოძმებსა ერთობით ყველას
ჩემს გულის ლოდზე ასე დასწერონ:

„მოიხსენიეთ აქა მდებარე
მუხთლის სოფლისგან აღრე დამკვნარი;
ვისაც მიენდო, ყველგან წააგო
და მისთვის არის ლოდ ქვეშ მწოლარი!“

მაშინ, ვინ იცის, ეგებ გამოჩნდეს
ადამიანი, რომ თანამიგრძნოს
და ჩემის გულის უხსნელი დარდი
ამ სტრიქონებში მან გამოიცნოს.

ქ. ქუთაისი
1869 წ.





ინც უნდა იყო, მწერალო ჩემო,
 მიყვარს მე შენი გამოთქმა გულის;
 შენა გაქვს გრძნობა, შენა გაქვს გემო
 მართობის, ძმობის და სიყვარულის!

არ ველი შენგან, ჩემო კეთილო,
 ბედკრულის კარზე რომ ჩაიარო,
 ის ნახო უღვთოთ შენ დაჩაგრული
 და შეუბოვრათ არ აღიარო.

მიყვარს სიმართლე, გიყვარს კეთილი,
 მტერი ხარ მარად ფარისევლობის;
 შენ ხარ მონატრე, შენ ხარ მსურველი
 შენის სამშობლოს კეთილდღეობის.

მაგრამ ეს მიკვირს, ჩემო მწერალო,
 რომ შენი ბედი სხვის ბედს არა ჰგავს:
 ბხედავთ კარგიხარ, გხედავთ-- უმანკოს,
 მაგრამ თანმგრძნობი მაინც ცოტა გყავს.

*) „დროე“ № 44, 1869 წ.

ნაცვლად მისა, რომ შენ პატივი გცენ,
მოგელის შური, ლანძღვა და თრევა!
არ გზოგვენ, ძმაო, მოგკლან და დაგცენ,
ვინც რომ კი შესძლებს და მოგერევა.

რა გაეწყობა! ისევ გამაგრდი!
ბასწი, განაღე სიმართლის კარი.
ღაე, ნუ დასდევ, ნუ გენაღვლება,
თუ მოგიძულებს შენ წინაპარი.

მს კი იცოდე, რომ გრძნობიერათ
მოდმესა შენსა რაკი უთხარი,
ის დაურჩებათ იმათ სახსოვრად
ღა ის იქმნება დაუვიწყარი ...

ქუთაისი
1869 წ. 12 სექტემბ.



გ ა მ ო ო ო ა ნ ა *).

(მიბაძვა შილლერისა)



რის ერთი ცეცხლი სოფლათ
საშინელისა თვისების, —
მოხუცს არ აგდებს არაფრათ,
შმაწვილს კი მსწრაფლათ ენთების.

რა კი ერთხელ ნაპერწკალი
მისი საღმე ჩავარდება,
იმ წამს ცეცხლი გაუქრელი
იმ ადგილსა გაუჩნდება.

თუ მოშორდი, გაეყარე,
მაშინ უფრო მოგენთება,
და თუ ახლოს მიეყარე,
მაშინ ტკბილათ ჩაგიქრება.

ტუთაისი

1869 წ. 28 სექტემბერს.



*) „დროება“ № 45, 1869 წ.



აბურულს, ღრუბლიან-დღეში
ზაღადღივარ მე წყლის პირად,
ზაღადკივლებ გაღმა ტყეში
და ხმას მომცემს რაღაც ხშირათ.

ხშირათ ეს ხმა საკვირველათ
ამ დაბურულს, ღრუბლიანს დღეს
ზანმიბრწყინებს ათასფერათ
და მაყვარებს ამ ჩემსა ტყეს.

ტყეს უსიტყვოს, ტყეს დაფარულს
მემის ჩემი მწუხარება,
პასუხს აძლევს ნაღვლიანს გულს,
და მიქრება მდულარება...

ვიცი, მჯერა თანამგრძობელს
ამ ქვეყნად ვერ ვინ მანახვებს,
მაშ ისევ ტყესა საყვარელს
ზავძახებ და გამომძახებს!

*) „დროება“ № 45, 1869 წ.





ცუშინ გაველ ბალში დილით,
 იქ იყო ბევრი მტვერია; —
 ვნახე კაცი, ჩერქეზულათ
 მას მოუშვია წვერია.
 მდიდრათ ჩაცმული, მორთული,
 ლამაზ ქალებში ერია;
 მაგრამ საწყალის დედ-მამა
 თურმე მწარეთ მშიერია.

მეგრ ყმაწვილს სიღარიბით
 მძიმეთ შეცვლია ფერია,
 მაგრამ სიფრანტე იმისთვის
 სრულებით არაფერია.
 იმას ჩოხისა ნაოქი
 ნაჭრებთ დაუკერია,
 მაგრამ თავი კი საწყალსა
 კაცურათ დაუქერია.
 აგერ ერთ პატარა ქალსა
 ხაბარდა გაუბერია;
 მაგრამ ტუჩები დალოცვილს
 საშიშრათ გაუშვერია.

*) „დროება“ № 6, 1870 წ.

- შეხედეთ თმასა და პირსა
 უცხოთ მას შეუფერია,
 მაგრამ თურმე ის ნამდვილათ
 ასი წლისა ბებერია.
 ღედოფლურათ იმას თავი
 ამაყათ აუღერია,
 თავისი ყოფა ცხოვრება
 ძაბაზე დაუკერია.

აქ ერთი პატარა ქალი
 ჩვენებურების მტერია,
 პარიჟული მოდა უყვარს,
 ჩვენებს მძიმეთ გაბლვერია;
 არ მოსწონხართ იმას თქვენა
 ღა თავისა მოყვარია;
 თქვენც რომ ნახოთ, ასე იტყვით:
 „ვისი ტიკი-ტომარია!“

მართის ქალის მწუხარე გულს
 ტკბილათ აღარ უძგერია,
 მისი ლეიბი, ბუმბული
 შოფილა— ხმელი კერი;
 მაგრამ პატროსნებისა
 ის არ ყოფილა მტერია,
 ღვთის მოყვარება და ნდობა
 მუდამ მას ხელში სჭერია.

ერთი ძმა მყავს მე ერთგული
დავთარი შეუკერია,
ჩემი სახელი და გვარი
ლოთებში ჩაუწერია.
მეორე მყავს იმისთანა,
რომ პირში ის მოყვარეა
და როს პირსა ამარიდებს,
მომკლავს, თუ კი მომერია.
ამ გვარები ამ სოფელში,
ძმაო, იცოდე, ბევრია;
მოუფრთხილდი სოფლის ჟღერას
მანამ გზები აგერია!

აწი კი წავალ რაქასა,
ძვეყნები მომიარია;
რაქას მოვდივარ, რაქასა,
რაქისკენ მიმიხარია.

ქუთაისი
1869 წ. 8 დეკემბერს.





ბა თუ იცნობ, აქ რა სწერია,
 ან ჩემ გულს ვისთვის აქ უძგერია;
 მის ლოცულობდა, ვის აღმერთებდა
 ბრძნობა საფსებით ვისკენ სჭერია?
 ამასაც გეტყვი: თუ გინდა მიხვდე,
 ბირჩვე, შენ გული დააიმედე,
 რომ ძებნით იმას ვერსადა ნახავ,
 თუ შენ გულშივე არ ჩაიხვდე.
 და თუ კი მიხვდი, აქ რა სწერია
 ან ჩემს გულს ვისთვის აქ უძგერია,
 ბაფიცებ თავსა, არ დაიძახო:
 „მს ვინ სულელი, ვინ ოხერია!“

ქუთაისი

1869 წ. 13 დეკემბერს.



(რობერტ ბიორნსიდან)



მე ჯიბეშია ორი კაპიკი, მაგრამ იმისთვის
 არ ვვალდებულვარ, ძმანო, არავის;
 შალში რას მივცემ, — არ მინდა მე სხვის,
 რადგან არ მმართებს არც მე არავის!


მე არ მყავს კაცი, მაგრამ არას დროს
 არც მე ვიყავი კაცი არავის;
 ღა უსათუძლოთ ვინმემ გამლანძლოს,
 არ მივსცემ ნებას ხმალით არავის!

მე მინდა ვიყო თავისუფალი ყველგან ყოველთვის,
 რომ საწყენი ვუქმნა არავის;
 საქმე არა მაქვს სხვასთან სრულებით,
 რადგან ჩემთანაც არ აქვს არავის!

ქალადიდი.

1869 წ. 28 დეკემბერი.

„დროება“ № 5. 1870.





1870 წ.

ქართველო ქალო! *)



ქართველო ქალო, მინა ხარ,
ჩემი მგრძნობელი კი არ ხარ,
მაგრამ, რაც იყოს და იყოს,
მე მაინც მართა მიყვარხარ!

შატყობ, რომ შენი გუნება
ჩემს გულს არ ემონება,
სხვისკენ გაჰქრის და მირბის,
სხვისკენ მიეშურება.

მეუბნებიან მე სხვები:
„რას ეტრფი, რისთვის აკვდები?
ქალები უნდო არიან, —
მოშორდი, ნუ ეხარბები!“

*) „ღრ. კალენდარი“ 1873 წ.

მაგრამ შენ მაინც მინახარ,
ჩემის გულისა ბინა ხარ;
რაც იყოს, იყოს და იყოს,
მე მაინც მართა მიყვარხარ!

ხომ იცი, ჩემთან რას შვრები:
არ იცდი, იმ წამს გაჰქრები,
და თუ ხარ, ან გული გიწუხს,
ან ნიდაყვს ჩამოაწვები

სხვასთან კი ცელქობ მარდათა;
ზხედავ მხიარულს ცხადათა;
მაგრამ იგინი ამბობენ:
„არ ვარგა არც ერთ ფარადა!“

მაგრამ ქართველი ქალი ხარ
და ჩემის გულის ბინა ხარ,
რაც იყოს, იყოს და იყოს,
მე მაინც გეტყვი: „მიყვარხარ!“

1870 წ.





ურეში ევდო გუდა დაცლილი,
 ხმელი ტყავივით უშნოთ გაშლილი
 როგორღაც კედელს არახუნებდა
 და ყურს ვირივით აპარტყუნებდა.
 ამ ყურებშივე სავსე ტიკჳორა
 ძედლისა ახლოს მძიმეთ ევორა.
 გუდა იმასა დაღრიტინობდა,
 მუცლის სისხოსა მას დასცინოდა.
 ბოლოს, ტიკჳორას გაუსკდა გული
 და მას შესძახა გაჯავრებული:
 „ახ! შე სულელო, ჩურჩუტო, გუდა,
 ახლა დამცანი, როცა დრო შეგვხდა?
 ნეტავ, ჩემსავით შენცა გაგბერა
 და ამ კედელზე წამოგაყუდა.
 მაშინ კი ნახავ მაგ საძაგელსა
 გაუძლომელსა შენსა მუცელსა....
 თურმე ჩვენშიაც ბევრნი არიან,
 რომელნიც სხვასა კი დასცინიან,
 მაგრამ თავზე კი დალოცვილები
 სრულებით აღარ იხედებიან.

ქალადიდი
 1870 წ. 2 იანვარს.

*) „დრ.“ № 7, 1870 წ.





ხედავ, მერცხალო, მალლა მფრინავსა,
ჭიკჭიკ-გალობით მევლები თავსა,
შრთას-ფრთას შემოჰკრავ, შორს იკარგები
მერე მწვანე ველს ჩამოეხრები.

ჩემო მერცხალო! მიყვარხარ გულით
და შენ შეგყურებ მე სიხარულით:
უცხო ქვეყნიდან შენ ხარ მოსული
და ჩვენს ბურულში დაბუდებული.

მუდამ ჭიკჭიკობ, ხარ მოხარული
სჩანს, რომ შენ გიყვარს ჩვენი მამული:
მოხვალ — პატივს გვცემ, გვასიამოვნებ
და ჩვენს სამშობლოს ტკბილათ ახარებ.

ჩვენის მზერითა რა კი გაძღები,
შენის ქვეყნისკენ ისევ გაჰყვები;
და მისთვის მიყვარს მაგ გულის დება
რომ თავის მხარე არ ავიწყდება.

მაგრამ მაშინ კი გული მიკვდება,
როდესაც კაცი გამახსენდება,
რომელს პირუტყვის გრძნობა ბევრით სჯობს
მით, რომ სამშობლო არ აგონდება.

ს. ქალაღიღო
1870 წ. 10 იანვარს.

*) „ღრ.“ № 5, 1870 წ.





მიყვარს ფაცხა მე მეგრული,
მთა-კორტოხზე წარმოდგემული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილის წკნელით ჩახლართული

სახლი მინახავს მორთული
ჰქონდა „პოლი“ გალაქული,
მაგრამ იმ სახლის მცხოვრები
იყო ტრელი და ორგული.

ჩემ ფაცხაში კი საწყალი
იღვა ერთი დაჩაგრული,
მაგრამ გული იმას ჰქონდა
ქეთილი და მასპინძლური.

მიტომ ფაცხა არ მორთული
მიყვარს, მთაზე წამოდგემული,
უფიცრო და უყავარო
წვრილის წკნელით ჩახლართული.

ზიცი სახლი ჩინებული,
გამოშალაშინებული,

*) „დრ.“ № 10, 1870 წ.

მზო, კარი და მიდამო
ირგვლივ შემოკავებული.

იქ ყმაწვილები ჩაცმულნი,
უცხო გვართ მოკაზმულნი,
იცინოდენ, თამაშობდენ
და იყვენ გახარებულნი...

მაგრამ ფაცხიდან ყმაწვილი,
ტიტველა და უფერული,
დედას ხან ეთამაშება,
ხან ჰყავს გულში ჩახუტული.

და ამრიგათ გამოზდილი
პაწაწინა უსუსური:
მამულ-დედულის და შრომის
მრწამს დარჩება მოყვარული.

ამიტომაც მიყვარს ფაცხა
დარიბული, არ მდიდრული,
უფიცრო და უყავარო,
წვრილის წკნელით ჩახლართული

ჩემ ფაცხაში „პეროქნები“
არ არის ვაკეთებული;

მაგრამ სუფრაზე მწვადი მაქვს,
ცეცხლზედ აშიშინებული.

მუდამ მზადა მაქვს ქადური,
რძე, ყველი და ხაჭაპური,
ღვინოცა მაქვს, — როგორც არის, —
მრი კოკა, ჩვენებური....

ღა მისი ვარ მეც ერთგული,
მორჩილი და მოყვარული,
ვისაც უყვარს ჩვენი ფაცხა,
წვრილის წკნელით ჩახლართული!

29 იან. 1870

ს. ქალაღიღი.





ხელავ ფარვანას მფრინავსა,
 ლამპარსა მიეშურება,
 მის აღზე ითფობს ის თავსა,
 ნელნელა ბედს ემღურება.

ლამპარი წრფელის გულითა
 ფარვანას ტრფობას არ უგრძნობს,
 ღახრუკავს საწყალს ალითა,
 მის ახლოს იმას არ ინდობს.

მაგრამ საწყალმა ტრფობიდან
 თავი ვერ გამოიყვანა,
 მიფრინავს ისევ ლამპართან,
 იხრუკვის ჩემი ფარვანა.


შენც იცი, ჩემო ლამპარო,
 ვინ არის შენი ფარვანა,
 მაგრამ ეს მიკვირს, ლამპარსა
 შენ ვილამ გამოვამგვანა?!

შენი ფარვანა საწყალი
 შენც ხელავ რისთვისა კვდება:

იხრუკვის, იწვის, იტანჯვის
და შენ კი არ გენალვლება!

მაშ ახლა, ჩემო ლამპარო,
მებრალვის შენი ფარვანა
და უგრძნობს შუშის ლამპარსა,
მიკვირს, რამ გამოგამგვანა.

ქ. ქუთაისი
1870 წ. 8 თებერვალს.





მოხუცო, შვილი გიყვარდეს,
რომ იქნეს შენი მგრძნობარი,
მცადე, დაგრჩეს კაცურათ, —
ღანიშნულებაც ეს არი!

ღაარიგებდე საწყალსა:
არ გახდეს მელა და ტურა,
შრომა უყვარდეს, ცდილობდეს,
იძახდეს „ურა“ და „ურა“!

ნუ გეწუხება შენ სიღარიბე
და ნურც დაგრჩება მისთვის ქონება,
მხოლოდ მას ჰქონდეს კაცური გრძნობა
და ურყეველი პატიოსნება.

ისე სჯობია, მამავ მოხუცო,
ჰქონდეს ღარიბი მას ლუკმა-პური,

*) „ღროება“ 1870 წ. № 13.

შეუშინებლათ თავისას სკამდეს,
შორ-შორს გაჰფანტოს ლანძღვა ღ შური.

ვინემ გველს ავით ხვრელში სძვრებოდეს
ღაცუნცულობდეს ვით მელა-ტურა,
და შრომის მაღლსა მხიარულათა
არ დასძახოდეს „ურა“ და „ურა“.

მერწმუნე, ჩემო პატივცემულო,
ის შვილი მშობელს ვერ გაახარებს,
რომელიც მტრელობს, ძმებში ორგულობს
და მელასავით დროსა ატარებს.

ის ყოფაქცევა, ჩემო მოხუცო,
ძაცისთვის, ვგონებ, აღარ იკმარებს,
და სამშობლოცა ამ გვარსა კაცსა,
აბა მითხარი, რათ შეიყვარებს?

მაშ ნუ გებრალვის მაგგვარი შვილი!
უთხარ: ნუ ძვრები ვით მელა ტურა,
მცადოს, მოძმეთ გაუხდეს ძმადა,
შრომას დასძახოს „ურა“ და „ურა“.

ის არ გეგონოს, რომ შენის შვილით
სამშობლომ კარგათ შენ მოგიგონოს,
რომ მელასავით ძრომა-კბენითა
თავის სიკოცხლე მან გაატაროს;

ის არ იქნება შენი მგრძნობარი,
არ დაგიდგება მარჯვენა 'შკლავში
და სამშობლოცა, მამავ მოხუცო,
ცუდაჲ ჩასძახებს შენსა საფლავში.

მაშ ნუ გებრალვის მაგგვარი შვილი:
უთხარ: ნუ ძვრება ვით მელა-ტურა,
მცადოს, მოძმეთ გაუხდეს ძმადა,
ზრომას დასძახოს „ურა“ და „ურა!“

ქ. თიფლისი.
1870 წ., 8 მარტს.



(„ქალო, ხაბარდიანის“ ხმაზე).



ქალაქელი ბიჭი ვარ,
საყვარელი მეცა მყავს,
სწორეთ, ერთის^ა შეხედვით
ბაფურჩქნულსა ვარდსა ჰგავს.

არ გეგონოსთ, ბიჭებო,
ჰგავდეს თქვენსა ღარიკოს,
და ჩემი საყვარელი
შცხო რამე არ იყოს!

აჰა, ჩემი ლამაზი
რა კარგის გულის არი,
მუყვარვარ და მეც მიყვარს,—
სიყვარულიც ეს არი!

არც ხელი აქვს, არც ფეხი,
არც შავ-შავი თვალები,
არც თეთრი ძუძუ-მკერდი,
არც ლოყაზე ხალები.

მაგრამ ცოცხლათ მისი ვარ,
მას არ გავებუტები,
მოვკვდები, ხელს დავიკრეფ:
მასვე ჩავეხუტები.

*) „დრ.“ № 12. 1870 წ.

აჰა, ჩემი ლამაზი,
რა კარგის გულის არი,
მუყვარვარ და მეც მიყვარს,
სიყვარულიც ეს არი!

თუ სხვაგან მე მივდივარ,
ბული ძგერს და არ დგება,
მე მხოლოდ ის მაწუხებს, —
საყვარელი დამრჩება.

მს ჩემი გული მსხვერპლათ
მისთვის არ მეშურება,
თუ კი ჩემსა ტურფასა
რადმე გამოადგება.

აჰა, ჩემი ლამაზი
რა კარგის გულის არი,
მუყვარვარ და მეც მიყვარს,
სიყვარულიც ეს არი!

ის მაპურებს, ის მარჩენს
და ის მეაღერსება, —

ამისთანა ლამაზი

ვის არ შეეყვარება?

ღილით მწვანე ხავერდათ
ფეხქვეშ დამეფინება,
წყაროს წყალსა მომართმევს,
მოხვევას მეპირება.

აჰა, ჩემი ლამაზი
რა კარგის გულის არი,

მუყვარვარ და მეც მიყვარს, —
სიყვარულიც ეს არი!

ეს ჩემი საყვარელი
უცხოთ ნუ გეჩვენებათ, —
თუ არ გიყვარსთ, არ ვიცი,
თორემ თქვენც გეყოლებათ.

ის კარგის გულის არი,
შველას მოგეფერებათ,
მაშ თქვენი თავი მსხვერპლად
მისთვის ნუ გეშურებათ.

აჰა, ჩემი ლამაზი
რა კარგი გულის არი,
მუყვარხართ და გიყვარდესთ, —
საყვარელიც ეს არი!

თიფლისი.

1870 წ., 10 მარტს.





ზივარ მარტო, მოწყენილი,
მსურს ფიქრით ვივსებოდე,

ამ ჩემს ოთახს, მარტოხელს,

მუდამ არ ვშორდებოდე, —

ჩემს სამშობლოს ვიგონებ,

ნახვას ველირსებოდე...

მკ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,

მალმალ გავფრინდებოდე!

იქაურსა მწვანეზე

ნეტამც როსმე ვჯდებოდე,

ნორჩ ყვავილსა, ბუჩქებზე

ბავშვურადა ვცელქობდე,

ღას ძმურათ ხელს ვართმევდე,

ძმებს ყელზე ვებვევოდე...

მკ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,

ნეტამც გავფრინდებოდე!

ჩემს ტოლს, მოძმეს, ამხანაგს

ნუ თუ ვაგონდებოდე

იმ დროს, ოდეს მე მარტო

ჯავრით აქ ვხელდებოდე...

*) დაბეჭდილია „წათობში“.

ღმერთო, ისე ნუ მომკლავ,
 ძმას ძმურათ არ ვრგებოდე...
 ოხ, ფრთა მომცა, ჩიტი ვიყო,
 მათკენ გავფრინდებოდე!
 ოდეს მამულს, კეთილო,
 მართ ვეკარგებოდე,
 მომკალ, ნუ გეცოდები,—
 არ მსურს გენაღვლებოდე!..
 ზამაცოცხლე, მანატრე,
 თუნდ საფლავში ვდნებოდე,
 აყვავებულ სამშობლოს
 თუ კი მოვესწრებოდე!
 მოიფიქრე, კეთილო,
 თუ ძნელათ არ ვცხოვრობდე
 მაშინ, ოდეს ტურფასა
 აქედან ვეტრფობოდე,—
 სამძიმოა, მერწმუნე,
 თუნდ ეშხით ვივსებოდე....
 მაშ ფრთა მინდა, ფრთა მომეცით,
 თქვენსკენ გავფრინდებოდე!

1870 წ.
 პეტერბურგი.





შირათ გული მეუბნება:
რათ სწუხხარ და რათ გაქვს ჭირი?
ღრო მოგივა, გაიხარებ,
ღასჩუმდი და ნულარ სტირი!...

მაგრამ გრძნობა სხვას მიაბობს. .
„რათ გავივლებ გუნებაში,
რომ მე ვისმე მოვაგონდე
ჩრდილოეთის ქვეყანაში!“

კრასნოე სელო.
1870 წ. 10 აგვისტოს.



(. ს)



იდი ვინმე შემეყარა,
ლოინჯხედა აქვს ხელია;
ბაბუტვით ჩამომიარა, —
მტყობა, რომ ქართველია.
რომ შეხედო იმას კარგათ,
ისემცა შენი მტერია,
როგორც იმას ტიკივითა
მუცელი გამობერია;
მაგრამ შეატყობ, კაცია,
თავიც კარგათ უჭერია;
ას თუმანს რომ ღიზას აძლევს,
ის ვითომც არაფერია.
ჭუდი კოხტურადა ხურავს,
სულ შეუჭედავს ყელია,
რომ შეხედო, თვალებს მოგჭრის,
და შეატყობ — ქართველია,
ხშირათ ნახავ მას მწვანეზე,
რომ სუფრა გაუფენია,

*) დაბეჭდილია „მნათობში“
1871 № 1.

მოსპითა ზის, მწვადებსა სთლის,
 ღოქიც ხელში უჭერია.
 აბა ერთი ისიც ნახეთ,
 შურთმაჯები რა ფერია?
 სულ ხავერდი, ანტიკ-რამე,
 მშვენიერი ნაკერია...
 ასე უნდა, მაშ რას იზამს!
 ან რა გასაკვირველია;
 შველა იცნობს იმას კარგათ—
 ღიღი ვინმე ქართველია!
 ძარგათ ატარებს დროებას;
 მაგრამ ეს არის ძნელია,
 რომ მელქოს თავის დავთარში
 თუმნები ჩაუწერია.
 მაგრამ რა ვუყოთ, ბატონო!
 სცნობდეთ: მარდი და ჯელია...
 ამგვარები ხშირათ არის,
 ნუ დასძრახავთ—ქართველია...
 საზანდარი დაიფშუტა,
 ამბავი გამოვლია.. .
 მზა დაულოცე, ქართველო,
 რაჭისკენ მიმავალია.

1870 წ. ფენჯანისთვის.
 პეტერბურგი.





1871 წ.

დილა ვილიანდიაში.



ილაგ, შეგვედრი და დამავალე, —
დარდით ვიტანჯვი, — მომესწარ მალე,

დაიხსენ ჩემი მწუხარე გული

და გამოპრწყინდი, შენ გენაცვალე!

ძილი არა მაქვს და მოსვენება,

შიქრი და ტანჯვა მიგროვდება მე, —

სანამ ვითმინო ეს მწუხარება,

მს ნისლი, ბური და ღამე...ღამე!..

თვალი დამევესო, გფაცავ შენ, დილა,

თუ შენმა სხივმა არ გამიხილა,

და გული ჩემი ურიცხვმა დარდმა

თითქო დამიჭრა, დამანაწილა...

და უცხო — უცხო, უცნობმა ხალხმა

შცნობსა მხარეს ნუ თუ დამმარხოს,

რომ განთიადი შენი ვარსკვლავი

საწყალ მწუხარეს არ დამანახოს!

მაშ გევედრები, მომესწარ მალე,
ტანჯვისგან მიხსენ და — დამავალე —
დაიხსენ ჩემი მწუხარე გული
და გამობრწყინდი, შენ გენაცვალე!

1871 წ. 12 ივნისს.



სხვისი უვილები *)

(გუსტავ ნადოსებური)



მეც კარგი ვიყავ სიყმაწვილეში,
ამას არ ვფარავ მე არას დროში:

თვალის მიჭრიდა, გულიც მიფეთქდა
და საქმეც მქონდა კარგათ ქალებში.

მაგრამ ახლა კი საქმე წამიხდა
და მეზობლების ტურფა ქალები
სულ ამეშალნენ, შარი დამიწყეს,
ბადმომიყარეს თავის შვილები!

აყალმაყალი, ტყვილი და შარი
მე რომ მოგიყვეთ, სირცხვილი არი;
მხოლოდ გეფიცვით, პატიოსნებას,
რომ ჩემი შვილი ერთიც არ არი!

ძალიშვილებში ვიცნობდი ლიზას,
ხშირათ ვიყავი სტუმრათ მე მისას;
ლიზა გათხოვდა, კარგ ბიჭსა წაყვა,
ვერ ვიტყვი მე ცუდს ლიზას ქმარისას!

*) „დროება“ 1891 წ. № 60.

საკვირველება მხოლოდ ეს არის,
რომ ქმარმა ლიზა წამოიყვანა;
იმას პაწაწა ქალი ეყოლა,
რომელიც სულ მე გამომემგვანა!

უნდა უყუროთ, რაებს ამბობენ
ჩვენის მეზობლის პატარძალები:
მთელ ქალაქშია ხმა დამიყარეს....
ტყვილს მიგონებენ შარიანები!

ლიზას მოვსწონდი; მაგრამ ეს შარი,
მართალი გითხრათ, სირცხვილიც არის;
მე თქვენ გარწმუნებთ პატიოსნებით,
რომ ლიზას შვილი ჩემი არ არის!

ბათხოვდა ჩვენი პატარა ნინა,
ღმერთმა მას კარგი ვაჟი შესძინა;
ღმერთმა დალოცოს, კარგი ქალია,—
იმ წამსვე ვაჟი მომანათვლინა.

ღმერთო, დამიცევე, რას გარდევკიდე,
ამბობენ, ისიც მე მგვანებია!
მე ჭალარა ვარ, ის წითელია,
მე მსხვილი ვარ და ის-კი—ნაზია,
რითი ჩამომგავს, ვერ გამიგია! ..

ასე გასინჯეთ, ეს სხვისი შვილი,
სულ სხვა ფერ ხორცის ღ დაღრანჯული,
„მამას“ მიძახის, როდესაც მივალ
ნათლიდედასთან გამოპრანჭული.

ბყალბაყალი, ტყვილი და შარი
მე რომ მიაგყვეთ, სირცხვილიც არი.
მხოლოდ ვარწმუნებთ პატიოსნებით
რომ სხვისი შვილი ჩემი არ არი!

მთახში ვდგავარ და სახლის პატრონს
ცოლი ჰყავს მეტათ მოსაწონია;
იმაზედ მაინც, გმადლობ, შენ ღმერთო,
ჯერ არაფერი გამიგონია!

შვილი ჰყავს იმას ლამაზი ბიჭი,
არ მეშურება, სულ ხელში მყავდეს;
მართალსაც გეტყვით, თუ დამიჯერებთ,
ის კი რიგია, რომ ჩამომგავდეს...

კრასნოე სელო.
1871 წ. 30 აგვისტო.



უშრძნის კრეზა.



ემხედეთ, ხის წვერზე ვზივარ,
ბავამსე ჩემი გიდელო, —
ვისაც მოგინდეს, მობრძანდი,
მომკითხე ღვინო წითელი.

აბა ჰე, ძმაო კვირიკე,
ბიდელო გამოგვირეკე;
ბასწურე, მაჭარი დასდგი,
ჟანწებით ჩამოგვირიგე.

შეხე ჩემ ხესა, ძამიკო,
რა შნოიანათ ირყევა;
მეც შტოდან შტოზე გავრბივარ,
თრითინაც ვერ მომეწევა.

უფალმა გამჩენებელმა
ბვიბოძა ეს მტევანია,
მრთ რამედა ღირს შეხედვა,
სულ იაგუნდის მგვანია.

მაგრათ გავამსე გიდელო,
არ დამრჩენია კუმბალი,

სამშობლო, შენი ქირიმე,
რას გვწყალობს ღმერთი—უფალი!

აბა ჰე, ძმაო კვირიკე,
ზიდელი გამოგვირეკე;
ბასწურე, მაჭარი დასდგი,
ქანწებით ჩამოგვირიგე!

მალლარზე ჩვენა შევედით,
ღაბლარს დავსტოვეთ შვილები;
ვისაც სამშობლო არ გიყვარს,
ნუ მოხვალ. ნუ გვეჩვენები.

მს დედა-მიწის სისხლია,
ჯანის და ხორცის სარგები;
უფალმა ჩვენ გაგვიჩინა
შვილი გავზარდოთ მარგები.

ზევიდან ჩამოვსცქერივარ,
ბალში გაშლილან ვარდები,
თუ „ალავერდსა“ მიბრძანებ,
„იახშიოლს“ მოვემზადები;

ღავევ, დაგიღვევ გმირულათ,
მტერსაცა თავს შევაკვდები!
„აფერუმ!“—მეტყვის ბაბუა;
„ქოჩალო“-ს—დედინაცვალი;

ქანწით რომ ღვინოს დაღვევენ,
ღამლოცვენ ძველი, ახალი.
ბეზია ზღაპარს მიაშობს,
ნასწავლი შეილი - შაირსა,
მე ჩონგურს დავალიღინებ,
ქეთევან დაჰკრავს დაირსა!

აბა ჰე, ჩემო კვირიკე,
ზიდელი გამოგვირეკე,
ზასწურე, მაჰარი დადგი,
ქანწებით ჩამოგვირიკე.

1871 წ. 20 სექტემბერი.





1872 წ.

336360.

მ—მ მ—ს ასულს.



აო! აი თქმა ჩემის გულისა,
აი ხმა ჩემის მკვიდრის ჩანგისა;
აი, ეს გული, ა, ჩემო ღმერთო,
და გამოხატვა სიყვარულისა.

ღაო, ცხოვრება—ერთი წამია,
ვინ იცის, ბედის რა დრო-ჟამია, —
იქნებ, ეს წამი ჩემის ცხოვრების
უკანასკნელი ნათელ ღამეა.

წავლიან დრონი, მოვლენ დარდები,
თან გახშირდება სოფლის ტალღები,
მაშინ-კი, ჩემო ძვირფასო დაო,
შექველია, დაგაფიწყდები.

მაგრამა თუ კი დროს არ დაშურებ
და ამ ალბომსა თვალს გადაავლებ,
მაშინ, მერწმუნე, გულიცა მეტყვის:
„ძმა მოიგონე, ცრემლს ნუ დაშურებ.

1872 წ.





ენ რა გაწუხებს და რას ფართქალობ?—
შთხრა მოზრდილმა ჩჩვილს მოლაღურსა;

„რად არ გიხარის, რად არ ჭიკჭიკობ,
რომ გალიაში სხდომა გვეღირსა?

„ასე არა სჯობს? არწივი გვეფლობდეს,
მინემ დაგვდედეს ყვავი და ძერა,
რადგან, როგორც ჩანს, ჩვენ, მოლაღურებს,
ასე გვქონია ბედისა წერა?“

მაგრამ პაწაწამ შექმნა კამარა,
ფრთა ფრთას შემოკრა, შუქი შეყარა
და უპასუხა დიდსა მოლაღურს
დაღონებულმა, გრძნობის ამარა:

„შენ მისთვის მღერი, მისთვის ფართქალებ,
მისთვის არ ებრძვი ცხოვრების ხიდეს,
რომ იცი, იცნობ, გინახავს კიდევ
თავისუფლება და საპყრობილევ!

„და მე ვერ ვიცნობ თავისუფლებას,
აქ გაუზღვიარ ჩემ დედის უბეს;
მისთვისაც შევფეთქ ჩემ ბედის წერას
და თავს შევტყორცნი გალიის კიდეს“..

პეტერბურგი
1873 წ.



გორდის მთაზე.



აღლა ცაზე მშვიდ დარია
და კაშკაშებს ვარსკვლავ—მთვარე,
მყუდროებით დამტკბარია
საქართველოს არე-მარე...

აბა მთვარე, ჩემო მთვარე,
ზაანათე ჩვენი მხარე,
მტრისა გულის მოსაკლავად
საქართველო გაახარე!

ნელის ქუხილით ამოდის
ძამკაში მთიური წყარო,
თითქო მთა-ბარს ჩაჰკითხავდეს:
„მოწყენილი რადა ხარო?“.

აბა, წყარო, ჩემო წყარო,
სამშობლოდან მომდინარო,
შევეილი და ახალ ბუჩქი,
ბევედრები, გაახარო!

ხედავ, პასუხისა ნაცვლათ
არე-მარეს ნელა ძინავს,

და ას წლოვან მოხუც მუხას
მძიმეთ თავი ჩაულუნავს.

და ფოთოლის ნელსა რხევას
ჟურს უგდებს და უკვირდება,
საქართველოს მკვლელ მოთხრობას
თითქო მას ეჩურჩულება!..

აბა, მუხა, ჩემო მუხა,
მითხარ, შენ რამ შეგაწუხა?
ვერა ხედავ, შენ მოთხრობამ
ნორჩი გული აადულა?!...

ბვითხარ, მუხა, ჩემო მუხა,
როგორ ჩვენმა წინაპარმა
საქართველოს სანაცვლოდა
სისხლი სისხლზე აადულა!

პეტერბურგი.
1872 წ.



პოემა

(ჩერქეზეთის ცხოვრებიდან)



მე გარდახრილა დასცქერის შავ ზღვას,
ნიაიცი დაქრის სამშობლო მხარეს;
ხარობს ბუნება, არვინ გრძნობს ტანჯვას
და არც მოელის სოფლის სიმწარეს.
აყვავებულა უცხოდა ველი,
ბაშლილა მწვანე ხავერდის ფერათ,
ჭიკჭიკობს, გალობს ყველგან ფრინველი,
მზეც მთას დასცქერის ლაჟვარდის ფერათ.
მაგრამ ჭიკჭიკი, გალობა, სტვენა
აქ ფრინველების სხვა რამ გვარია:
ნაცვლათ სალხენის, ტრფობის და ეშხის
იმათი ხმანი გულ-სამკვდარია.
ირგვლივ ბუნებას ის ხმა არ ესმის,
თორემ თავს მოხრის მთა და ბარია!
იმ ხმა, იმ სტვენა, იმავ ჭიკჭიკში

*) „უროების“ კალენდარი 1875 წ.

დაუცხრომელი ცრემლის ღვარია.
იქნებ, ვინ იცის, აწმყოს არა სურს
და ძველ ამბისთვის აუარია,
რაც რომ უნახავს, რაც რომ უკრძენია,
მისთვის ფარდა მას გარდუფარია;
მაგრამ რას დავსდევ მე სხვისა გრძნობას,
ვის გულსა ეწვის და ვის უხარია:
დავსწერამ ამბავს მომავალისთვის,
იქნებ მისთვის კი მოსახმარია

I

შმაწვილი ვიყავ, მაგრამ გეფიცვით,
მახსოვს მე ის ღრო მწველი გულისა,
ღრო საშინელი, ღრო საზარელი,
ამშფოთებელი კაცის სულისა.
შმაწვილი ვიყავ, მაგრამ ახლაც ვგრძნობ,
რომ კაცის გული ბალის ველია:
რაც რომ გრძნობითა იქ ჩანერგულა,
მისი გაქრობა მეტათ ძნელია.

II

შმაწვილი ვიყავ და შავ ზღვის პირათ
ვიყავ, ძმობილო, ხშირი სტუმარი;
მე იქ გავზდილვარ, ჩემო კეთილო,
ჩემი სახლ-კარი ახლაც იქ არი.
და შავ ზღვის პირათ ვნახე ქალწული,

ჩემი დამწველი აბა ის არი,
აბა თვალები, ის შავ თვალები
ახლაც გულს მჩხვლელტავს, როგორც ისარი.
უთხარ მას: „დაო, რათ მოგწყენია,
ასე შემკრთალი ზღვას რათ დასცქერი?
წამო შინისკენ, ძმობას გაგიწევ,
მიმხიარულებ, თარსაც დავმღერი.
რისთვის ჩაგიცვამს ეს ძაძა ფერი,
ან ასე მწარეთ რისთვისა სძგერი?
წამო, დობილო, ფაცხა კარგი მაქვს,
ცრემლიც შეიშვრე, დაგცინებს მტერი!“
მაგრამ კეკლუცმა შავი თვალები,
როგორც ისარი, თვალს გამიყარა,
პასუხი მომცა გულის საკლავი
და თვალებიდან ცრემლები ღვარა.
მითხრა კეკლუცმა, დალონებული:
— შენ ჩემი ძმა ხარ, დიდი ხნით ვიცი;
მაგრამ არა მწამს მე შენი ძმობა,
არც შენი თხოვნა და არცა ფიცი.
შენ მამა ჩემსა ხანჯლითა სდევდი
და ჩემსა ძმებსა თოფითა კლავდი!
არ გწამდა ჩემი სახლი და კარი
და მოძმებისა სისხლსაცა სვამდი.
შენ არ იყავი, რომ ჩემსა მტერსა
ხმალ ამოდებული მხარში უდექი?
შენ არ იყავი, რომ ჩემსა ძმებსა

ასაოხრებლათ სახლში უდექი?
შენ სამშობლოსა დარდი არა გაქვს,
ვხედავ, მოძმებიც გაგიყიდია
და ძმების სისხლის ნაცვალ საჩუქრათ
ბულზედა რალაც დაგიკიდია.
ახლა მოდიხარ, ძმობას მიქადი!
მე შენი ძმობა დიდი ხნით ვიცი;
მაგრამ არა მწამს მე შენი ძმობა,
არც შენი თხოვნა და არცა ფიცი!

III

ამ სიტყვებითა მან გაათავა
და ჩამოყარა ცხელი ცრემლები,
ახლაც მალონებს მე ის სიტყვები,
ახლაც გულს მიკლავს შავი თვალეზი.
მას აქეთ ვეძებ მე იმ შავ თვალეზს,
მას აქეთ მე ის მიკიდებს ალებს;
მაგრამ ჩრდილოეთს, აბა მითხარი,
მე იმ შავ თვალეზს ვინ დამანახვებს?
სადაც არ ვხედავ, ჩემო ძმობილო,
სულ ჭრელი თვალი ჩამჩერებია,
თორემ რომ ვეძებ, ის შავი თვალი,
ჯერ მე ლანდათაც არ მჩვენებია.
და ახლა კი ვგრძნობ, რომ კაცის გული
ვით წოყიერი ბალის ველია:
რაც რომ გრძნობითა იქ ჩანერგულა,
მისი გაქრობა მეტათ ძნელია....

IV

რალა ვთქვა, ძმაო, გულ დაწყვეტილმა!
 ვინ არ იცის და ვინ არ მიხვდება,
 რა მწველი ცეცხლი გულში გაივლის,
 რა დამხრუკველი ალი გაჩნდება,
 მაშინ როდესაც ვაჟ-კაცი კაცი
 თვრამეტის წლისა ქალს შეეყრება.
 რამდენი ოხვრა, რამდენი ძგერა
 მაშინ გულშიდა დაიხატება,
 რამდენი ტრფობის უხილავ ძალა
 შეუნიშნავათ გულს მოეველება.
 მაშინ ვინა გრძნობს თავის წინაბედს,
 თუ მისი გული გულის მგვანია;
 ვის აგონდება, თუ ეს სოფელი
 ასე მწარე და გაუტანია!
 ღა მეც, გავტყდები, გული მიძგერდა,
 მესმოდა ღელვა ჩემის მკერდისა;
 რათ ვიფიქრებდი, შავ-თვალ წარბასთან
 თუ ვიქნებოდი შავის ბედისა!
 „მარად შენი ვარ! ჩემო სიცოცხლე!
 თამამათ უთხარ, დაღონებულსა.
 წინ იმედია და სიყმაწვილე,
 რა დამრჩენია შენებრ ბედკრულსა.
 შენთვის შევწირავ ჩემ ვაჟ-კაცობას,
 ვფიცავ, გულიცა მოწადილია;

შენებრ, იცოდე, ჩემო შავ-თვალა,
 არც მე ვარ ბედის უმაყოფილია“.

— მადლობელი ვარ, მითხრა დახშულმა,
 ვხედავ, რომ აღთქმა ჩინებულთა,
 მაგრამ რათ მინდა, ჩემი ვარსკვლავი
 ძვესკნეურს დიდი ხნით ჩაშვებულთა!
 დედის ერთ ვიყავ მე დარჩენილი,
 როდესაც ვიყავ თერთმეტის წლისა;
 მას აქეთ ვებრძვი მე ჩემ ცხოვრებას,
 მომდურალიც ვარ წუთი სოფლისა.
 ცოდვას ვერ ვიტყვი, ქალიშვილობა
 ბამომიციდია უბედურ ბედის;
 მაგრამ აღთქმა კი მუდამ მახსოვდა
 მომაკვდავისა საწყალის დედის.

შვილოო, მითხრა მან სიკვდილის დროს,
 ხედავ, ბოლოა აწ ჩემი ჟამის,
 ვაჟი არა მყავს, მაგრამ იცოდე,
 შენა ხარ ვაჟი შენის დედ მამის.
 შენ მამა შენი, ვგონებ, არ გახსოვს,
 ვაჟ-კაცი იყო საწყალი შვილი,
 იმან სამშობლოს თავი შესწირა,
 მდეს შენ იყავ პაწაწა, ჩხვილი.
 და შენც გახსოვდეს, ჩემო სანატრო,
 ნუ დაივიწყებ ჩემ აღთქმის ვალსა,
 ისრე მოიქეც შენ სამშობლოსთვის,
 როგორც შევინოდეს ჩერქეზის ქალსა.

— მკ, რადგან მოგყევ ჩემ წასრულ შავ ბედს
 ბიამბობ, ბედი რამ დამიმწარა:
 თხუთმეტი წლია კიდევ არ ვიყავ,
 როს სიყვარულმა გულს გამიარა.
 ძარგათ ვიცნობდი მე იმ საწყალსა,
 ვისთვისაც ახლა ვტირი და ვხვნეში,
 ძვირათ მოსძებნის კაცი მისთანას
 აწ აოხრებულს საჩერგეზოში.
 თავის სიმართლით და ყოჩალობით
 შევლას ბედკრული თავს აყვარებდა!
 ხშირათ ნახავდა იმას ცხენოსნათ
 მწვანესა ველზე კაცი გამოსულს;
 მისი სიმართლე, მისი მხნეობა,
 მაგიხარებდა მკვრეტელს უცხოთ გულს.
 წითელ წუღებით, თეთრის ჩოხითა,
 შვითელ ბაშლაყით თავ შეხვეული,
 აბუანდში მაგრა მდგარი ფეხითა
 და მარჯვნის მხარეთ გადახეული,
 სწორეთ საკვრეტათ ისეთი იყო,
 როგორც ათასში ამორჩეული.
 არ დამამადლა სატრფომ მე გული,
 რალათ დავმალო, მასაც უყვარდი;
 მაგრამ სოფელმა დაუნდობელმა
 ადრე მოსწყვიტა ის ჩემი ვარდი.

ბედნიერია მისი ცხოვრება,
ვისაც მისთანა ბედი ჰქონია,
რომ მისი ტანჯვა და მწუხარება
მართს ვისმეს მაინც გაუგონია;
ვინ იცის, კაცი რა საწყალია,
რომელს თანმგრძნობი არა ჰყოლია
და მისი გულის მწუხარე აზრი
ღრმა სამარეში მას ჩაყოლია!

VI

— მაგრამ ხომ ვიცი, რა ბედი ჰქონდა
აქამდინ საწყალ ჩვენ საჩერქეზოს:
რამდენი კაცი უგზო-უკვლოთა
ჩვენ სამშობლოდან გარდახვეწილა,
რამდენი სისხლი ჩერქეზებისა
შსამართლოთა აქ დანთხეულა.
და ჩვენც არ გვერგო, ჩემო კეთილო,
შამი წადილის შესრულებისა,
შამი სიცოცხლის და ნეტარების,
მტკიცე კავშირით შეერთებისა.

VII


შველგან ისმოდა ერთი ხმიანი:
„მტერი შამოდის საჩერქეზოსა!
ღიდი, პატარა, ვაჟ-კაცი, ქალი
ახლა სჭირია ჩვენ სამშობლოსა!“

და იმ ბრძოლაში, იმ სისხლის ღვრაში
 ჩემი სატრფოცა მხნეთა ერია.
 და მე შავიტყე, რომ ერთს ბრძოლაში,
 დაკოდლი მტერს დაუჭერია.
 ვაშინ წავედი, თავ-განწირული,
 ჩემსა სატრფოსთან გამოსათხოვრათ;
 ნება ვითხოვე, კიდევ მაჩვენეს
 ის უბედური, ჩემდა სახსოვრად.
 სისხლი სდიოდა იმ უბედურსა,
 მარჯვენა მკლავის წყლულიდან მეტათ,
 რომ დამინახა, მითხრა ფერ მკრთალმა:
 „ხვალ წამიყვანენ მე დასახვრეტათ.
 მაგრამ ნუ სწუხხარ, თიქრი არ არის,
 აღბათ ჩემ ბედსა ეს აწერია!
 შენ თუ იცოცხლებ, კარგათ იქნები,
 ჩემთვის სიკვდილიც არაფერია!“
 — მე მაიმედებ, ჩემო სიცოცხლე?
 უშენოთ ცოცხლათ რას ვივარგები,
 ისევ სჯობია, ვთხოვ მე იმ უფროსს
 და ფეხ ქვეშ მონად დაუვარდები,
 იქნებ ვინ იცის, ისეც კაცია,
 და კაცის გულის პატრონი იყოს,
 და შენი თავი. ჩემო ნუგეშო,
 მე საიმედოთ იმან მაჩუქოს.
 მაგრამ იცოდე, ჩემო სიცოცხლე,
 როს დასახვრეტათ შენ მიხვიდოდე,

ნუ შეშინდები, — მე შემომხედე,
 ოდეს სახლიდან გამოხვიდოდე.
 და თუ შავათა მნახო მოსილი,
 მაშინ შენი ღღე განწირულია;
 თუ თეთრი კაბა მე ტანზე მეცვას,
 მაშინ სიცოცხლე დაფარულია.
 და მეორე ღღეს ხალხი მოსდევდა
 იმას დოლისა რახარუხითა
 და ის ბედკრული მხნეთ მოდიოდა
 თავის სისხლიან ახალუხითა.
 მზე ბრწყინვალობდა, ნიაფი ჰქროდა
 და შორს ბუჩქებში სტვენდა ბულბული,
 როდეს საბრალო ის მხნე ჩერქეზი
 ბანწირულ ბოძზე იყო აკრული.
 მან შემომხედა და თეთრ კაბაში
 მნახა საწყალმა მაშინ მოსილი,
 თავი ჩაღუნა, მიხვდა რაც იყო
 და შეუპოვრათ იწყო სიცილი.
 ოხ, სახსოვარო! მივხვდი სიცილში,
 რომ სამღურავათ მეუბნებოდნი:
 „რათ სწუხდებოდნი, მე სამშობლოსთვის
 უთეთრ კაბოთაც მხნეთ მოვკვდებოდნი!“
 მეტი არ ვიცი, ჩემო კეთილო,
 რა მოხდა შემდეგ იმ დამწვარ ველსა,
 მხოლოდ და მახსოვს ძლივს მომაშორეს
 ტყვიით დაგლეჯილ სისხლიან ყელსა.

მს თეთრი კაბა საფლავს ჩამყვება,
ზვირგვინის ნაცვლათ დანარჩენია.
იმ სისხლის მეტი, ამას წერტილიც,
ძმაო, მის დღეში არ დასჩენია!

1872 წ.
კრასნოე სელო.



დახლიდარის ანბარი

I



ერთმეტ ივნიის რიცხვებში
ნიკომ სირმები წაილო,
ჩოხის მაუდიც ნისიათ
და ახალუხიც გაიწყო.

ასის თუმნის საქონელი
ქნენასაც წაუღია,
თვითონ სხვას ეარშიყება,—
ნიკოს პირი დაუღია.

რათ უნდოდა, ერთი კითხე,
რა ქალია, რა ცეცია!
მც თუმანს დავთარში ჩავსწერ,—
ათი ხომ კი პროცენტია!...

II

ამ ჩვენს დიდსა მოურავსა
ას თუმნამდე მართებია,
მტყობა, რომ იმას ქრთამი
წრეულს სულაც არ რგებია.

ხუთი ლამაზი ქალი ჰყავს, --
მეტის-მეტი კარგებია;
მართი მაინც „ლავე“ არის, —
ჩემის გულის სარგებია!

ხუთი ქალი კარგი არი,
მაგრამ ლუწი და კენტია, —
ბანკი მამულს რომ აუწერს, —
ეს ხომ ფულის პროცენტია!

III

ჩინოვნიკის ცოლსაც ვიცნობ,
იმასაც უნდა ნისია, —
მანამ ჯიბე თხელი ჰქონდა,
ახლა მაგრა გაუმსია.

ბაღში სეირნობა უყვარს,
ლოყები სულ აუწვია,
თითონაც კუდსა აქანებს,
ჰმარიც სხვაგან გაუშვია.

ბუშინ ბაღში რომ შევხედე, --
თითქოს ბამბა ნაპენტია,
თუ კი პაჩი ვისმე ერგო,
ეს ხომ ფულის პროცენტია.

IV

ზაბერილადის კნეინა,
მცისის ქმართა მობრძანდა,
ერთი ჰკითხეთ ტუტუც ქალსა:
ქმარი რისთვისა მოყვანდა?

ფარჩა, სია და სამური,
მტყობა, მოსწონებია,
ჩემი კარგი საქონლები
სტოლზე დამალაგებია.

ბევრს ყიდულობს, ბევრსაც შაძლევს,
ბული არ დასჯერებია.
როგორც ვატყობ, მას მამული
ბანკში გაუსაღებია

V

ჭურძნის კუმპალი არას დროს
ხელით არ გაუქყლევტია,
პურის მარცვალი მინდორზე
ერთხელ არ გაუფანტია.

მაგრამ პური და ღვინოცა
თქვენზედა უფრო სწადია,
ზამოქიმული სეირნობს,
ახალმოდური ფრანტია,

მკროს ხმალით, ვერცხლის ხანჯლით
ჭკუა გაუფშუტებია.

მაგრამ ნახეთ ჩემი დახლი,
რა სიგანძით გაესილია!
ღამერწმუნეთ, მართალს ვამბობ:
ძართველების ვექსილია!...

პეტროტურგი.
1872 წ. 14 ივნისს.



(გეინედან)



ოდესაც გიმზერ თვალებში, ტურფავ,
მე ღარდს ვივიწყებ ჩქარათ და ჩქარათ;
თუ კი მაკოცებ, მაშინ მოვრჩები,
წყლულსაც განვიქრობ მარათ და მარათ

ოდეს ვეხუტვი შენ ტურფა გულსა—
ჩემ თავს ედემის მე ვრაცხ მეკარეთ;
მაგრამ თუ მითხარ: „მიყვარხარ, ბიჭო“,
მაშინ ვიტირებ მწარეთ და მწარეთ.

კრასნოე სელო.
1872 წ. 15 ივლისს.



ვუქლვენი ჩემს იანგულოს.

(სიმღერა—ბაიათი).



ლაჰკა, მეთარე, მახვილი თარი,
ბანალე ჩემი სევდისა კარი;
ღაე ცრემლებმა მორწყოს ეგ ველი,
რადგან სატრფოსა აღარ მოველი!

მან მომიძულა, მან მომიშორა,
ახალს არ მინდო, გამაგდო შორსა.
აღბათ ამ ბედსა ასე სკოდნია,
ან ჩემს სატრფოსა ასე ნდომია!

ლაჰკა, მეთარე, მახვილი თარი,
ბანალე ჩემი სევდისა კარი;
ღაე ცრემლებმა მორწყოს ეგ ველი,
რადგან სატრფოსა აღარ მოველი!

წუთისოფელი მან მომამღურა,
სიყვარულისა ზღვაში მაცურა;
სატრფო ხაფანგი გულზე დამადო.
ახლა ბედკრული რიყეს დამაგდო.

იქნებ, სხვა გულსა ის ჩემი ღმერთი
დაეძებს, ტრფობაც არ შეაერთა!
იქნებ, ამ ცეცხლ გულს მან აუარა,
მე მით დამტანჯა, სხვა გაახარა.

დაჰკა, მეთარე, მახვილი თარი,
ზანაღე ჩემი სევდისა კარი,
დაე ცრემლებმა მორწყოს ეგ გული,
რადგან სატრფოსა აღარ მოველი!

მკვებ ცვარიან და ნამსა წარბებს
ვინმე ყხვევა და ცეცხლსა ანთებს;
და აქ ანთებულს ცეცხლს ვერა ხედავს,
და ჩემ სიცოცხლეს იმითი შრეტავს!

მაგრამ ეს გული ტურფამ იცოდეს,
თუნდ უიმედოდ მუდამ იწოდეს,
მას არ ივიწყებს, სხვაგან არ იწევს
და ვერაფელი ფერფლათ ვერ აქცევს.

დაჰკა, მეთარე, მახვილი თარი,
ზანაღე ჩემი სევდისა კარი,
დაე, ცრემლებმა მორწყოს ეგ გული,
რადგან სატრფოსა აღარ მოველი.

პეტერბურგი.

1872 წ. 4 აგვისტოს.





ცხვირო და ცხვირიანი
ქნენას ესტუმრა განა?
პნიაზმა სცნო ის უცხვირო, —
ბამოუშვა ცხვირიანა!

ქნენას არ დაემდუროთ:
მყოფოდა ერთიც კუროდ,
და იმისთვის გაისტუმრა
ის ცხვირიანიც უცხვიროთ!

მაგრამ ქნენამაც ცხვირი
ბაიკეთა გვარიანა, —
სტუმარი და მასპინძელი
შველა დარჩა ცხვირიანა!

პეტერბურგი.

1872 წ. 31 დეკემბერი.





1873 წ.

*
* *



მაშინ, როდესაც მე უიმედოთ
მესალმებოდი ჩემს გულის ღმერთას,
მაშინ როდესაც სიცოცხლეც მძაგდა
და გულს ვაძლევდი ტანჯვისა ნებას,
მაშინ როდესაც შორიდან ვსჭვრეტდი
შენაურისა გულისა ძგერას,
შავთვალთა ელვას, შავ თმათა ღელვას
და მათ სიმწრითა გამოსალმებას; --
მაშინ მე გრძობამ ის დამიხატა
და ვით ოცნება გამომატანა,
და ეს ოცნება ჩემის გულისა,
რომელმაც მარად არ გამიტანა,
ახლაც წინ მიდგას სასოებითა,
ახლაც სულს მგლეჯავს, ვითა სატანა
მ.გრამ ოცნებას სხვა რამ ძალა აქვს!
თუ ის გულსა ყავს, აღარ დაჭკნება.
თუნდ სოფლის ტალღამ ის დაახავსო,
მაინც ხელახლავე წამოყვავდება.

პეტერბურგი.

1873 წ. 6 იანვარს.



მიზაძვა აღოღვ უშლცისა.



ეტავ, რას სწუხხართ, ჩიტებო,
ჩემს თქვენთან ახლო ყოფნასა!
იმღერეთ!... თქვენმა გალობამ
იქნებ, ტანჯვისგან მიხსნასა!...

მე არ დავაგებ თქვენ დასაქერად
მახე-ქანდარას ბაღსა და ველში,
რადგან მე თვითონ, ოხ, კარგათვიცი,
რას ნიშნავს ყოფნა საპყრობილესი.

პეტერბურგი.

1873 წ. 2.1 თებერვალს.





უხედეთ ცასა მაისის ღამეს,—
რიონის ზვირთებს დასჩერებია!
და ისა ხედავს, რომ ვარსკვლავები
რიონის ზვირთებსა სტუმრებია.

უხედეთ რიონს მაისის ღამეს,—
ცისა კამარას შესჩერებია,
ვარსკვლავთა ეტრფის და იმას ვერ გრძნობს,
რომ ვარსკვლავები მას სტუმრებია.

პეტერბურგი.
1873 წ. 25 თებერვალს.



„Если допустить, что жизнь человеческая может управляться разумомъ, — то уничтожится возможность жизни“.

Графъ Толстой.




ათ გიკვირსთ, მიკვირს, ის გულის წამი,
მოდეს ცხოვრება კაცსა სძაგია,
როდესაც ოხვრა, მდულარე შხამი
ნაცვლათ ტრფობისა გულზე აგია!
რითი გავზომოთ ჩვენ სხვისი გული,
სხვისი ოხვრა და სხვისი წუხილი?
ჩვენ რომ გვეგონია მზეა და დარი,
არეს აძრწოლებს მაშინ ქუხილი...
მისაცა გული ცხოვრების გზაზე
არ გაყინულა და გამთბარია,
ნუ თუ ის ფიქრობს, რომ სხვის გულშიაც
მუდამ მზეაო, მუდამ დარია?
მაშ რისთვის გიკვირსთ, როს გული ღელავს
და სიცოცხლისთვის დამქნარ მკვდარია?
თქვენ ასე ამბობთ: „ბაირონს ბაძავს,

*1 ეს ლექსი დაბეჭდილია
1873 წ. „კრებულის“ № 3.

თორემ ცხოვრების უცოდნარია!“. ..
 თქვენ ამბობთ: „აბა, კაციც ის არის,
 ვინც ქვიტკირივით მძლავრ მაგარია,
 შრომის, ერთობის, ტანჯვა ბრძოლისთვის
 მუდამ მზათ არი და წინმდგარია!“..
 უკეთუ კაცი საომარ ველზე
 მამაცურადა გამომდგარია,
 იმისთვის ოხვრა, უიმედობა
 ან-კი რას ვარგა, რა სახმარია...
 მაგრამ კაცის გულს რით გამოიცინობთ,—
 როდის ნეტარობს, როს დამწვარია?
 ხან ცაებრ ბრწყინავს, განათებულა,
 ხან ცასავითვე მოღრუბლებულა!
 მაშ რისთვის გიკვირსთ, ოდეს სწუხს სული,
 ვინ მოგცემსთ პასუხს, ვისი ვალია...
 თქვენც გიცხოვრნიათ, თქვენცა გაქვსთ გული
 ჰითხეთ და გეტყვისთ, ვისი ბრალია!

პეტერბურგა.

1873 წ. 11 ივნისს.



(ნეკრასოვიდან).



აწყალი გული აქაც არ სცხრება,
აქაც ვერ ხედავს ნუგეშისცემას,
აქაც არ იშლის თავისებურათ
აღშფოთებული ოხვრას და ცემას.

ამიტომ რომა სამშობლო მხარეც
სულ უმადურათ შემხვდა მწუხარეს
და ღარდი ჩემი, დაუსრეტელი,
მით უფრო მტკიცეთ შემომაყარეს.

ნაცვლათ სალამით მოგებებისა
მკითხავს: „ვინა ხარ, საიდან ხარო,
თუ კი შვილი ხარ შენ საქართველოს
მაშ სასარგებლო რა გაქვს, მითხარო?“

და დედის ღანდი, ვით ოცნებისა
თავს დამცქერია, ვერ ავიტანე,
მკითხავს: „შენ ძმებსა, ჩემო დედია,
აბა მაჩვენე, რა მოუტანე?!“

მაგრამ პასუხი საბრალო გულის
იმავე გულშივე მსწრაფლათ იბადვის:
დედას-სამშობლოს ახალგაზდობა
თავვანწირულათ იმედს უქადის.

მაგრამ სამშობლო ჯერაც ვერა გრძნობს,
ახლოგაზდობა გრძნობით ეწვია,
ახალი პური ძველსა კალოზე
ნუ თუ ვერ ხედავს, ვერ გალენწვია?!

1873 წ. 25 აგვისტოს.
ქალაქიდი.



დურგალი *).



ახეთ, ჩვენი შალაშინი
ამ ხეს როგორ აპრიალებს!
ვიცი, ეს ხმა ნაკლებ მოსწონსთ!
და ბევრს ტანშიც აზრიალებს....

მაგრამ ჩვენსა შალაშინსა
თავიდან დაყვა ეს ჟინი:
მოგწონდეს, თუ არ მოგწონდეს
მაინც გააქვს მას კრიკინი.

*) დაბეჭდილია „კრებულში“ 1813 წ.


ან კი თავი რათ იზოგოს,
ძვალი შეხვდეს, თუ გინდ რბილი,
ბრუნდსა თუ კი გაასწორებს
მამაცხონებული-შვილი!

მაშ, დურგლებო, შალაშინი
ბაუქნიოთ, ვიყოთ ბრთხილი...
თუ გატყდება, სიმართლისთვის
მაინც იყოს გატეხილი!

ასე უნდა და ასე ვქნათ,
ბულიც ნუ გაგვიჩერებია!..
ნეტავი მას, ვისაც ბრუნდი
მრთხელ გაუსწორებია....

1873 წ. 11 ოქტომბერს.

თფილსი.





1875 წ.

გაჯავრებული ასოთ-ამჟამობის
შენიშვნა. *).

(ძველებურ-რგეულიდან)



ს რალა დაუწერია:
წინ წერტილი, ზევით ბრჯგუა!
ამის აწყობა ძნელია,
თავში უფირფიტებს ჭკუა!
ძველები შემოლევია,
ახლებს ველარ შეეგუა;
ახლა გამომდგარა, ყვირის
და ქვეყანა გააყრუა.
საქართველო ყვარებია,
მაგრამ ამით რა გაუა:
ბრმა სიყვარულს, ყველამ ვიცით,
არ აქვს ჯანი, არ აქვს ჭკუა.

*) „მოამბე“ № 11, 1895 წ.

სიყვარული მაშინ ვარგა
მდეს გული არა სტყუა,
წმინდა გრძნობა როცა სუფევს
საყვარელს და სატროფს შუა.

ზადმომდგარა და ქადაგობს
ის ახალსა და ძველს შუა;
მაგრამ ჩვენ ვერ დაგვაჯერებს,
მისი გრძნობა რომ არ სტყუა.

პირმოთნეობით სეირნობს
ის ძველსა და ახალს შუა;
მისი გული არც შეკრთება,
თუ ორივე მოატყუა!

ხომ ვიცანით, რა შვილია,
საით მიქრის მისი ჭკუა;
ახალ ნეკრებს ძველი ტურა
რაც ეცადოს ვერ წაუვა.

ან კი რა დაუწერია, —
წინ წერტილი, ზევით ბრჯგუა;
ამის აწყობა ძნელია
თავში უფირფიტებს ჭკუა!

გომბორი.

1875 წ. 11 იანვარს.





ევით ცაზე ქუხილია,
ძირსა ზღვაცა მწარედ ღელავს;
ძველი რამე მაგონდება

და გულშიაც ქუხს და ელავს!

მართხელ ტურფამ მეზობლისამ
მითხრა: „ტყულათ რადა ვსხდეთო,
ზღვისა ქუხილს გარდავყუროთ
სასეირნოთ წავიდეთო“....

პეასრულეთ, გავიარეთ,
მუთხარ: „შეხე ცაზე ელვას:
ზღვას ნიაფი დაჰქრიალობს,
ის ბანს აძლევს, უცხოთ ღელავს!“

-- „რისთვის გიკვირს? — მიპასუხა,
როს ნიაფი სცემს და ჰბერავს
რატომ ჩემს გულს ყურს არ უგდებ, —
იქაც სცემს და იქაც ელავს!“ . .

ბანა ესეც გამოცადე.
ძვირათ მივცემ დავიწყებას;
დიდი შრომა სდომებია
შემკრთალ გულის დამშვიდებას!

და როს ცაზე ქუხილია
და აქ, დაბლა ზღვაცა ღელავს.
ძველი რამე მაგონდება
და გულშიაც ქუხს და ელავს...





1881 წ.

(რუსულიდან *)



ს ჩვენი დრო სულ სხვა დროა,
იკვლება ქვეყანა მძიმედ:

რაც ერთს ავსებს ნეტარებით,
მეორეს ის სტანჯავს მწარედ.

მსთქვათ, რომ ქალმა ისეცხადათ
ერთი ვინმე გარდაკოცნოს;
ქაცს ვერ ნახავთ იმისთანას,
მს საქმე არ გაიოცოს!...

შველა იტყვის: — ეს რასა ჰგავს!
რა უნამუსო შვილია:
ბარდაკოცნა, — ისიც ცხადათ!
დიდი, დიდი სირცხვილია!..

მაგრამ თუ კი მოხდა ჩუმათ,
თუნდაც რომ ყველამ იცოდეს,

*) „ვრ.“ № 60, 1881 წ.

ცოლი ქმარს რომ ატყუებდეს,
შველა იტყვის: — ჩუმათ განა?
შეიძლება, რატომ არა!

მსთქვათ, რომ აგერ დიდმა ფრანტმა
ღარიბს ხელი გაუწვდინოს; —
ჰაცს ვერ ნახავ იმისთანას,
რომ ეს მას არ დაუწონოს.

შველა იტყვის: — საწყლებსა სცნობს,
თავს იმდაბლებს და ვერა გრძნობს!

მაგრამ კაცი რომ დიდს ვისმე
თავს სანაცვლოთ ევლებოდეს,
თავისთავის სასარგებლოთ
შეხქვეშ დაუვარდებოდეს
შოფაქცევა ამისთანა
სირცხვილია, ძმებო განა?

მაგრამ კითხეთ, — ყველა გეტყვის:
დიდსა ვისმე? რატომ არა!

მსთქვათ, ღარიბმა ისე ჩქარა
მდიდრის კარზე ჩაიარა
და მწუხარემ დღისა სარჩოდ
მცირედი რამ მოიპარა.

მაშინ, იცოდეთ, რომ იტყვის
ჭალი, კაცი და ქვეყანა:
მოუპარავს... რა უქნია...

ისიც აშკარათ მომხდარა!...


თავიდან რომ კოჭებამდის

უძლურება ჰქონდეს ქრთამის,
მე გარწმუნებთ, ყველა იტყვის:
— ხანდისხან რომ აპკრას განა?
შეიძლება, რატომ არა!

თუ უმცროსმა უფროსისა
ლანძღვა ველარ მოითმინა;
ლანძღვის ნაცვლად სალანძღველი
სიტყვებ-თა შეაგინა,
მაშინ-კი ზოგნი იტყვიან:
— მს რა ტუტუცი შვილია!
უფროსებს აღარ მორჩილობს,
და უამაყობს გულია.

მაგრამ თუ კი დიდი ვინმე
მცირე ვისმე აქმევს სილებს,
მაშინ იტყვიან: — რა უშავს!
დიდი ვინმე მცირე ვისმე
სილით გულსა გაუგრილებს!

1881 წ. 6 მარტს.



ალავერდი.

ისტორიული პოემა.



ქვეყნად შეცვლილამთლათარემარე,
ძნელათსცნობსკაციახალსადღესა,
სადაც ქართველსა უმეჯლიშია,
იქ ნახავ ახლა კლდესა და ღრესა
ღროს დაუპყრია: დიდი, პატარა,
ისიც, ვინც ქვეყნად სისხლი დაღვარა.
ვინც დედა-მიწას მეფობით ჰფლობდა,
ის დარჩენილა სულის ამარა!
მაგრამ ცა ზევით ისევ ისაა,
იქ მთვარის შუქნი ისევ ღვივიან
და ვარსკვლავები საქართველოსა,
ვით ნაპერწკლები, თავს დასცვივიან.
მტყობა, უყვართ მათ საქართველო,
რომ ზევით ცაზე არ ჩერდებიან
და სიხარულით ჩამოფრენილნი,
ჩვენს სამშობლოსა თავზე ქრებიან.
მალლა ცაზედა მზის სხივთა შორის,
ანგელოზი მთებს გარდმოსცქერია,
ბრწყინვალის სახით ქართველთა ლოცვის
ის მეუფესთან წინამძღვარია:

„შთალო, ჰხედავ საბრალო მხარეს:
ხშირათ ჰქცევია სისხლის ღვარია,
ამ მშვენიერს და უმანკო სოფელს
ბედკრულნი დღენი გარდუარია.
თუ რომ შემიცდა რა — თავის ბედისთვის,
თორემ შენს წინა ეს მართალია,
სანამ სკიროდა ხმალი და გული,
არვის უნახავს ქართლი მხდალია!
თუნდ შეიცვალოს ქვეყნიერება,
თერგი მთებშიდა ისევ ღრიალებს
და მჭკვარი ჩვენი ძველებურადა
ხალხსა და თფილისს შემოტრიალებს,
ქართველი გული ქართულათა გრძნობს,
ქართულის ენით ღმერთს აღიარებს!
მტერს პასუხს გასცემს რიგიანადა
და მეგობარსა მთლად შეიყვარებს.

I

აღმოჩნდა მთვარე ბილიკზედ.
ცვარმა დანამა მინდორი;
მთის ფერდებს შუქი მოესხა,
ლანდი დაჰგოგავს უსწორი.
მოისმის წყაროს ჩურჩული,
ხანდისხანა სტვენს ბულბული,
ნიავი შროშანს აღვიძებს,
სხვას სტოვებს დამშვიდებული.

მთა-კარტოხიდან აჩრდილმა
მიჰტარა ცხოველთ კრებული;
ტკბილსა სიზმარში გახვია
დაქანცულ დაღონებული!
მხოლოდ ქადრისა ფესვებზე
ჩამომჯდარია ქართველი,—
ჯერედ ეს იყოს საკმაო—
შიო არს მისი სახელი.
მოელის თავის სატრფოსა,—
იცის ქალია კახელი,
მფიცავ, რომ უკეთესისა
არვინ არს ქვეყნად მნახველი.
ჯერ სილამაზე პირისა,—
ამშფოთებელი გულისა;
მერმე ჭკუა და გონება
ამაღლებულის სულისა!
ჯერ გაგაკვირვებს სინაზე,
მერმე—სიმაგრე ჯანისა;
მღვასავითა მოძრავი,
ქოხტა და ლერწამტანისა...
ლაყვარდის თვალის სხივები
ბულის სინატრე არისა;
მაშინ დარდები გაქრება,
თუ რომ ის მოგეხალისა.
შემკრთალმა ჩიტმა იფეთქა,
მოისმა ჩქეფა წყალისა:—

მს ხორეშანის ხმა არის, —
შიოს სანატრის ქალისა.
მართმანეთს გადაეხვივნენ,
ღასდვეს პირობა სჯულისა;
ცოლ-ქმრობა ერთათ შეითქმეს,
მართობა სულის, გულისა.
მოწმობა ქონდათ ქადრისა,
ასწლობით შენახულისა.
მომღხენად — სიო ნიავი
და სტვენა იქ ბუღბუღისა.

II

ზადიან დრონი, საუკუნენი,
მაგრამ ყოველთვის ასე შერებიან:
ვაჟკაცთა ტრფობა თავის სატრფოსთან
ბვირგვინის სკენითა გათავდებიან.
ღღესაც ჩვენშია, მცხეთის ტაძარში
ამგვარ საქმენი ასე მომხდარან:
მონი ქართველნი სულთ და გულით
შეერთებულან ერთათ გამთბარან:
მს არის შიო და ხორეშანი,
რომლებზედაც აქ ბაასი არი;
საქართველოსა შეილნი არიან,
და ღმერთი ჰყავდესთ მათ წინამძღვარი.

III

თემურაზ მეფის ბრძანებამ
საქვეყნოთ დაჰკრა ნალარა,

შინც ვარგა სამშობლოს შვილი,
 სჯულის საცველად შეჰყარა.
 რადგანაც სპარსეთის მეფემ
 შემუსრა დიდი, პატარა:
 თფილ ისი დასწვა, დადაგა
 და ქართლის სისხლი დაჰღვარა...
 მეფემა ბრძანა: „ქართველნო,
 მტერმა ბრძოლაში დაგვღალა,
 წავგართვა ცოლი და შვილი,
 ხარჯი დაგვადვა, დაგვღალა,
 თვითონა თფილისს ბინაობს
 ბამარჯვებულის ჯარითა.
 ბუღსა იხარებს ქართველთა
 ტანჯვით და სისხლის ღვარითა.
 თავის ფიქრითა, გვიპირებს
 დაგვჩაგროს ყოველ მხარითა,
 იმასაც სურვობს, რომ სჯული
 ბამოგვიცვალოს ძალითა.
 ჯარიმას გვადებს ურიცხვსა.
 ცოლ-შვილი დაგვიღალითა,
 დაგვამცირა და დაგვჰკვირთა
 ბარდაუხდელის ვალითა.
 ჩვენგან სამშობლო მოითხოვს
 ბული ვიმაგროთ, შევეკიროთ.
 დრო არის ჩვენსა მამულსა
 მსხვერპლადა თავი შევსწიროთ.

მტერი ჩაგვიჯდა ოჯახში,—
 რას გაგვიკეთებს, ვიტიროთ
 თავდალუნული ვლოლავდეთ
 მტრისა გულისა სალხინოთ?!...
 ღვეცვით სჯული ხალხისა,
 უფლის ტაძარი ვადგინოთ.
 მტერს შევეგებოთ ქართულათ
 და სისხლი სისხლზე ვადინოთ“...
 — „მზათა ვართ, მეფევე, გვიბრძანე,
 მორჩილ ვართ შენის ნებისა!“—
 ეს იყო წმინდა პასუხი
 დლოცვილ ქართველებისა.

IV

ბაღებსა შუა მოისმის
 ალაზნის უცხო ღრიალი,
 ამწვანებულსა ფერდებზე
 წყაროთ ჩურჩული, ჩხრიალი.
 სირმის ძაფივით ეხვევა
 ზალებს ალაზნის ტრიალი;
 ხან მზისა შუქი ამშვენებს,
 ხან თფილის ქარის ქრიალი,
 ქახელის გული აქ ტკბება,
 აქ ისმის თასის ბრწყიალი,
 აქ ივსებოდა ურიცხვად
 აზარფეშა და ფიალი.

ახლა ეს მხარე დაობლდა,
აქ არის სპარსთა გრიალი,
ქახელთ ოჯახი შეირყვნა
და დარჩა ოხერ-ტიალი.

V

სპარსეთის მეფეს შაჰაბაზს
ჰყავდა მხედართა სარდალი
„ალავერდია“ სახელით,
ზმირი უცხო და მართალი.
შავარდენივით სწრაფია,
ოქში ლომივით მავალი;
მტერი ვერ უძლებს, მარცხდება,
თუნდ იყოს ურიცხვ-მრავალი.
სანამ შაჰაბაზ თფილისში,
მეფურად სცხოვრობს, ბრწყინაობს,
ალავერდი კი ჯარითა
ალაზნის პირათ ჰბინაობს.
ხელში უჭირავს კახეთი,
მასთანა ვერავინ წინაობს;
შაჰაბაზს არ ეშინია,
თუ ალავერდი მუშაობს.
მრთხელ სარდალმა დილითა
მაჰმადსა ლოცვა შესწირა;
ბედაურ ცხენზე შებრძანდა,
მთა ვაკეს გაინადირა.

ახარებს ვაჟკაცის გულსა
ქორ მიმინოსა ნაფარდი;
ბავიწყებს სოფლის კმუნვასა,
იმასაც, ვისაც უყვარდი.
უფლის შექმნილი ბუნება
თვალწინა წამოგიდგება;
სევდა და დარდი გულისა
მრთბაშათ დაგავიწყდება.
თუ რომ მიმინომ ჰაერში
ხელიდან უცბათ იფეთქა,
მშველი ტყიდანა მინდორში
ბამოხტა, გამოიხეთქა,
ქორბუდიანსა ირემსა
მწევარი მოსდევს, მირეკავს,
ხოხობი გაოცებული
ჩირგვებში თავსა ინახავს,
მწერი, შემკრთალი, ბალახზე
მიიპარება, მიჰგოგავს.
მაშინ კი მონადირეცა
აღელვებული მინახავს,
მისი სული და გულიცა
მიმინოს ფეთქას ჩამოგავს.
აღტაცებული სარდალი
ნადირსა მისდევს, მიკივლებს;
თავწაშვებული მერანი
ქარსა გასწრებას უპირებს.

დამშვიდდენ მონადირენი
 ბათავდა ბოლო ფერდისა:
 ღაქანცულია მიმინო,
 მერანიც ალაჰვერდისა.
 ზევით კორტოხზე გამოსჩანს
 ბალი გაშლილის ვარდისა
 წმიდა გიორგის ტაძარი
 იქვე აღდგმული არისა.
 ზეცამდე მიეწოდება
 შუქი ოქროსა ჯვარისა
 აქ უწინ ხშირათ ყოფილა
 ლოცვა ქართველის ჯარისა.
 ღღეს ალავერდიც აქ შივა,
 აქ გული გაეხალისა,
 რადგან შეიტყო, აქ არის
 სასახლე შიოს ცოლისა.
 დიდი ხანია, განთქმულა
 სახელი ტურფა ქალისა,
 მთელს საქართველოს არა ყავს
 ჭალი მისთანა თვალისა.
 ირანის ლომი რათ ვარგა
 სარდლად რომ იყოს ჯარისა,
 თუ ქალი არ შეიყვარა
 საუკეთესო გვარისა.

ალავერდის და ხორეშანის გაცნობა.

სუფრა გაშლილა მინდორზე,
 ნოხი ძვირფასი ჰფენია,
 მწვადი ნადირის შიშხინებს
 და ხილი მოსაწონია.
 ფლავმაც მოასწრო დროზედა,
 ჩიხირთმაც მზადა გვექონია,
 ქახეთში სტუმრის მიღება
 ხომ ყველას გაგვიგონია!...
 სპარსის სარდალმა ისურვა
 ნახოს შიოსა ცოლია.
 უნდა მიიღოს სტუმარი,
 მეტი რა შევლა-ღონია!...
 ხორეშანს მარგალიტები
 დაუკრავს, რაცა ჰქონია,
 მისი შეხედვა გაკვირვებს,—
 ცისკრის ვარსკვლავი გონია.
 — დიდება თქვენსა ოჯახსა,
 საღამი ჩემი თქვენია,
 წყალობამ მეფის სპარსისამ
 თქვენ გიხანგრძლივოს დღენია.
 — პატივცემულო სარდალო,
 თქვენი სტუმრობა მლხენია;
 მაგრამ წყალობა მტერისა

ქართველ ქალს არ დაჰშვენია...
მობრძანდით, პური მიირთვით,
ღღეს ეს ოჯახი თქვენია,
თქვენი მიღება სტუმრადა
საქებარ-მოსაწონია.

— თქვენი უმანკო სალამი
ამშვენებს თქვენსა ზრდილობას,
მტერსა მოყვრადა გარდაცვლის
და გულსა აძლევს ღმერთობას.
მაგრამ მასპინძელს ვერ ვხედავ,
რისთვის მიპირებს ფრთხილობას;
თავადიშვილსა შიოსა

ვინ დაუზრახავს გმირობას?

— არა, ნუ სწამებ, სარდალო,
შიოსა გულის გრილობას,
ის აქ არ არის,—ჯარშია,
შპირებს კახეთს შვილობას.

— მით უფრო მოსაწონი ხართ,
მადლობას გიძღვნით და ქებას,
რომ პატივცემით კადრულობთ
მტერისა სტუმრათ მიღებას.

— ეს ჩემ სამშობლოს სჩვევია:
სტუმარი ჩვენ გვეყვარება
ალავერდისა მოწვევა
ოჯახს და გულს ეხარება“.
მასპინძელის ამ სიტყვებით

სპარსელს მტრობა ავიწყდება,—
ვინ არ ჰმონებს ქალის სურვილს,
თუ სიცოცხლე არ უქრება!..

VIII

ასეთია კაცი გული.
ვით მორევი შავის ზღვისა,
რაც რომ კარგი ქალი ყავდეს,
მანც მოსწონს კიდევ სხვისა.
თუნდა იყოს კაცი ბრძენი,
ხშირათ გულსა ვერ იმაგრებს,
და სიკვდილის დროსაც ქალებს
ზადავლებს, ჩუმათ თვალებს.
უცხო ქალის პატივცემამ
აღავერდი მოითვისა,
აღიტაცა სიყვარულით,
ზანუბრწყინა სხივი დღისა.
სიყვარულო, შენსა ძალას
ვინ არ ეტრფის, ვინ არ მონებს;
ვინ გაუძლებს გულის ძგერას,
თუ შენს ხმასა გაიგონებს!...

IX

აღავერდის ბარათი ხორ ეზანთან.

აღავერდმა საღამომდე
დრო ბაასში გაატარა;

ხორეშანის სილამაზემ
 ზულს ისარი გაუტარა.
 თუმც წაბრძანდა თავის ჯარში,
 მაგრამ გულმა ვერ დაფარა, —
 უცხო ქალმა უნებურათ
 ზმირსა თავი შეაყვარა.
 ვერც დილაც და ვერც საღამოს
 ზმირმა ფიქრი ვერ შეჰყარა,
 რადგან ტურფის სიყვარულმა
 სულის სიმშვიდე მოჰარა.
 ღიღიხანია მან ბრძოლას
 თავის ბედით გაუარა.
 მაგრამ სულის დამდაბლება
 იმას ვერაფერს მოჰკვარა.
 მხოლოდ ახლა ველარ შესძლო
 და გამგზავნი დაიბარა, —
 ხორეშანთან მან ბარათი
 დაბეჭდილი ჩააბარა.
 ისა სწერდა თავისს სატრფოს
 იმას, რაც გულმა იმწარა;
 ამ სიტყვებით ხორეშანთან
 ბარათს გრძნობა ჩააბარა:
 „თქვენ რომ გნახეთ, იმის შემდეგ
 „უთქვენობამ გამამწარა,
 „ვერცა ვცოცხლობ, ვერცა ვკვდები,
 „ვერც სიმშვიდე მომეკარა.

„**თქვენზე ფიქრმა, თქვენმა ნატვრამ**
 „**მე ავღარი გამიღარა:**
 „**შთქვენობას მე ვერ შევძლებ,**
 „**თუნდ სიცოცხლე გამეყარა.**
 „**მარსკვლავებს რომ ვპატრონობდე,**
 „**თქვენს წინ უნდა დამეყარა.**
 „**მთელის ირანის ქონება,**
 „**მფიცავ, თქვენთვის არ მეზარა,**
 „**მზისა სხივი, მთვარის შუქი,**
 „**ჩემი ქონება და ძალა**
თქვენი სანაცვალო იყოს
და ღმერთმა თქვენ მოგახმარა“.

X

ხორეშანმა ეს ბარათი
წაიკითხა მეტათ ჩქარა.
შეკრთა და გულდაღონებით
თვალთგან ცრემლი გადმოღვარა.
 —**მე, უფალო, რა შეგცოდე,**
რომ შენ მაღლმა არ დამფარა,
როდეს სამშობლოსა მტერმა
და უსჯულომ შემიყვარა?..
წმიდა გიორგის ტაძარო,
მომეც სიმაგრე და ძალა,
ჩემი ოჯახი და სჯული
ბოროტებით ნუ დამწვარა!

მაშინ სიცოცხლე მომესპოს
და შენმა მადლმა მე დამსჭვალა,
თუ შიოსა სიყვარული
სხვა ვისზედმე გამეცვალა!..

XI

გამოსალმება შიოსი და ხორაუნისა.

საშიშია და საფრთხილო
ლომი მინდვრათ გამოზრდილი,
თუ გული აქვს მას ისარით
დაქრილი და დაკოდილი.
ნურცა ხალხის წმიდა გრძნობას
შეეხები გულშეკრული,
რადგან იმას ვერავინ სძლებს,
თუ თავი აქვს განწირული:
კლდეს გააპობს, ზღვას დააშრობს,
თუ რომ შეულახე სჯული,
ღედამიწას სისხლით მორწყავს,
თუ სამშობლო აქვს ჩაგრული,
ძარბველ კაცსაც ქონებია
ბულის ჯანი შენახული,
მამულის მტერს დახვედრია
ხმალ-ისრითა მოკაზმული.
თავის დროზე ბაირალი
არც ჩვენ გვექონდა დაკარგული,
ჩვენსა ხალხსა ამშვენებდა

მკრო-ვერცხლით მოქარვული.
 შინც კი დარჩა ბრძოლის ველზე
 ცოცხალი და შენახული,
 შველა ისევ გამობრძანდა
 ჩაცმულ, დაიარაღებული.
 მხოლოდ შიო გზას დაადგა,
 ცხენს კახეთში მიაჩქარებს,—
 თავის სატრფო ხორაშანთან
 ბამოსალმებას აპირებს.
 ბრძოლის ხვედრი არვინ იცის,
 შის მოსპობს და ვის დაფარებს.
 ძალს ნუგეში უნდა მისცეს,
 ურჩიოს: გულს ნუ იმწარებს.
 და ვაჟკაცმა, ქართლის გამირმა,
 თფილისს გვერდით გაურბინა;
 და იმ დღესვე ხორაშანთან
 მოისვენა დაიბინა.
 მითხარ, ვინ ხარ იმისთანა,
 რომ ბედი არ გმწარებია,
 სიტკბოება მუდამ გყმოზდა,
 მუდამ ლხინი გქონებია?
 ნეტარება, სულის ტკბობა
 დიდხანს ვის გაგჩერებია?
 ბედნიერსა ორთავ თვალებს
 ცრემლი არ მოგკარებია?
 შინ მოსულხარ ქვეყანაზე,

რომ შენთვის სულ დარებია
და უღრუბლოთ ცის ქვეშეთში
ღრო შენ გაგიტარებია?

XII

— ჩემო ტურფავ, ჩემო სულო,
ჩემო დიდებავ და გულო,
ჩემო ცისკრის განთიადო,
ჩემო სინათლით მართულოდ,
ღილის ცვარივით უმანკო,
შეუდარებლათ ერთგულოდ,
ჩემო ფიქრის უსწრაფესოდ,
ქოკობ ვარდათ შენახულო,
შენთან მოველ სანახავათ,
მინდა, შენ რომ დაგაჯეროდ,
რომ შენა და ჩემ სამშობლოს
მზადა ვარ თავი შევწირო.
ამ დღეებში ბრძოლის ველზე
ბავიმარჯვე, ღვთისმშობელო,
სპარსელები უნდა მოვსპოთ,
ან დავღუპოთ საქართველო!
თუ სურვილმა მეუფისამ
ბრძოლაში დამიდვა ბოლო,
თუ ცოცხალი გყვარებივარ
მერეც უნდა მომიგონო“.
ამ სიტყვებით შიომ ცოლსა

პირი კოცნითა მოფინა
და ტურფა ქალს სასოებით
თვალთ ცრემლები წამოდინა.
მაშინ ქალმა ველარ შესძლო,
არ უნდოდა მოეთმინა,
მან ბარათი ალავერდის
ბაუშალა და აჩვენა.

XIII

— მხედავ, მტერს არ უკმარია,
რომ სამშობლო დამიმციროს, —
უსურვია, რომ ოჯახიც
შემირაცყოს, შემიგინოს,
აღუხოცელი სირცხვილი
მე ცოცხალსა დამაჩინოს,
და თუ მოვკვდი ბრძოლის ველზე,
საფლავს ტანჯვა ჩამადინოს
არა, ამას ვერ მოვიტმენ,
რომ უსჯულომ მე დამცინოს,
ჩემმა ხმაღმა უნდა მომკლას,
ან ის უნდა მომაცილოს.
— მართის კაცისა სიკვდილმა
მამულს რა უნდა შესძინოს?
შენმა ჭკუამ, იმედი მაქვს,
სხვა რამ უნდა მოიგონოს.
— ეს რა მესმის! როგორ მოვთმენ,

რომ უჩემოთ დღე გემწაროს,
 და შენს ხელსა უსჯულოსი
 ტუჩი სატრფოთ მიეკაროს?
 — რომ უსჯულო გავასჯულოთ,
 ხელიც წმინდათ შევინახოთ,
 საქართველო თავისუფლათ
 მტერისაგან დავინახოთ?
 — ჰო, მაშინ-კი უფიქრალათ
 თავი უნდა არ დავზოგოთ,
 თუ სამშობლოს ამ გლახ დროში
 შევეწიოთ, რამეთ ვარგოთ.
 — მაშ, შენ წადი, მეფეს ჯარში
 შენსა ვალსა იქ 'აკმარებ
 და აქ მეცა ალავერდსა
 საქართველოს დავახმარებ!“
 ამ სიტყვებით მოეხვია
 ტურთა ქალი თავისს ქმარსა,
 პირზე ჯვარი გარდასახა,
 ბარდაუშვა ის ქიშკარ!ა.

XIV

ხორაშანის კახუხი ალავერდთან.

ეს ბარათი თქვენგან არის,
 მე დავრწმუნდი და დავჯერდი;
 მაგრამ ვერ ვცან: რას ფიქრობდა,
 მღვდეს სწერდა ალავერდი!

ჩემის სჯულის კანონია:

უნდა მყავდეს ქმარი ერთი,
შეურაცყოფას რად მკადრებს

• სპარსის გმირი ალავერდი?

თუ კი გრძნობას გამოვკვლიდი,
ძორწილს ხელს რათ მოვაწერდი,
ახლა გზა რომ დამიბნინოს,
რათ იკადრებს ალავერდი?

სჯულს არ შევცვლი, თავს ვერ ვიზრახ.

თუნდ გამეპოს მე გულმკერდი;
ძართველ ქალსა ვერ დავსზრახავ,
თუნდ მოძწონდეს ალავერდი.

ამ ბარათის წაკითხვითა

მე გავკვირდი და გავჩერდი:
ძართველ ქალის შეყვარებას
რად იფიქრებს ალავერდი!

ჩემის გულის მოპოებას

სასყიდელი უნდა ერთი;

ასე ვფიქრობ, მას ვერ შესძლებს

ჩვენი გმირი ალავერდი!

ბულმა მითხრა: „ასე მსურსო, —

როდეს ამ პასუხსა ვსწერდი, —

მართხელ კიდევ დაგვენახოს

ჩვენ სტუმრადი ალავერდი“.

მაშინ პირად მოვახსენებ,

რასაც ბარათს ვერ ვანდობდი; •

თვითონ განსჯის ჩემსა სიტყვას

შცხო გმირი ალავერდი!“ •

(დაუმთავრებელია)

ყოთარბლოა. (უნდა იყოს 1897 წ. შემდეგ დაწერილი).



თუ სალამს გცემ — პატივცემით,
 თუ გიწყობი — გულშხამობით;
 თუ რომ მძულხარ — რწფეულის გულით,
 თუ მიყვარხარ — სასოებით.
 თუ მტერი ვარ — არ საამოთ,
 თუ მოყვარე -- სამუდამოთ;
 თუ ვაპირებთ შერიგებას,
 გადაფრჩეთ და გავათაოთ.
 თუ ვქეიფობთ — ვიქეიფოთ,
 რაც მოგვეცა ის ავილოთ;
 სიცოცხლიდან ვარდის კონა
 ამოვფუჩქნოთ, ამოვილოთ.
 თუ მეგობრობ, მეკობრულათ
 მართმანერთი დავარწმუნოთ.
 შინც რომ ყალბათ ქალაჩუნობს,
 შევრაცყოთ და შევაგინოთ.
 თუ ჩემ გრძნობას შენ აიგდებ
 სალაყბოთ და სასაცილოდ,
 მაშინ შენცა არ მინდიხარ
 არც ჭირში და არც სალხინოდ.

ნოემბერი, 1807 წ.



მასკრომები ნ. ნიკოლაძის.



ანეთის პლატფორმისთვის
სალანს გაძლევ, ქუდსაც გიხდი;
თუ ფოთს ბუხტი არ შეაგე,
ბავსკუპე და შორს გაგიხტი.

1897 წ. ნოემბერი.





მე რომ ოჯახში ქათამი
მრთხელც არ კაკანებულა,
მრთი კვერცხიც საბუღარში
არას დროს არ აღებულა;
არც მაღლარი, არც დაბლარი
ღვინო ცვარიც არ მოსულა;
არც ტიკა და არც ტიკქორა
არას დროს არ ავსებულა;
თუ მუხუდო და ხორბალი
შანაში არ გაფანტულა,
ცხენი, ძროხა შიმშილითა;
ქოქებამდის დაქანცულა;
თუ გუთანი მწვანე ველზე
აღარ აღიღინებულა;
ვაჟბატონი მუდამ ლოთობს,
ქალბატონი გაპრანქულა,—
მაშინ ოჯახის პატრონი
წყალ-მეწყერით წაღებულა;
მამული და მისი ჯანი
ბანკში ჩახლავორთებულა.

ქუთაისი 1897 წ. ნოემბერი.

*) „ივერია“ № 192, 1898 წ.





თუ გულში სევდა გაგიჩნდა,
 დრომ დაგიმონა, გაგთელა,
 ბედკრულმა ბედმან შეგბოჭა
 და ტანჯვად დაგასახელა,—
 ბამოდი რიონის პირზე,
 მდეს ნიავი დაქროდეს,
 მდეს ბულბული იმღერდეს
 დაფრენდეს ციციანათელა;
 მდეს მთვარე და ვარსკვლავი
 რიონში ისახებოდეს—
 მაშინ დამშვიდდეს სულითა
 ბულმაც იმედი ამთელოს,
 უფალმან ჩვენსა ტანჯვასა
 უშეღავათოს, უშეგლოს
 დაატკბოს ქვეყნის არსება
 კაცი, პირუტყვი და ყველა
 ბულსა ნიავი დაჭფრენდეს
 და ველსა ციციანათელა.

ქალაქი 1897 წ. დეკემბერი.



ნაწილი მეორე.

პ რ ო ზ ა.

სცენა და სსჯა წიგნი.

მამაშვილის თავგადასავალი.



რთს ქვეყანაში, სხვა ხალხთა შორის, აი როგორი ამბავი მოხდა.

მართმა კაცმა ქალაქში წასვლა ისურვა და ცუდ-უბრალოთ რომ არ გამცდარიყო, ბაზარში გასასყიდათ თან ვირი წაიყვანა და შვილიც გაიყოლია.

შხაზე შვილმა და მამამ არჩიეს, ვირი რომ კარგ ფასათ გაიყიდოს, უნდა დაულაღვი ჩავიყვანოთო. შეუკრეს ფეხები, დიდი ჯოხი ფეხებ შუა გაუყარეს, ჯოხი მხარზე გადაიდვეს და ასე ჩამოკიდებული ვირი ქალაქში ჩაიყვანეს.

შხაზე ერთი გლეხი შემოეყარა და სიცილით უთხრა მამაშვილს:

— თქვენ, ალბათ, ქკუა სახლში დაგრჩენიათ, რომ ვირს მხრით მიათრევთო.

მამამ შვილს უთხრა: მოდი, შვილო, ვირს ფეხები ავუხსნათ, თორემ ხომ ხედავ, გვზრახვენო!

ვირს ფეხი გაუთავისუფლეს, აღვირი პირში ამოუდვეს და ასე წაიყვანეს ხელით.

შემოეყარათ მეორე მგზავრი. იმანაც სიცილით უთხრა:

— შეჰველია, ჭკუა სახლში დაგრჩენიათ, რომ ამ სიცხეში ვირი ხელით მიგყავს და იმისი თრევით ოფლში იწურებითო, არა სჯობია, ზედ შეჯდეთო!

მამამ შვილს უთხრა, მართლა რომ სირცხვილია, ორივე ვირზე ვიჯდეთო. შენ ყმაწვილი ხარ და იჯექ ვირზეო, მე ფეხით წამოვალო. ყმაწვილი ვირს მიათობარიკებდა მამა კი უკან მოსდევდა ქვეითათ.

შემოეყარათ მეოთხე მგზავრი, რომელმაც სიცილით უთხრა მათ:

— ეს სადაური კანონია: ყმაწვილი კაცი ვირზე იჯდეს და მოხუცი კი ფეხით მიეთრეოდესო!

— ღაგვზრახავენ, შვილო, — უთხრა მამამ შვილს — შენ ჩამოდი და მე შეეჯდებიო, უფრო რიგიანი იქნებაო.

შვილი ჩამოვიდა და მამა შეჯდა.

მეხუთე მგზავრმა უარეს სასაცილოთ აიგდო მამა.

— არა გცხვენია, ადამიანო, დაბერებულხარ და სიბერის დროს ვირზე შემჯდარხარო!

— აი, შვილო, ხომ ხედავ, — უთხრა მამამ შვილს, — რა ნაირია კაცობრიობა და მისი აზრი! თუ უთავბოლოთ ყველას რჩევას აჰყევი, სიბერის დროს ვირზე შეგსვამენ და კიდეც დაგზრახავენო.



გურული ეჭიშთან *).

სცენა



ურული ვაალებს კარს და შემოიჭვრიტი-
ნებს დოქტორის ოთახში. შემდეგ შე-
მოდის.

— აქა ბრძანდებით ბატონო მკურნალო?

— შინა ხარ შენ, ჩემო ძმავო?

— მე გახლავარ ფხაკურაძე.

— რაზე მოსულხარ?

— რაზე და სამკურნალოზე გაიხელი. ასე მით-
ხრეს, აქ მკურნალი დგასო.

— მერე რა გინდა? 'გტკივა რამე?.. აბა ენა
მაჩვენე!

— მნას რა უჭირს, ბატონო! ენა კარგათ
გახლავს.

— მაშ რა გინდა?

— მე აგერ ამაზე მოგახსენებდი (აჩვენებს მუ-
ცელს).

— მანდ რა დაგემართა?

— შენ მტერსა და ავს მისანა დაემართა, რომ
მე დამემართა! როცა შემომათურინდება, ბატონო,
აქიდან და გულბოყვამდის დაფხაკურობს.

*) დაბეჭდილია „დროებაში 1876 წ. № 9.

— ალბათ, გიჭამია რამე?

— მაი, დედავ, მაგას რაზე ჩივი! ვჭამდი, აბა რა, შიმშილით კი არ მოვიკლავდი თავს.... ცოცხალმა კაცმა თუ საჭმელი არ ჰქონდა, რა მოარჩენს! ეს კიდო არაფერი, შენი ჭირიმე, მარა ე გული რო შექავება, რა მიზეზია?

— ბული გექავება?

— ღიახ, იმაზე მოგახსენე.

— შეყვარებული ხომ არა ხარ?

რავა, ბატონო, სიყვარულმა გულის ქავილი იცის?

— ძალიანი!

— მაშ ის ყოფილა მიზეზი.

— უთუოთ ის იქნება.

მერე რა ჯანაბა ეშველება?

მაგის წამალი ძნელია.

— ძნელი როა, იმიტო გაახელი.

— არა, მაგას მე ვერაფერს მოვეხმარები. მაგის წამალი ისევ იმას ეცოდინება, ვინც გიყვარს.

— მაი მის ტყავს! იმან კი იცის, მარა ვინ მიეკარება!

— ნუ გეშინიან, თამამათ იყავი!

შენი ნუგეში ნუ მომიშალოს ღმერთმა! ეს ყველა კაია, მარა ამ მუცელს რა ეშველება?

— ჰმ! მუცელია თავი და ბოლო.

— მაი შენ მტერს! აბა რაღა მეშველება?!

— ის გეშველება, რომ ლაზარეთში უნდა დაწვე.

— აჰ! მაგას ნუ მიჩივი, ჩემო ხელმწიფევ!

— რატომ ვითომ?

— რატომ რა, ფეხზე მდგომი კაცი ლაზარეთში წამოვიბლაკო, ასე აბღლათ რაღა მნახე!!

— შენ თვითონ არ ამბობ, ავათ ვარო? იქ წამალს დაგალევიებენ.

— შიცი, შე დალოცვილო, იქაური წამალიც რაღარია.... ერთხელ გამომაწყვტიეს ოზურგეთის ლაზარეთში და სულ ძმართ გაშხეთეს... აბა ჩემო ხელმწიფევ, მეტი აფერი მეშველება?

— მეტი არაფერი.

— მაშ მშვიდობით, ბატონო! ახლა ის მეორე მკურნალი რას მეტყვის, ვინ იცის! (გადის).

სოფ. კალადი 1874 წ. 10 ივნისს.





სამეა. მთვარე ანათებს. ღელის ნაპირას წამოწოლილან მწყემსები. ღელეს ჩხრია-ღღ გააქვს. ისმის საქონლის ცოხნა და ბუღბუღის გაუწყნარებელი სტვენა.

ხლახუნა. (გურული) შავარდენა, ა შავარდენა!

შავარდენა. (იმერელი) შავარდენა და გადავარდენა შენ გაბრუებულ თავს! რა ჯანაბა გინდა, გურულო, ძილს არ მალირსეფ!

ხლახუნა. რა გაფხუკიანებს, ბიჭო!... ვაი შენ გუნებას, თუ არ გამიგონებ... კაი ამბავი მინდოდა მეთქვა, და თუ არ გინდა, მომქამე ჭირი!

შავარდენა. ჭირიც მომქამე და სენიც!.. შენ რომ დაცხრეკილი ხარ, შენი ჭირი რაღა იქნება!

ხლახუნა. არ მოგეწონება, დიახ!.. ფშუტურა ბოძა შენს არ შემადარო!

უჩარდია. (მეგრელი) აა.. უუუ! (აზმორებს და წამოჯდება) არიქა, გურულო, ჰო!... სის მაგას, უჩხუტურე, ჰო, მაგის ბრალია, პარტენი, ყოლისფერი. მაგან მოკლა მამა შენი და ბებია შენს კბილები ჩააყრევინა!...

*) დაბეჭდილია „დროებაში“ 1874 წ. № 39.

ხლახუნა. შენ კილო, რა მეცოდინება, შე
ქაჩალიანო მეგრელო... შენისთანა თხა პარია ათასი
შემიკოქავს!.

უჩარდია. კი პარტენი, შენი თმა და თავი
ჯობია, ზარაზანის (ზარბაზანის) გამოსაჩოთქანს (გა-
მოსაწმენდს) მიკიგანს დუდი (თავი).

შევარდენა. ახლა მაგას ეტაკე, ჰო!

ხლახუნა. (წამოწვება იქვე) თქვენ რომ გე-
ლაპარაკო, რა ებროს გამოვიტან! თქვენისანა
ვიქნები და იგია, ე!...

შევარდენა. ხლახუნა, ა ხლახუნა! კაი ახლა,
ნუ გაწყრები, თქვი ი ანბავი, შენ რომ აპირებდი.

ხლახუნა. რა ყველის ვაქარივით ჩამაცივდი,
იმერელო! არ ჯობია, ამ ბუღბუღის ფსტვენას
ყური უგდო?

შევარდენა. მოგეცა ღვთის წყალობა, კარგი
ხმა მაგას ქონდეს! ძალღან ყრონტი უნდა ქონდეს,
ხომ ასე ატრიალებს ხმას! ჰა, რას იტყვი შენ,
უჩარდია? აგიშენდა შენი ბანძა შენ მასე იმღერო
ახლა! არა, უჩარდია, შენ ის ანბავი უნდა გვითხრა,
რო აპირებდი.

ხლახუნა. (იწყებს) აბა გამიგონე! თვარეს ხედავ?

შავარდენა. რატომ არა!

ხლახუნა. შენ, მეგრელო?

უჩარდია. ვერა ხედან, რო, ბრუტიანი ვო-
რექ დო (თუ ვარ)!

ხლახუნა ბრუციანი ხარ თუ ტრინწიანი, იმას ვინა გკითხავს, შე თხა პარია.

უჩარდია. ვორწყექ, მერე? (ვხედავ, მერე!)

ხლახუნა. რას ამბობ, ბიჭო, ვინ გკითხავს, არწყევი თუ არა.

უჩარდია. ვორწყექ, მაქ, ჰო!

შავარდენა. ვხედავო, ანბობს, ვაჟო! რას ჩააცივდი!..

ხლახუნა. აი დეიქცა თქვენი უკულმართი ენა!.. აბა რა არის თვარე?

შავარდენა. რა არის და თვარეა, მეტი რა იქნება?

ხლახუნა. ვიფ! თქვა და ვაათავა! ეს მეც ვიცი, რო თვარეა, მარა მე კითხავთ, რისგან შესდგება?

შავარდენა. რისგან შესდგება, რა ვიცი, თვარეზე კი არ ვყოფილვარ!

ხლახუნა. თვარეზე არც მე ვყოფილვარ, მარა კი ვიცი იგი რაა...

შავარდენა. აბა ჩვენც გვითხარი და ის იქნება.

ხლახუნა. დიახ, ნეტავი დედა ჩემს, თუ ასე მუქთათ დაგილაგეთ, რაც ვიცი.

უჩარდია. ამელამ თქვი ჩემო ხლახუნა და მაგიერში ჰუმე (ხვალ) კვერცხენს დაგიდებთ.

ხლახუნა. (წამოხტება, წამოავლებს ნუგუხალს ხელს და ესვრის) ა, თქვე საძაგლებო. თქვენა, თქვენი სამასხრო კილო ვარ!..

უჩარდია. (წამოხტება და მირბის). არიქა, (შავარდენა, გეტრუნწი, ვარა დოპილე გურულქ გაიქე თორემ მომკლა გურულმა).

შავარდენა. (მირბის მეორე მხარეს და მისდახის უჩარდიას): ბრუნე მეგრელო, თვარა მოვიდა მუგუზალი.

ხლახუნა. (ესვრის მუგუზალს და ნაპერწკლები ანათებენ არემარეს) მოგხდომოდა ნახავდი შენ სერის, რავა ფინჩხასავით გაგიხდიდა მაკ ქაჩლიან თავს! (უჩარდია და შავარდენა მიდიან ისევ ცეცხლთან და ურიგდებიან ხლახუნას).

შევარდენა. რა გული მოგივიდა, ვაჟო!.. შენ თვარეზე უმბობდი, მარა მზეზე კი ვერას იტყვი უთუოთ.

ხლახუნა. მზეზე მითომ რეიზა ვერ ვიტყვი: მზე სხვაა და მთვარე სხვაა.

შავარდენა. არა, ქეშმარიტათ, ახირებულია ამ ქვეყნის საქმე! აქობამდი მთვარე ანათებდა, ახლა ვარსკვლავები ცას ბჟირივით მიეყარა; ხვალ იგენიც დაიკარგებიან და მზე ამორგავს თავს. სიდან ამუა ე მზე, სად მიცოცავს და სად დაიარება! სწორე გითხრა, ძნელი გასაგებია!..

ხლახუნა. (იცინის) მიცოცავს რავა, ლოკოკინა გონია, თუ?.. შარშან ჩვენი ბატონიშვილი ჩამოვიდა რუსეთიდან, ძალუან კი უნობს მზეზე, აბა, სტავლული იგია, აა! მარა მამა მისი კი ძალუან უწყრება.

შავარდენა. რაზე ვითომ?

ხლახუნა. რაზე და, წავიდა, კაცო, რუსეთში; იმოდენ ხანს იქ იყო და არც ჩინი აქ და არც ტემლაკი; მარა აცოცხლოს ღმერთმა, გლეხი კაცი ძალიანს უყვარს. ენაც, რო თქვას კაცმა, ღმერთს იმისთვის მოუტია, რომ მოყვება ისე დააწყობს, ისე დაალაგებს, როგორც დამზადებული ღომი ხონ-ჩით სუფრაზე ჩამოაწყოს ვინემ. ერთ ღამეს სიმინდის სარჩევით ვიყავით კალოზე, ხწორეთ ამისანა ღამე იყო. მოვიდა, კაცო, და თითქო ჩვენი ცოლი ყოფილიყოს, იმანაც სიმინდის რჩევა დაიწყო. მოყვა, მარა რა მოყვა! მთვარეზე ილაპარაკა, ვარსკვლავებზე, მარა მზეზე კი ძალიან ილაპარაკა.

შავარდენა. (მოუთმენლათ) რა არი მზე?

ხლახუნა. პაწა პაცა და გიანბობ! მზეო, პლუტა არისო! ქვეყანაზე სამი პლუნიტა არის: პირველათ მიწაო, მეორეთ მთვარეო და მესამეთ მზე იქნებაო.

უჩარღია. აი, წართი! (წახდი).

ხლახუნა. ამ სამ პლუნიტაში მიწა ბრუნავს ჭარხალივით და მზე კი დგასო. მართალია თუ არაო? გვკითხა. ჩვენ დავაფრინეთ პირი და მივაჩერდით.

შავარდენა. ცრუ ყოფილა ი ვუბედური!

ხლახუნა. ჯერ პაწა პაცალე, რა გითხრა! მიწა როგორ ბრუნავს, ეხლავე გაჩვენებთო. მოკიდა შამფურს ხელი, შენ ხარ ჩემი ბატონი და, გაარქო კვანში. დაატრულა ე ჩვენი კვანი ბორბალივით.

უჩარდია. კვახს მეც დავატრუალებ პარტენი!

ხლახუნა. არ მაცლი, შე გაქუცულო მეგრე-ლო!.. ე შამფური მიწის ღერძიაო და ეს კვახი მიწა არისო.

შავარდენა. აი დაწყევლოს ხახულის ღვთის-მშობელმა! აბა, ჩემო ხლახუნა, იმას ცოცხლა მო-უცრუვებია!.. მაგას რავა დავიჯერებთ, მიწა ტრუ-ალებდეს!.. მიწა რომ ტრუალებდეს, მე და შენ ამ ცეცხლში გამოვიხრუკებოდით, ე ლადარო თავზე დაგვეყრებოდა!.. ვაი შე უბედურო უჩარდი რავარ მალაყს იხამდი!..

: **ხლახუნა.** ეს ჩვენც ვუთხარით, მარა იმან არ დაგვიჯერა... წარმოიდგინეთო ეხლა ერთი პატარა წყილიო... ჩვენ სიცილით დავსქდით. წარმოიდგი-ნეთ წყილი დიდ მინდორზეო, თუ გინდ ნიგოითის მინდორზეო. ნიგოითის მინდორი ისეთია, რომ ეშმაკი ვერ გადაშპება ზეთ. ახლა ეს მინდორი ნე-ლა რო გავაქნიოთ, წყილი გაიგებს, თუ არაო?— ჩვენ უთხარით „არაო“. ჰოვო, — ბრძანა, — აბა თელ დედა მიწასთან ჩვენც ისეთი ვართ, რავარც წყილი მინდორთანაო. მიწის ტრუალსაც იმიზა ვერ ვგე-ბულობთო. აბა ამაზე, რას იტყვი შენ? ცოდნია, თუ არა?

შავარდენა. ვეი, დიდება, შენ. ღმერთო! კუდიანი ყოფილა წყეული!

უჩარდია. მენცარი ყოფე (ყოფილა), პარტენი...

შავარდენა. კარგა ულაპარაკნია, მარა როგორღაც არ მჯერა, რომ მიწა ტრუალობდეს. ჭკუაში ძნელი მოსავალია! იქნება მზეზეც თქვა რამე?

ხლახუნა. მზეც პლუნია არისო; მარა მზე ტრუალს არ კადრულობსო, ის დგას თავისთვის და მიწა ევლება თავსაო!

შავარდენა. დიდება შენდა, ღმერთო! უჩარდია, შენ რას იტყვი?

უჩარდია. რას უყურენქ, პარტენი, მაგას! ეძინება და ბორდანს (ბოდავს) ე უბედური სკუა!

შავარდენა. არა, ხლახუნა, თუ ძმა ხარ, თავი დაანებე მაგ საოცარ ამბავს, თვარა გარღვირევი ამელამ და მერე უყარე კაკალი ქოჩორას! საძაგელი ძილი ვიცი, კაცო, რასაც გვეიგონებ ან დავინახავ, ღამე ყველა დაშვებდა. ერთ ღამეს ისე დიდხანს არ დაშვებინა და ქალებზე, რაცლა ტყვილა, „პუსტოი“ აზრი მომივიდა. შენ ტერს იმისანა, იმ ღამეს მე დამემართა! მივინაბე თვალი თუ არა, მოცვინდა ქალები და სულ ღდინი გამიღლიტეს! ზოგი ფეხებზე მათრინდება, ზოგი ყურზე, ზოგი ყელზე, ზოგი ცხვირზე, ერთი სიტყვით სულ „ვიხარ მამაცი“ მაკივლეს ჭინკასავით.

ხლახუნა. ჭინკა კი არა, არ გინდა ნიახური? ჭინკა სადაა, ბიჭო, ქვეყანაზე!

შევარდენა. არაა, დიახ, წაბრძანდი ახლა ღელის პირზე და ნახავ შენ სეირს, თუ არაა. რავე,

ბიჭო, მე თვითონ ჩემი თვალით მინახავს, ცხნზე იჯდა და მიატრიხინებდა! ტფუუ (აფურთხებს), დასწყევლოს ქრისტემ ჭინკაზე ლაპარაკი არ ვაოგაო, იტყვიან.

ხლახუნა. (იცინის) შენც ისე ნახავდა, რაფარც ჩემმა ვაჟბატონმა უჯმაჯურა ნახა.

შავარდენა. როგორ?

ხლახუნა. როგორ კაცო და ხომ გაგიგონია, სუქან ქალებს უჯმაჯურა ჩვევიაო! ჩემი ქალბატონიც გვარიანი მოსხო იყო და როდესაც ვაჟბატონი წავიდოდა სადმე, მეორე დღეს ე გატკეციტინებული ქალი ფერშეცვლილი და გახდარი დახვდებოდა. „ქალბატონო, ასე რამ გაგხადა,—კითხა ერთხელ ვაჟბატონმა.

—როდესაც შენ სადმე წახვალ, უჯმაჯურა მახობს. — უპასუხა ქალბატონმა.

— **ხლახუნა!** — მიბრძანა ვაჟბატონმა, — თუ ბიჭი ხარ, ი უჯმაჯურა დამიჭირეო. — იმე ვიფიქრე, ი ცოლგაქუცული საწამივა, თელი დამე უყარაულღებმეთქი, მოვახსენე. მესამე დღეს ვაჟბატონმა მეგონა, სხვაგან მივდივარო და თითონ ქე დეიმალა სასტუმროში... აბა, ხლახუნა, თუ ვარგხარ, ახლა, აა, გავწექი კიბეს ქვეშ და გავნაბე თებზივით სული. გვეხედე, შვალამე რო შეიქნა, კიბეზე პრაკა-პრუკი მომესმა; ცოტა ხანს შემდექ გააყრევია კარმა წკრი-ალი და ე ჩემი უჯმაჯური ქე შებრძანდა შით. მე

გავშვი და მოვანსენე ვაჟბატონს: „ე ბატონო ახლა შეშვა ხვლიკივით უჯმაჯური მეთქი.

ზემეიქცა ბატონი და შით მიადგა კარებზე... „ვერ წახვალ შე აბდალაფო“, მიაძახა: შენ ტერს იმისანა იმას რო დეემართა! შეიქნა, კაცო, სახჩი ფხაკური და ვაჟბატონის თავზე რაცხამ ტყუცა გააყრევია. წამეიპლაკა ე კაცი და დალაფა თებზივით სჯლი; მე ქე მოვცხრილე იქით,—მეც არ მტყუცოს-მეთქი! თურმე სიღაური უჯმაჯურა!... გვეიხედე, დიდი უშველებელი კაცი გადაშლიგინდა ჭიშკარზე. მივასიე ძაღლები და ერთი ფიშტოც მივანალე. მარა რა! მე და ჩემ ბატონს კი დაგვასხა თავსხლაფი.

გომბორი 1874 წ. 20 თებერვალი.



I

შკანასკნელ დროში, როცა რკინის გზა გაიხსნა, საქართველოში გამრავლდა გურულების რიცხვი. მანამდის საქართველოში ნამყოფ კაცს იმერლები, მეგრელები და გურულები უყურებდნენ როგორც განათლებულ ქვეყანაში ნამყოფს. გურული ჩამოსულა ქართლში და ერთმა გლეხმა ბაღში იქირავა.

— აბა შენ იცი გურულო, ახლა გამოგაჩნდება ვაჟკაცობა. შენ იცი და შენმა ნამუსმა, რა რიგ მუყაითათ იმუშავენ!

— მუშაობაში, დედავ და, წელს რაღა მოვდრეკ! ფულს გამოგართმევ და არ ვიმუშავენ, ამას რაღაზე ჩივი! რაღა თვალით შემოგხედავ მერე! მარა იცი რა გითხრა, ბიძა ჩემო? ღვინო კი დამალევი!

— რას ამბობ, კაცო! ქართველი კაცი ღვინის მადლითა სცხოვრობს და ისიც დაუჭიროს ადამიანს?

— აბა, ბიძავ, შენ იცი და შენმა ნამუსმა!

— მაგაში მენდე, ჩემო ძმობილო. აი, სახლშიაც მივედით (გურული იყურება იქით-აქეთ; მაგრამ სახლს ვერ ხედავს, რადგანაც ქართლის სოფლებში სახლები მიწაში იციან).

— აგი და, სადაა სახლი?

(ქართლელი კიბეზე ჩადის)

— ჯერ აქ ჩამობრძანდი და ნახავ ჩემო გურულო.

— ვაი, წავხთი!.. ჩამოვიდე რავა, ცოცხალი მიწაში ზრ ჩავძვრე, რა გამიჭირდა, ვაჟო!.. მარა ბიძიავე, რას დაგაბარებ, იცი? აგერ სამოცი წელიწადი იქნება, პაპა ჩემი გარდიცვალა და რადგან იქ მიდიხარ, შეეყრები და მოკითხვა უთხარი ჩემ მაგიერ.

— ნუ ხუმრობ, ჩემო გურულო. აქ ჩამო, დაისვენე. საუზმეც მიირთვი და მერე წავიდეთ ბაღში. (ჩადიან კიბეზე და, საუზმის შემდეგ, ქართლელი მიიყვანს გურულს ნეხვთან).

— აი, ეს ნეხვი აქედან უნდა ავიღოთ და ვაზებს მოვაყაროთ.

— ვაი, წავხთი!.. და მერე ჩოჩორი კი არა ვარ, ნეხვი რომ ვზიდო!

— აი, ამნაირად: ნეხვი ბლომათ აიღე და გოდორში ჩასვი.

— რას ჩივი, შე კაცო, ჩავსვა გოდორში, რავა, კრუხია თუ? ეს ყველაყაი კი, მარა რათ გინდა, კაცო, ე მყრალი ნეხვი?

— აკი გითხარი ვაზებისთვის-მეთქი! აი, შენ ეს ვაზი აქედან უნდა ამოიღო, მიწა ბელტ-ბელტათ უნდა მოთხარო, შიგ ეგ ვაზი ჩამარხო და ზედ მიწა მიაყარო! გესმის?

— ეს ყველაყაი კაია, მარა ტირილი როის გაქ?

— რისი ტირილი, სადაური ტირილი! რაებსა ზოდავ, შენ, ჩემო ძმაო?

— ტირილი, აბა რავა? აღარ იტირებ? ეს ვენახი ჯერ დამარხე და აწი აღაპიც აუგე, ბარემ! მე მეზარეთ გამოგადგები, გურიელის სახჩი გაზდილი ვარ. ერთი ეს მითხარი, ბიძი ჩემო, ეს ვენახი ფეხზე რომ იდგას, ვითომ დააშავებს რამეს?

— მა როგორ გინდა: ჯერ ასე უნდა დამარხო, მერე, გაზაფხულზე, ისევ უნდა წამოსვა, მერე გამოისხამს, მერე ყურძენს გავწურავ, მერე გარდმოვასხამ, მერე ქვევრში ჩავასხამ, მერე ტიკში ჩავასხამ, მერე ჭიქაშიც ჩავასხამ.

— მერე კისერშიც ჩაისხამ... ამდენი „სხამიც“ არ გამიგონია! ჰოოო, ახლა კი მივხვთი, შენ, ბიძია ჩემო „სხმაზე“ გვირგვინი გისკვნია (გურული მიდის თავისთვის).

— მა, გიყია ე ოხერი!..

გოგბორი 1874 წ.



პარასკეოზა ჭუთაისუი.



ილაა ბულვარში ბაყაყების ყიყინი მოი-
სმის, აქვე ახლო ბაზარია, ხალხი იქით
და აქეთ მივბის. •

დესეტნიკი. გასწი, ბიჭო, 'ურემი!.. ეი, არ
გესმის?

იმერელი. კიდევაც მესმის და კიდევაც მეჭ-
მება, მაგრამ ურემს მხარზე ვერ გადავიდეთ და
ადგილი კი არსად არის!

დესეტნიკი. როგორც გინდა, ისე ქენი,
ოღონდ გზა ნუ გაგიკავებია. შენი ლაპარაკის თავი
არა მაქვს?...

იმერელი. შენ თუ თავი არა გაქვს, არც მე
მაქ ბოლო, ქე ვარ და ქე ვიქნები ასე.

დესეტნიკი. რომ იქნები, იმისთვისაც პოლი-
ციაში გატუსციებ თავს.

იმერელი. შენი ნატუსცვარი ვინც იყოს, იმას
ატუსციე თავი და მე ჩემ ლომა ხარს შემოვკრამ,
გავაჭრიქინებ ურემს და ქე წავალ გვერდით (უხ-
ვევს გზიდან.

მეორე იმერელი. (დესეტნიკს) ბატონო, ნუ
წყრები, მობრძანდი, ხახვი მიირთვი! პა. პა, პა!..
რა ხახვია, რა ხახვია! აბრეშუმი, აბრეშუმი!..

მესამე იმერელი. აი სტაფილო, სტაფილო!
მოდი, ძმობილო, ძმობილო!..

მეოთხე იმერელი. აქეთ მობრძანდით, მო-
ბრძანდით სხვა არ ვარგა, არ ვარგა, პილწია,
ბოსტნეულობა ჩემი ჯობს ოხ რა ოხრახუში, რა
ქინძი?

მეხუთე იმერელი. თა, თა, თა!.. რა კვერ-
ცებია, ქალბატონო!.. მობრძანდი, რა გნებავს,
იაფათ მოგართმევთ!...

წყვილი — კაპიკათ,
ღაბერდი ტკბილათ,
სამი კი ტყვილათ!

მეტი რაღა გნებავს? მიირთვი, ბატონო, მიირთვი!
ეჰ, შე დალოცვილო, რა სკუპოვი ყოფილხარ (უწ-
ყოფს კვერცხებს).

მეექვსე იმერელი. აი, აქეთ ბალი, ბალი,
კახა-ბალი, ქვიშნა-ბალი პატარძლის ნაკრეფი არი,
თუმნათ ღირს თითო კუფხალი!

ინდოურიანი. არიქა, ინდოური, მამალი
ინდოური, ვის უნდა ინდოური? ქალბატონო მიირ-
თვი რა გაეწყობა (ქალი კიდებს ფეხში და ანძრევს,
სიმძიმეს უსინჯავს, მსუქანია თუ არაო) აჰა, პა,
პა!... არ გაანძრიო, ბატონო! გამაძღარია, გაგ-
სვრის, უზრდელი ვახლავს ე ვუბედური!...



გურული და ქართლელი *).



გურული და ქართლელი მგზავრათ მიდიან, გურული მოყვა ტყუილებს.

ქართლელი. ჩემო ოსიკა, შენ ამბობ, რომ ე ჯვარი რომ გკიდია, ლაშქარში მივიღეო, უთუოთ ომშიაც დაესწრებოდი სადმე?

გურული. ე ჯვარი მე ქობულეთის ომში მივიღე. სწორი მოგახსენო, მარჯვით ქე ვიყავი! გევიხედე, კაცო, და გავარდა თოფი აგერ, გავარდა ეგერ, გააყრევია ტყუცა ზარბაზანმა!... ვიფიქრე გლახათაა, ოსიკა, საქმე მეთქი. მევიხედე მოწივა ტყვია ჩემკენ და მოდის პირდაპირ ჩემკენ... აბა, ოსიკა, თუ ვარგინარ, ახლა და გადავხტი იქით — გამომეკიდა, გარდავში აქეთ, გარდავში იქით, მარა არ მეშვება! *ქივარდი ჩიქვის ძირში — მეტყუცა ტყვია შუბლში; მოვისვი ხელი თურმე ბუზი ყოფილა!

ქართლელი. ძალიან არ გადარჩენილხარ, ვაჟო! ფა. ფა ფა!. აბა ჯვარიც გერგებოდა და!

გურული. მაშ გურიელმა ტყვილა წარმადვინა?..

1475 წ.

*1) უაბეჭდილია „დროებაში“ 1875 წ. № 131.





რი გურული მუშაობს ყანაში. ამათთან მოდის მგზავრი რუსი და ოზურგეთის გზას კითხულობს.

— ძვირიკა, ა კვირიკა!..

— რა გინდა ბიჭო?

— რა მინდა და ის, შენი წყალობა! რა უნდა მინდოდეს? აგერ რუსი მოვიდა და გზას კითხულობს.

— მერე რამ გაგაჩერა, შე აბდალა?

— მე რუსული ერთი ფინჩხაც არ ვიცი. შენ ქობულეთში წამყოფი ხარდა გეცოდინება.

შტო კაკოი, რუსო?

სკაეი დიუბეზნი, კაკაია, დაროგა ვედოოტ ვოზურგეტ?

ოზურგეთ?

და.

აი დაროგა (აჩვენებს ხელით)! სუდა დაროგა! მერე აროგა, მერე ჩაროგა, მერე ამოროგა, მერე გადაროგა და მერე სულ დაროგა და დაროგა! (ან სიტყვებით უნდა ანიშნოს, რომ ჯერ აღმართია, მერე ჩაღმართი, მერე აღმართი და სწორი. რუსი თავს აქნევს, ვითომ მივხვდიო და მიდის).

— შაი წახთი! ამისანა რუსული მეც ქე ვი-
ცოდი, ვაჟო!

— თუ იცოდი, რა შენ ყველაყას უცდიდი,
გაშეშებული რუსი თავზე რომ გადგა?

გომბორი 1874 წ. მარტს.



ვისი კაცი ხარ?




ურული და მეგრელი ერთმანეთს შეეყრე-
ბიან გზაზე.

— მეგრელო ვისი კაცი ხარ შენ?

შაი წახთი!.. ვისი კაცი ვიქნები, პარტენი!
ჩემი თავის კაცი ვარ!

— აგიშენდა ოჯახი, კაი ბატონი შენ გყოლია!

თფილისი 1885 წ. 7 აპრილს.



„აქაური არ გახლავარ“.

(სცენა)



მეგრელი მთვარიან ლამეში მიდის და გურულს ელაპარაკება. ამ დროს მთვარეს ღრუბელი გადაეფარა.

მეგრელი. რა ანბავია გურულო? ე მთვარე რომ დაიმალა, სად წავიდოდა ვითომ?

გურული. არ ვიცოდე, შენ მომიკტე, მე აქაური არა ვარ!

1875 წ. 7 აპრილს.



სცენა პარიკმახერთან.

(ქალაქში ჩამოსული გურული, მეორე გურულს, რომელიც დიდი ხანია ქალაქში სცხოვრობს, აჩვენებს თფილისს).

ახალი გურული. აგიდა სა მუუყარა, კაცო, ამ კაცმა თავი ამტელ კაცის ბანალს?

ძველი გურული. სა მუუყარა და დადის ქუჩაში ე ღდინგაქუცული და როგორც ქართველები წაიკიდებიან, იქ გაჩნდება იმ წამსვე, უყურებს და თან იცინის. შემდეგ მოყვება და კრეფს ბანალს, რომელსაც ერთი-ერთმანეთს აგლეჯენ მოჩხუბრები.

ახალი გურული. აბა ხელობა აგია!...

1875 წ.



გურული საჩივრელათ *).

მოსამართლე. ხახულიკა ციბაძე!

ციბაძე. ავერ გახლავარ, ჩემო ბატონო (წადგება წინ).

მოსამართლე. შენზე შემოიტანა საჩივარი სიმონა ცხინკვაძემ, რომ გაგილანძღავს მთელ სოფლის შეკრებილებში. შენს თავს დანაშაულათ რაცხავ, თუ არა?

ციბაძე. მაგას რაზე ჩივი, ჩემო ბატონო! დანაშაული რომ ვყოფილიყავი, აქ რათ მოვიდოდი, — აქარაში ამოვკრავდი თავს! ჩემი ამბავი რომ მოგიყვე, შეგებრალები, ვიცი ნამდვილათ! ერთი მარტოხელი კაცი გახლავარ, არც ცოლი გამაჩნია და არც შვილი; მარა იმისანა უბედური ბედის ვარ, რომ აფერი გამივიდა ქვეყანაზე. იქით ვეცი, აქეთ ვეცი, მარა აფერი ეშველა ჩემ თავს...

მოსამართლე. ამეების ლაპარაკი აქ რა გამოსადეგია?

ციბაძე ამიტომაა გამოსადეგი, ბატონო, რომ თავი მინდა შეგაბრალო: თავიდან თუ არ მოგიყევი, ბოლო რა სახმარი იქნება!.. ჰო, ამას მოგახსენებდი: არც ცოლი მაწუხებს და არც შვილი. . ვიფიქრე, წავალ, შევალ პოლკში, ვიშოვი ჩინს და

*) დაბეჭდილია „დროებაში“ 1881 წ. № 121.

ტემლაკს და ქე ვიცხოვრებ მერე მეთქი. მოგეცა ღვთის წყალობა, პოლკში შევედი, შენ ხარ ჩემი ბატონი და გამომამწესეს სოტნაში. სოტნის კამანდირი ჩვენებური კაცი იყო და იმისანა საქმეს მიზამდა, რავა მეგონა.

მოსამართლე. მე მაგ ლაპარაკს ყურსაც არ ვუგდებ, ეს საქმეს არ ეხება.

ციხაძე. თუ ყურს არ უგდებ მე რა მენალღვლება, ქე წავალ ჩემთვის! მე კი არ მიჩივლია, იმან იჩივლა... ლაპარაკით დიდს არ შეგაწუხებ. ჩემი ამბავი მოკლე გახლავს: თქვენ არ მოუკვტე ჩემ თავს, მე ის არ მგონებოდეს, თუ ჩვენებური კაცი მიღალატებდა, როგორ იყო, ბატონო და ჩვენი სოტნა თფილისის ლანგირში გაამწესეს. წვევდი მეც. მოგეცა ღვთის წყალობა, კაი ქალაქი ის ყოფილა! აწიო სოტნის კამანდირმა გამოგვინცხადა, სიარული და სროლა უნდა ისტავლოთო. ვეიპლეჩ, სიარულს რაღა სტავლა უნდა-მეთქი! --მოვახსენე! — შენ ბევრს ნუ ლაპარაკობო, მიბრძანა კამანდირმა. — კარგი და პატიოსანი, ვიფიქრე. მარა ჩემ აფხანისკი ვკითხე: — ბიჭო აქ ლაპარაკიც პორციობით ხომ არ არის მეთქი? კამინდირმა ეს გეიგონა და კარცერში მატუცვია თავი. მეორე დღეს გამომიყვანეს თოფის სასროლათ. ახლა მაინც მევიმადლიერებ როტნის კამანდირს-მეთქი. ისროლა ერთმა, ისროლა მეორემ, ისროლა მესამე. კამანდირმა სთქვა:

ახლა მე გაჩვენებთ როგორ უნდა სროლაო. გამო-
უნიშნა და შიგ შუაგულში სტკუცა... ვიფიქრე, აბა
თუ ვარგხარ, ხახულიკა, ახლა გამოგაჩნდება ვაჟ-
კაცობა მეთქი და გამოუნიშნე მეც, შენ ხარ ჩემი
ბატონი და შით როტნი კამანდირის ნაკრავში
ვკარი.— უუუო, შეტრუალდა კამანდირი,— რავა
გაბედე ჩემ ნაკრავში კვრაო და ქე გამომრისხა
პოლკიდან.

მოსამართლე. შენ, ჩემო ძმაო, მოცლილი
ყოფილხარ და რაებს ბოდავ, ვინ იცის!

ციბაძე. ვბოდავ კი არა, ცხადათ გეუბნები;
სულ იქიდანაა საქმე რომ მოდის; პოლკიდან ჩამო-
ვედი ისევ გურიაში, სახლის კაცებმა, პოლკში ნამ-
ყოფია, რუსული იცის, იქითური აქეთურიო და
ამომირჩიეს მაგ სოფლის სუდიის პოპოშნიკათ. ეგ,
ბატონო, მომდგარა და მიჩივის, რომ ციბაძე რომ
ნომერს აწერს ლაპორტზე, ის ნომერი ჩემი არისო,
ეს ორი წელიწადია, რომ მე იმ ნომერით ვწერ
ქახალდებსაო და მაგი რავა ბედავსო! მეც, ჩემო
ბატონო, ტყვილა რეიზა უთავაზებ!..

მოსამართლე (თარჯიმანს) გაიყვანეთ ეგენი
გარეთ და გააგებინეთ, რა სისულელეზედაც ჩივიან.

ციბაძე. გამიყვანოს რავა, ჩემით ვერ გავალ!

თფილისი 1875 წ. 26 დეკემბერი.



(კორესპონდენცია)



ურიაში მყოფ კაცებისაგან ხშირათ გამიგონია, რომ „ნაგომრობა“ ძალიან კარგისანახავიაო და ამიტომ დიდი ხანია მინდოდა დავსწრებოდი. მაგრამ ამ წლამდი როგორღაც ვერ მოვახერხე. გწერთ რამდენსამე სიტყვას იმ საგნების შესახებ, რომელთაც უფრო მიიქციეს, იქ ყოფნის დროს, ჩემი ყურადღება.

ნაგომარი კარგა მოზდილი სოფელია, რომელშიაც ყოველ წელიწადს 17 ივლისიდან თითქმის 1 ავისტომდე არის ხოლმე იარმუკობა. სოფელში ოციოდ ღუქანი ძლივს მოიპოვება, მაგრამ იარმუკის დროს ვაქრები აშენებენ ხოლმე აქ კარვებს; აწყობენ შიგ ყოველგვარ საქონელს და ამნაირათ ვაქრობენ. ვაქრობის გარდა, აქ ხშირათ ბევრი დროს გასატარებლადაც მიდის.— უნდა იცოდეთ, რომ „ნაგომრობაზე“, თვითონ გურულებს გარდა, მოდიან აგრეთვე ბევრი იმერლები, მეგრელები და თითქმის თფილისის გუბერნიიდანაც, უმეტესი ნაწილი ვაქრებისა კი ქუთაისიდან, ფოთადან, ზუგ-

*1 „დროება“ 1869 წ. № 36.

დიდან და სენაკიდან არიან; ისინი აიყრებიან ხოლმე თავი:ის საქონლით და ჩამოდიან აქ სავაჭროთ. საკვირველ სანახავს წარმოადგენენ ამ დროს ნაგომრის გარშემო ადგილები. აქ შეხვდებით თქვენ თითქმის ყოველგვარ კაცს კავკასიისას; ისინი იყრიან ალაგ-ალაგ თავს ზოგან ცეკვავენ, ზოგან ჯიროთობენ, ზოგან ბურთაობენ და ზოგან-კი თავისს დაუვიწყარ „მეგონას“ და „მანანას“ იმღერიან.


სხვადასხვა საქონლებში განსაკუთრებით მიიქცევს ყურადღებას თითონ გურულ-ხელობის ქილობები და ურიცხვი თიხის ჭურჭელი; მეგონა, რომ ყოველმა გურულმა იცის ქილობის დაწვნა, მაგრამ, როგორც მერე შევიტყე, უმეტესი ნაწილი აქ შემოტანილ ქილობებისა კეთდება თურმე სოფ. ლანჩხუთს, დიდის სიამოვნებით დავცქეროდი მშვენიერ ხელობის დოქებს და სურებს და ოსტატურ დაწნულ ქილობებს.

შველაზე უფრო მომეწონა მე გურულების გულწრფელობა, მათი მხიარული ხასიათი და სტუმრის პატივისცემა; ამათი პატიოსნობა, სიდარდიმანდე, ყველაფერ საქმეში სიმსწრაფლე—ხომ განთქმულია! გურულს რომ შეხედო და დაელაპარაკო, ისე გეგონება—ცეცხლი ეკიდებაო; სანამ შენ შენს აზრს წარმოსთქვამდე და სიტყვას გაათავებდე, ის მიმხვდარია—რა უნდა სთქვა, და ერთს წუთში ორასსიტყვიან პასუხს მოგაყრის. .

მრთს სალამოს მე დამპატიყა ვახშმათ მ. ყ. თ—ა. *). სხვათა შორის, იმ სალამოს იქ იყო პრინცი მიურატი, თავის მეუღლით. როგორც მოგეხსენებათ, ამისთანა შემთხვევაში ჩვენებურ კაცს უსიმღეროთ და უყანწოთ გაძლება არ შეუძლია; მართლაც შუა ვახშმიდან შეიქნა გაცხარებული „მრავალ ჟამიერის“ სიმღერა, ყანწების ტრიალი და ჭიქების იქით აქეთ სროლა, ასე რომ მე შიშით კინალამ სუფრას ქვეშ შევძვერი. ღმერთმა უშველოს. კიდევ რ. თ—ძეს, რომელიც ჩემს მაგივრათ ჭიქებს იჭერდა, თორემ, დარწმუნებული ვარ, თავი მთელი არ გამომყვებოდა იქიდან.—ამნაირ შექცევაში გაათენეს იმათ მთელი ღამე. ყველამ იცის, რომ გურულები განთქმულნი არიან ჩონგურის დაკვრაში. ბევრ კარგ მეჩონგურეების დაკვრა გამიგონია მე. იმერეთსა და სამეგრელოში, მაგრამ ისეთის სასიამოვნო ხმების გამოყვანა თუ შეიძლებოდა ჩონგურიდან, როგორც ერთმა გურულმა გამოიყვანა იქ, ამას სწორეთ ვერ მოვიფიქრებდი.—მეორე დღეს სალამომდე იქ დავრჩი, სალამოს კი გამოვსწიე შინისაკენ.

სოფ. ქალაქი 1869 წ. 6 აგვისტოს.

*) ყარამან თავდგირიძე, მამა ოზურგეთის აწინდელ ქალაქის თავისა.



(პეტერბურგიდან).



ს ორი კვირა მეტია, რაც ოთახიდან არ გამოვსულვარ და არ ვიცი — პეტერბურგის ქუჩებში კიდევ ისეთი ჯგუფიანობა არის ხალხისა, როგორც ჩვეულებრივია ხოლმე, თუ არა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ კარგახანია, რაც პეტერბურგელებმა იწყეს თავის ბარგი-ბარხანის გზავნა საზაფხულო ადგილებში და თითონაც, გალაგდებიან ქალაქიდან.

მართლაც რომ ამ დროებაში თითქმის იცლება პეტერბურგი. ვისაც შეძლება აქვს და არა, მაინც მიეშურება საზაფხულოთ სოფლებში. ჩვენშიაც ხომ მოდაშია — აბასთუმანს, ზორჯომს და სხვა ადგილებში: წასვლა საზაფხულოთ! მაგრამ აქ მაინც რაღაც სხვა სიამოვნება აქვს. წარმოიდგინეთ სექტემბრიდან დაწყებული აპრილამდე ზამთარი, აქაურ დახუთულ ოთახში ყოფნა და გარეთ ოც-დახუთ გრადუსიანი ყინვა და მაშინ შეგიძლიათ დააფასოთ რა რიგათ მიეხარება აქაური ხალხი ამ ღარიბბუნებიან გაზაფხულს; უნდა უყუროთ პატარა ყმაწ-

*) „დროება“ 1872 № 21.

ვილებს, ახალგაზდა ქალებს, როგორ კრავივით დახტუნავენ სიხარულით, როდესაც მაისის დღეებს მოესწრებიან!

აქაური გაზაფხული ჩვენებურს კაცს ვერ გააკვირვებს თავის ბუნებით. აი დღეს, როდესაც ამ სტრიქონებსა ვ'წერ, თოთხმეტი მაისი არის, მაშასადამე, ის დროა, როდესაც ჩვენში მთელი არე-მარე ამწვანებულისა და ხე-ბუჩქები აყვავებული. აქა-იქ ჩემს თვალ წინ ვხედავ დიდ გაშლილ ბაღებს, სადაც ურიცხვი ხეები და ბუჩქებია, მაგრამ ისევ იმ ზამთრის სახით, ისევ იმ გაუშლელ ტოტებით, მხოლოდ აქა-იქ კი შეატყობს კაცი, რომ უხეირო კვირტები გამოჩენილა ხის შტოვებზე. განა ამნაირს სიღარიბეშია ახლა ჩვენი საქართველოს ბაღები, განა არ არის აქრელგებული ჩვენი არე-მარე სხვადასხვა ყვავილებით? მაგრამ ჩვენ ჩვენსას არას ვაფასებთ.

ახლა ამ პეტერბურგისა და საქართველოს ბუნების შედარებას თავი უნდა დავანებო, თორემ, უეჭველია, ვინმე იტყვის: ეს ვინ სულელი ყოფილა, რომ ჩვენებურ ტყემალს პეტერბურგის სიმდიდრესა და შნოს აღარებს! მაგრამ ესეც უნდა სთქვას კაცმა, ყველას ერთ გემო კი არა აქვს: ზოგიერთს ტყე მალი უყვარს, ზოგიერთს—აქაური „კლიუკვა“, ზოგს ჩვენი ბაღები უყვარს, და ზოგს იქაური იზლერის ბალი ურჩევნია. ერთის სიტყვით, როგორცა სწერენ „ცხელ ცხელ ამბებში“, ზოგს „როზა უყვარს

და ზოგს — „იკრა“. მაშასადამე, ჩვენც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ „იკრას“ შემდეგ ტყემალიც შეუყვარდება ვისმე...

მს ორი სიტყვა ვსთქვი და კიდევ გავათავე პეტერბურგის შესახებ ლაპარაკი. მომაგონდა ერთის კორესპონდენტის სიტყვები, „დროების“ 15 №-ში ამოკითხული. უფ. ვ. სწერს, რომ „ქართველებმა ათასში ერთხელ თუ ხმა ამოიღეს, იმასაც სეტყვის მოსვლაზე ილაპარაკებენ, ან გვალვაზე, ასე გონიათ, ამის მეტი სხვა აღარ იყოს რაო“. მერე უმატებს კორესპონდენტი: „ისევ თქვენი ქირიმე, ქიზიყელე-ბო“. ქიზიყელების შესახებ ვერას მოგახსენებთ და არც ვიცი, რა სიკეთე დაგვიყარეს; მაგრამ ის კინამდვილათ ვიცი, რომ ჩვენ საქართველოს მომორბეულებსა, ქიზიყელები ბევრათ გვჯობიან. ახა დახედეთ, ბატონებო, ჩვენის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებსა, არის რამე ან პეტერბურგიდან, ან ოდესიდან, ან მოსკოვიდან, ან ხარკოვიდან? ნუ თუ ამ უმთავრესს ქალაქებში წლიდან წლამდის შესანიშნავი და ჩვენთვის საინტერესო არა ხდება რა? ამის დამტკიცება ჩვენ არ შეგვიძლია. ნათქვამია: „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იქმებაო“. სურვილი და დაკვირვება იყოს, თორემ მასალას ყოველთვის ბევრს იშოვის კაცი. მაშ რა მიზეზია? შეიძლება სთქვას კაცმა: ვინ არის ამ ქალაქებში, რომ ჩვენებურ გაზეთებში და ჟურნალებში გამოგზავნოს

რამე, რომ გვაცნობოს თავისი გრძნობა, აზრი და სხვა ათასგვარი შთაბეჭდილებათ? მართალია, ბევრი არავინ არის, მაგრამ ვინც არის, იმასაც ტუჩზე ხელი დაუფარებია. პეტერბურგში ამ ჟამათ ოცდახუთ ქართველ ყმაწვილზე მეტია, ოდესაშიაც აღენი, მოსკოვში—ამის ნახევარი. ზარკოვში რამოდენიმე; მაშასადამე, საკმაო ყოფილა ჩემის აზრით, რომ თვეში ერთი კორესპონდენცია მაინც გამოერიოს. ამას, მე არა მგონია, დიდი დრო მოუხდეს; ერთი საათი დღეში ყოველთვის შეიძლება გარდადვას კაცმა თავის სამშობლოსა და ღვიძლი ენის სასარგებლოთ. ჩვენდა სამწუხაროთ, ყველგან მტკიცდება ის აზრი ჩვენის თავად-აზნაურის შეილების შესახებ. ნუ თუ ისე მტკიცეთ დაფუძნდა ის სიზანტე ჩვენს სისხლში, რომ ძველსა და ახალს არ შეგვეძლოს აპისგან განთავისუფლება? ვგონებ, რომ ჩვენი სამშობლო არ შეგვეცქერის გულწრფელათ თავისს შეილებს, რომელნიც ვივიწყებთ იმას... ჩვენ ვისურვებთ, რომ ეს სიჩუმე მოსპობილიყოს თუ ცხელ-ცხელი არ იქნება, ცივ-ცივ ამბით მაინც გაცხოველებულიყოს ჩვენი ლიტერატურა.

ღღეს წავიკითხე „ს.-პეტერბურგის უწყებებში“, რომ გაუთავებიათ შახნაზაროვის საქმე და სასამართლოს გადაუწყვეტია მისთვის ღირსების ახდა და ციმბირში გაგზავნა, აი საქმის ვითარება. შახნაზაროვი ყოფილა გვართ ბაბაგი, მისი მამა ქ. შუშის.

მცხოვრებათ ითვლებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ ბაბაევი თფილისში ჩამოსულა და იქ მიუღია მართლმადიდებლობა. რამდენსამე ხნის შემდეგ თფილისი მიუტოვებია და, როგორც აღმოჩნდა, მას აქეთ თავისი დღენი სიეშმაკეში გაუტარებია. ჯერ თავისი გვარი ბაბაევი გამოუცვლია და „თავადის აკოფოვის“ გვარით დიდხანს სცხოვრობდა პეტერბურგში. აქ მოუნდომებია მდიდარი ქალის შერთვა, მაგრამ როგორღაც ვერ მოუხერხებია. შემდეგ ამ ჩვენს „კნიაზ აკოფოვს“ გამოუცვლია გვარი „კნიაზ შახ-პურიან-შახ-ნაზაროვ გოქჩელი“-ად და წასულა მოსკოვში. იქ გაუცვნია ლამაზი ქალი, კარგი დედ-მამის შვილი და კარგი მზითვიანიც. აქ ბევრი არ დაუყოვნია და დედ-მამისათვის ქალი უთხოვნია. ქალის დედ-მამა თანახმა გამხდარა იმ პირობით, რომ ის შესულიყოს სადმე სამსახურში, — უმისოთ ჯვარის დაწერის ნებას არ მოგცემთო. შახ-ნაზაროვი ჩამობრძანებულა პეტერბურგში, შეუკერვინებია ქართული ტანისამოსი, გამოპრანჭულა სირმა-ვერცხლში, გაუკეთებინებია ტყუილი მოწმობები, ჩასულა მოსკოვში და უთქვამს, ხელმწიფის „კონვოიში“ შევედიო. ქალის დედ-მამა თანახმა გამხდარა და შახნაზაროვსაც ჯვარი დაუწერია. იმ წელიწადშივე ის გაუქაჩავს პოლიციას და ჩამოუბრუნებია პეტერბურგში, რადგანაც შახ-ნაზაროვის გვარი არც კი ყოფილა ნახსენები „კონვოელების“

სიაში. ასე რომ დიდხანს არა რგებია ჩვენს შახ-პარუნ-ანს თავის მეუღლესთან შახ-პარუნიანობა. ამის შემდეგ დიდხანს დარჩენილა ის პეტერბურგში. აქაც ბევრი უეშმაკნია და უტოდვილებია. ამასობაში, შახ-პარუნიანის მეუღლეც გარდაცვალებულა. ჩვენი დაქვრივებული შახ-პარუნიანი პეტერბურგში ერთ ახალგაზდა კოგოს შეშახპარუნინებია დროებით. რასაკვირველია, კარგ-ხანს ამ ახალ კეკლუცთან უცხოვრია და შემდეგ დაუკრავს ფეხი და წასულა პეტერბურგის ერთს მოშორებულ გუბერნიაში. იქ ერთ კარგ ნასწავლ და გაზდილ ქალიშვილს გაცნობია. იმ წამსვე გადუქიმავეს ბექები, გადუწმაწნია ულვაშები, ჩაუხველებია ერთი-ორი და გამოუცხადებია სიყვარული რალა ბევრი გავაგრძელოთ: ეს კეკლუციც გაუშახ-პარონიანებია, აუკრავს კარგა ბლომა ფული მზითვი და წასულა თავის საყვარლით კონსტანტინოპოლში. იქიდან ამერიკაში აპირებდა თურმე წასვლას, მაგრამ, მისდა საუბედუროთ, რუსის ელჩს შეუნიშნავს, დაუქერია და ჩაუბრძანებია პეტერბურგში.

ქარგა ხანია, რაც პეტერბურგში ეს საქმე გრძელდებოდა. სხვაც ბევრი რამე აღმოჩნდა შახ-პარუნიანის ჩანადენი და, ეს არის, ახლა გაათავეს „ქნიაზ აკოპოვ შახ-პურიან-შახ-ნაზაროვ-გოგჩელი-ბაბაევის“ საქმე.

სასაცილო ის არის, რომ, როდესაც აქაური ქალები ქართულათ ჩაცმულ კაცს დაინახავენ, შახ-პარუნიანი მოდისო, გაიძახიან....

პეტერბურგი 1872 წ. 16 მაისი.



(პეტერბურგიდან)

პეტრე პირველის იუბილეი პეტერბურგში.—გასქელებულის პაერისა ან შყავთავას ყლაპვა.—უფ. ქორიძე,—ქორიშვილი ანუ კორიჯიო პეტერბურგის სცენაზე.



ელს მაისის 30 შესრულდა 200 წელიწადი პეტრე პირველის შობიდან. რასაკვირველია, პეტერბურგი დიდის სიხარულით მიეგება თავის დამაარსებელის და რუსის პირველ იმპერატორის შობის დღეს. რუსეთს არ დაავიწყდება იმპერატორის სახელი, რომელმაც თავის ჭკუით და დაუცხრომელ მუშურ ხელით დაარსა პირველი გემი, ჯარი და სხვა ათასი რამე და გაუღო რუსეთს ევროპიულის განათლების კარი.

ღილის შვიდ საათიდან ორმოც და ათის ზარბაზნის ხმამ აცნობა პეტერბურგის დღესასწაულის დაწყება და ამ დროიდან სამის დღის განმავლობაში ხალხის მოძრაობას არა ქონდა ბოლო პეტერბურლის ქუჩებში, ბაღებში და იმ ადგილებზე, სადაც პეტრეს დაარსებული სინოდი, სენატი და აგრეთვე

*) „დროება“ № 26. 1872 წ.

პეტრეს ძეგლი დგას. თვით 30 მაისს ეს სახლები მშენებრათ გაწყობილი იყო. იმათს წინ გამოეფინათ ბაირალები, რომლებზედაც ეწერა იმ წლის რიცხვები, რა წლებშიაც პეტრეს ცხოვრების მომხდარა შესანიშნავი რამე ძეგლი პეტრესი, რომელიც დგას ნევის პირზე, გაწყობილი იყო სუროს ფურცლებით, ყვავილებით, და მშენებრ სანახავს წარმოადგენდა მარმარილოს ქვაზე მდგარი და გულპიწად ჩახელფეხებული ცხენი, რომელზედაც ზის ყოჩალი მხედარი და გადუშვერია მარჯვენა ხელი ნევის მდინარეზე, თითქო ეუბნებოდეს:

„**მ**ხ ღრონი, ნაქებნი მტკბარათ,

„**წ**არვიდენ, გაქრენ სიზმარებ ჩქარათ,—

„**ჩ**ვენ იგივე ვართ მარად და მარად.“—

მართლაც, რომ ღრონი-ნაქებნი წარსულან ჩქარათ, პეტრეს შემდეგ რუსეთს რომ ისე დაეხეღფეხებია თავისი ცხენი, ისე გარდაეკლავებია თავისი მკლავები, როგორც პეტრეს, უეჭველია, ის, ე. ი. რუსეთი, თუ ვერ გაასწრებდა, დაეწეოდა მაინც იმ ევროპას, რომელსაც თვით პეტრე გამოეკიდა.

—**ა**ი, რამდენი კარგი ნაყოფი მოუტანა პეტრეს დათესილმა განათლებამ!— ჩაილაპარაკა ვიღამაც აუარებელ ხალხში.

—**როგორ?**— კითხა მეორემ.

—**შ**ერა ხედავ, რამდენი დაჯილდოვებული ღენერლები მოდიან! აბა სად იყო პეტრეს ღროს ამდენი?

ამ სიტყვაზე, ერთმა, იქავე ახლოს მდგარმა, პატარა წვერიანმა კაცმა ჩაიცინა.

— თქვენ რა ვაცილებსთ, უფალო? — შესძახა მესამემ, რომელსაც, როგორც ეტყობოდა, ცოტათი არაყისთვის თაყვანი ეცა.

— როგორ რა მაცილებს!.. ახლა რომ პეტრე ცოცხალი ყოფილიყო...

— როგორ ბედავ შენ მაგას? — უპასუხა რუსმა ამ პატარა წვერიან ნემეცს. — ვინა გგონია შენ ისინი? შენი „პივოთ“ გაყევილი ნემეცები არ გეგონოს!...

— შენ „ოტკა“ დაგიღვევია და იმიტომაც ხარ კარგ ქკუაზე? — მიუგო ნემეცმა.

შეხე, როგორ ლაზათიანათ და მწკრივათ ჩაიარა ჯარმა, — სთქვა რუსმა, რომელიც შინისკენ მიდიოდა.

— იქმნება, შენცა გგონია, რომ მაგისტანა სწორსა და ლაზათიან ლაჯებს გადაადგამ!

-- მე ვერ გადავსდგამ; მაგრამ შენ, უეჭველია, მარჯვეთა ხარ ფეხებში, რადგან ქკუა თავიდან ფეხებში წავსვლია! — უთხრა ნემეცმა და ამოიღო, ქისა და დაუძახა მეორე ნემეცს, რომელსაც ლიმონათი დაქონდა გასაყიდათ.

— შენ იმასაც იტყვი, — უთხრა რუსმა პატრიოტულის გრძნობით, — რომ ეს ფული ჩვენებური ზიბელ-გროში არისო! — და უთითა რუსულ თეთრზე, რომელიც ნემეცმა თავის „ბუმბუქნიკიდან“ ამოალაგა.

— სრულებითაც არა, რაც მართალია, იმაში ხმასაც არ გაგცემ! ეს ფული დიალაც თქვენებური ფულია, მაგრამ ჩემს ჯიბეში გახლავს! — უპასუხა ნემეცმა, გარდაკრა სტაქანი ლიმონათი და გაუდგა თავისს გზას.

ამის შემდეგ რუსმა მიიხედ-მოიხედა და, რა ნახა, რომ ხალხი თანდათან გაცლილა მოედნიდანო, თვითონაც გაუდგა გზას. მეც შევატყვე თავს, რომ მზეს გვარიანათ დაეჭირებია ქოჩორში და ამისთვის სირბილით წავედი ბაღში და დავჯექი ჩრდილ ქვეშ, სკამზე.

ღიდხანს ვიჯექი ამ ჩრდილ ქვეშ და ვაბოლებდი აქაურს მახორკის მგზავს თუთუნის კომლსა; ამ ურიცხვ ხალხში ერთი ჩემი ნაცნობი არ გამოჩნდებოდა. ის იყო, თავმოებზრებული და უხეირო პაპიროსისაგან გაბრუებული გაუდგე მეც შინისკენ. უეჭველია, სახლში რომ მივსულიყავ, გამოვემწყდოდი ჩემს დახუთულ ოთახში მთელი დღე. მაგრამ მიხსნა ღმერთმა ამ განსაცდელისაგან და შემყარა ერთ ნაცნობ ოჯახობას.

— აი, ვერა, --- უთხრა დედამ თავისს ახალგაზდა ქალს, — იმედია, ეს შენი ნაცნობი ყმაწვილი კაცი არ დაგამადლის გაყოლას.

— მართლა, ძალიან კარგი იქნება, — სთქვა კეკლუცმა და მომიწოდა თავისს მგზავრათ.

სად მიბრძანდები? — ვკითხე მე.

— რაში გეკითხებათ? თქვენთვის ხომ სულ ერთია, სადაც არ უნდა იაროთ! — და ამ სიტყვებით მოშორდა თავისს დედას.

— ეს მართალი ბრძანეთ; მაგრამ ყველგან წაყოლაც არ შეიძლება: არის ისეთი ადგილი, სადაც მარტო წასვლა....

ბევრს ნუ ლაპარაკობთ, — მითხრა სიცილით ჩემმა მხიარულმა თანამგზავრმა.

„შრია წყალს მიქონდა, გზაც იქით ქონდაო“, ვიფიქრე მე და გავუყარე ხელი-ხელში ამ ჩემს თანამგზავრს და გაუდექი გრანიტის ტროტუარზე. თხუთმეტ წუთს მეტს მივდიოდით ჩვენ ნევის პირზე და დავცქეროდით მშვენიერ სანახავ ნევას, რომელზედაც ურიცხვი გემები და ნაგები დაცრიალებდენ.

— აბა, თქვენში ხომ ვერ ნახავს კაცი ამდენ გემებს! — მითხრა კეკლუცმა.

— შეკაცრავათ ბრძანდებოდეთ! — ვუპასუხე მე, — აქაური გემები რა უნდა იყოს! ჩვენში უნდა ნახოთ, რა გემები დადის: „კნიაზ ბარიათინსკი“, „გოლუბჩიკი“, „ნადეჟდა“... თქვენი გემები როგორ შეედრება იმათ!.. მაგრამ ეს მითხარით თუ ღმერთი გწამსთ. სად მივდივართ? — კვლავ ვკითხე კეკლუცს.

— სად მივდივართ და „გასქელებულ ჰაერის“ ჩასაყლაპვად.

— ღამიცევ, ღმერთო!.. გასქელებულის ჰაერის ყლაპვა რა ჯანაბაა.

— ხა, ხა, ხა!... — გარდიკასკასა ჩემმა მოგზაურმა: — არ იციტ, რა არის „გასქელებული ჰაერი“? აი ნახავთ, რაც არის, — სთქვა ეს ჩემმა მოგზაურმა და დარეკა თავის პატარა ხელებით ხარი ერთის სახლის კარებზე, რომელსაც ჩვენ მივადექით ამ ლაპარაკის დროს. იმ წამსვე გამოვიდა ახალ მოდურათ მორთული ლაქია და კარები გაგვიღო. ჩვენ შევედით ერთ ლამაზ ოთახში, სადაც ჩემმა დამამ მოიხადა თავისი მოსასხამი. ამასობაში მეორე კარებიდან გამოვიდა ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც, როგორც ეტყობოდა, დოქტორი იყო; დაუკრა თავი ვერას, ჩამოართვა ხელი და, ორიოდვე სიტყვის შემდეგ, ორივე შეგვიყვანა პატარა ოთახში, რომელშიაც ერთი პატარა სტოლი იდგა, რამდენიმე სკამი და ერთი ხვერდით გაწყობილი დივანი, სტოლზე ეწყო სხვადასხვა გაზეთები. დოქტორი გაბრუნდა ისევ და ჩვენ ჩავკეტეთ შიგნიდან კარები, რადგანაც ეს საჭირო იყო, რომ გარედან ჰაერი არ შემოსულიყო.

— აი, ეს გახლავს ოთახი, რომელშიაც გასქელებული ჰაერი არის. რადგან თქვენ არ იციტ ამისი გარამოება, მე გაცნობებთ, — მითხრა კეკლუცმა და ამ სიტყვებით ის მომიჯდა გვერდით და დაიწყო ლაპარაკი ისე გარკვევით, ისე უნოიანათ, რომ პროფესორის ლექციას ვისმენდი მეგონა. ამ ჩემმა პატარა პროფესორმა მოკლე ხანში გამაცნო

გასქელებულის ჰაერის ან მჟავ თავას ულაპვის სა-
ფუძველი. ახლა სანამ ეს ჩემი პროფესორი თვითონ
მჟავ-თავას ულაპავს, ვეცდები გაცნობოთ—რა არის
ეს „გასქელებული ჰაერი“ ანუ მჟავ თავას ულაპვა.

შველამ კარგათ იცის, რომ ერთი უმთავრესი
საჭირო საგანი კაცის ცხოვრებისათვის არის წმინდა
ჰაერი, რომელიც ამისთანა დიდ ქალაქში, როგო-
რიც პეტერბურგია, ძალიან ძვირია. აი ამიტომ
გამოუგონებიათ ეს ოთახი, რომელშიაც სხვადასხვა
მაშინებითა და მოწყობილებით აყენებენ წმინდა
ჰაერსა. რადგანაც კაცი სუნთქავს ჰაერის უმთავრეს
ნაწილს, რომელსაც ეწოდება მჟავ თავა და ჰაერში,
შეიძლება, სხვადასხვა მიზეზების გამო ერიოს ისეთი
გარეგანი ნაწილები, რომელიც მავნებელია კაცის
აგებულებისათვის, ამის გამო ამ ოთახს აქვს ისეთი
მოწყობილება, რომელიც ჰაერს მავნებელ ნაწილე-
ბისაგან სწმენდავს, ასე რომ ოთახში შედის წმინდა
და სასარგებლო ჰაერი. ამას გარდა ჰაერი აქ იც-
ვლება: როგორც თანდათან წმინდა ჰაერი შამო-
დის, ისე გადის ნასუნთქავი ჰაერი და აქ მჯდომს
აღამიანს არასოდეს მოუწევს სუნთქვა ერთისა და
იმავე ჰაერისა.

ძალიან ბევრნი სარგებლობენ ამ ჰაერით აქ
და კიდევ კმრგი ნაყოფიც მოაქვს. დანიშნულნი
არიან ისეთნი დოქტორნი, რომელნიც დარიგებას
აძლევენ მსურველს: რამდენ ხანს უნდა ისუნთქოს

აქ ჰაერი და სხ ეს აქიმობა ძალიან იათადაც ღირს და კიდევ სასიამოვნო არის, რადგანაც ამ ოთახში შეიძლება გაზეთის კითხვა, მუსიკა და, ამგვარათ, სიამოვნებით დროს გატარება. მაშ, როგორც ხედავთ, აქ ჰაერსაც კი ფასი ქონია.

შეიძლება, ვინმემ მიპასუხოს, რომ მაგისტანა ახირებულებს ხანდისხან ჩვენშიაც გვარიანი ფასი აქვს, და ამ სიტყვებით მომაგონოს ის კენჭები, რომელიც დასტურ ლაზათიან ფასათ იყიდება და ვაისადაც, უეჭველია, კარგა ფასი ექნება... მაგრამ მაგის თაობაზე ვერაფერს მოგახსენებთ, რადგან მანდ იმისთანა პროფესორი არა მყავდა, რომ კენჭების ღირსება კარგათ აეხსნა...

სანამ ამ მუშაობაში ვიყავი, ჩემი პროფესორიც გაძღა მჟავ-თავის ყლაპვითა, როგორც ეტყობოდა, და მითხრა:

— ხომ არ მოგბეზრდათ აქ ყოფნა?

მე ვუპასუხე, რომ ნამეტურ ჩემთვის ძალიან სასიამოვნო და სასარგებლოც არის აქ ყოფნა, რადგანაც მე გული მტკივა და ჭლექში ვარ ჩავარდნილი-მეთქი. ჩემმა პროფესორმა, როგორც მცოდნეს ეკადრებოდა, ისე გააქნია თავი და მითხრა სიცილით:


— ჭლექიანებს ნამეტურ ძალიან უხდებაო.

* * *

ამ მოკლე ხანში პეტერბურგის სცენაზე ვნახავთ

უფალ ქორიძეს, რომელსაც კარგათ იცნობს ქალაქისა და ქუთაისის საზოგადოება. დიდხანს ქონდათ თურმე უფ. ქორიძესა და აქაურ თეატრის დირექტორს მოლაპარაკება და ბაასი იმის შესახებ, რომ ქორიძეს თავისი გვარი გამოეცვალა, რადგანაც ჩვენებური გვარი არ ექაშნიკა უფ. დირექტორს. ქორიძე თანახმა იყო ქორიძის გვარი გამოეცვალა ქორიშვილათ; მაგრამ, დირექტორის აზრით, უკეთესი იქნებოდა, რომ მას გამოეცვალა გვარი იმისთანა გვარათ, რომელიც იტალიურ გვარს მიემსგავსებოდა და, როგორც ამობენ, საქმე გათავდა იმითი, რომ ჩვენი „ქორიძე“ უფ. დირექტორმა „კორიჯიოთ“ გადააქცია!...

1872 წ.



(ფინლანდიელთა შესახებ).



მ უკანასკნელ დროში ისეთი სიცხეები დგას პეტერბურგში, რომ უნებურათ გსურს კაცს სადმე გადაფრინდე... მართალია, ამ უკანასკნელს დროში გაახშირეს პეტერბურგში ჰაეროსტატების აშვება, მაგრამ ძნელი ეს არის, რომ ეს დალოცვილი ჰაეროსტატები საითაც ქარი დაუბერავს, იქით მიგაფრენს კაცს და აბა ვისა აქვს სურვილი ახლა ბალტიის ზღვაში გაცურებისა? ამბობენ, ვილაც ტომაშევიჩს გამოუგონია ახალი ელექტრომაგნიტული მაშინა, რომლის შემწეობითაც შეიძლება ჰაეროსტატებს მიეცეს ის მიმართულება, რომელიც საჭირო იქნება. ააშენა ღმერთმა! აქობამდე ქვეყანაზე სიარულიც სჭირდა და აწი ფრენაც გაადვილდება. ამ მეცხრამეტე საუკუნეში ისე გახშირდა გამოგონებები, რომ ნახავთ თუ ჩვენს ივანიკასაც სურვილი არ აუსრულდეს და უჩინ-მაჩინის ქუდი არ გამოიგონონ! მართალია, იქნება იმერლებმა ვერ დაიმსახუნონ ეს სახელი; მაგრამ ეს ხომ

*) „დროება“ 1873 წ. № 30.

ცხადია, რომ პირველათ იმერელმა ინატრა... მაგრამ კმარა უჩინ-მაჩინის ქუდის შესახებ ლაპარაკი; ღმერთმა მშვიდობა მიცეს ამ პეტერბრლსაც... გავიდეთ აქედან, იქნება, ქალაქს გარეთ მაინც ცოტათი გრილოდეს.

მაგრამ რაკი მოშორდებით პეტერბურგს და მის აგარებს, იმ წამსვე შეხვდებით სოფლებს, რომელთაც არ ეტყობათ ამ მდიდარ ქალაქის ახლო მდებარეობა. ისევ ის უთავბოლო ცხოვრება იხატება თვალწინ, რომელიც ასე სჩვევია სოფლურ ცხოვრებას. მაგრამ ასეთ დიდ ქალაქის ახლო მცხოვრებ ხალხს, რომ უკეთესი ცხოვრება არ ენახოს, ძნელი საფიქრებელია, მაშ რა მიზეზია, რომ ეს ხალხი ასე ჩამორჩენია თავისს მეზობლებს? მე ვამბობ იმ სოფლების შესახებ, რომელთაც რუსები ჩუხონების სოფლებს ეძახებენ. ეს ხალხი ეკუთვნის ფილიანდიელ ხალხს და როდესაც „ჩუხონას“ დაუძახებენ, არ ესიამოვნება, თითქო გინებათ მიაჩნდეს ეს სახელი.

რა კი თანდათან გასცილდებით პეტერბურგს და მიუახლოვდებით ფილიანდიის ძველ სატახტო ქალაქს ჰელსინგფორსს, იმდენი უფრო იცვლება ეს სოფლები და თითონ ხალხიც. აქ თქვენ ძვირათ ნახავთ გრძელ-ხალათიან რუსის გლეხს; იმას აცვია ძველი, მაგრამ მოკლე და გაწმენდილი ტანისამოსი, თმაც მოკლეთ და ლაზათიანათ შეუკრეჭია. თუ

მიხვედით და კითხეთ რამე, ის სრულებით უარს არ არის, თქვენის გულისთვის ხუთიოდე წუთი მოიცადოს, ხეირიანი პასუხი მოგცეს... თქვენ მაშინვე ატყობთ ფილიანდიელს, რომ ეს სხვა ხალხია და, რაღაც ბუნებითი პატიოსნება ჩაუნერგავს ღმერთს ამ ხალხისათვის. დედობრივ სქესიდანაც ძვირათ დაინახავთ აქ იმ ფარისევლურს მორცხვობას და ყოველ უცხო კაცისაგან რყეში გაქცევას, როგორც ხშირათ იციან ჩვენში სოფლის ქალებმა. ის თქვენთან გამოდის სიამოვნებით, თამამათ გელაპარაკებათ და არც მოგცემსთ მიზეზს, რომ რამე უკადრისის თქმა გაუბედოთ, და თუ გაუბედეთ რამე, მაშინ, უეჭველია, საკადრისს პასუხს მიიღებთ. მე თითონ ვიყავი მოწამე, რომ ერთი ყმაწვილი კაცი, რომელიც მიუახლოვდა ერთ ფანჯარაზე გადმომდგარ ყმაწვილ ქალს და ფინლანდიურ ენაზე ორიოდე სიტყვა უთხრა, ქალი იმ წამსვე შებრუნდა თავისს ოთახში და დიდხანს არ დაბრუნებულა. საქმე ის იყო, თურმე, რომ ამ ყმაწვილს მოსწყურებოდა და ამხანაგებს უთხრა: „მასწავლეთ, ფილიანდიურათ რძე როგორ ვსთხოვოვო?“ მაგრამ ამხანაგებმა რძის სახელი ასწავლეს და ზეთ ყმაწვილი ქალისთვის სათაკილო სიტყვები დაამატეს. ქალი დაბრუნდა და ერთის ხელით სტაქნით რძე გარდმოაწოდა ყმაწვილს და როდესაც იმან სტაქანი დასცალა, ქალმა მეორე ხელიდან სტაქანი უცბათ

შემოატრიალა და მდულარე წყალი პირში შეასხა: ის რძე შენის პირველის თხოვნის დასაკმაყოფილებელია და ეს ცხელი წყალი—მეორისაო“, —უთხრა ქალმა და ამ სიტყვით ფანჯარაც ჩაიკეტა. ეს ფაქტი იმდენათ შესანიშნავი არ არის, რომ ამაზე ლაპარაკი ღირებულიყოს. მაგრამ აქედან შეიძლება კაცმა შეადგინოს ცოტაოდენათ ის აზრი, თუ რა ყოფაქცევისანი არიან აქაურ დაბალ ხალხის ქალები. საზოგადოთ, ფილიანდიელები, ინგლისელების არიყოს, თავის ოჯახის ძლიერ მოყვარულნი არიან და იმისი სახელი წმიდა ტაძარივით დაცული აქვს ყოველ ფილიანდიელს; ის პოულობს ნეტარებას თავის პატარა ოჯახში და ამ ნეტარებას არ გაცვლის არავითარ ქვეყნიურ სიმდიდრეში.

შეიძლება, აქ ელაპარაკნა კაცს ფილიანდიურ სასოფლო სკოლებისა და დაბალ ხალხის გარემოების შესახებ უფრო ვრცლათ, ამის მასალას, გარდა დაკვირვებისა, ოფიციალური ცნობებიც აძლევს კაცს; მაგრამ სრულებითაც არა მქონია სახეში ამ ხალხის განვითარების ისტორიას შევსდგომოდი, ამისთვის გარდავდივარ ისევ ჰელსინგფორსსზე და ვიტყვი ორიოდ სიტყვას იმის შესახებ, თუ რა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ ქალაქმა და აქაურმა მცხოვრებლებმა.

ჰელსინგფორსი არ არის დიდი ქალაქი, მაგრამ ის არის აშენებული ევროპიულ გემოზე და

რაც კი საჭიროა განათლებულ ქალაქისათვის, არა აკლია რა. აქ არის უნივერსიტეტი, სასამართლოები, თეატრები, გიმნაზიები, ინსტიტუტები და საუკეთესო ქუჩებზე და მოედანზე ძეგლებიცაა სდვას. ეტყობა, რომ ამ ხალხსაც თავისი წარმომადგენელი და გამოჩენილი კაცებიცაა ყოლია. ქუჩაზე რაღაც სულ სხვანაირი სისუფთავეა და ხალხიც სხვა თავაზიანია. აქ თქვენ ძვირათ შეხვდებით იმისთანა „держи морда“-ებს, რომელითაც უნებურათ უტევთ გზას რუსეთის სხვა ქალაქებში. ბულვარში გადიხართ საღამოს. თქვენ იქ ხედავთ ფილიანდიელ საზოგადოებას, რომელსაც ისევ სხვა ფერი აძევს. რაც შეეხება ხალხის ტიპს, იმაზე ეს ითქმის, რომ კაცს უფრო ხშირათ შეხვდებით ლამაზს, ვინემ ქალს; ქალები უმეტესნი დაბალის ტანისანი არიან, ქრელ-თვალ და თეთრ თმა-წარბა, ასე რომ ვისაც შავ თვალ-წარბიანი ქალები მოსწონს, იმის ყურადღებას ვერ დააკმაყოფილებენ ამ მხრით აქაური კეკლუცები. მაგრამ ეს გარემოება არ აწუხებს ფილიანდიელს და ის ძვირათ გასცვლის აქაურ ქალს შავ თვალ-წარბა ფრანგის ქალებში.

ღიდი ხანია, რაც ფილიანდია შემოერთებულია რუსის სახელმწიფოსთან; მაგრამ იმისი შინაგანი წყობილება განსხვავებულია რუსების შინაგან წყობილებისაგან; იმათ თავიდანვე ისე წაუყვანიათ თავიანთი საქმე, რომ თავისი კარგი არ დაუკარ-

გავსტ და სხვისი თუ რამე უნახავსთ ხერხიანი, იმისი მითვისება არ უთაკილებიათ. ამ პატარა ხალხის ხეირს ის ამტკიცებს კიდევ, რომ დიდი ხანია, რაც ეს ქვეყანა შვეციასა და რუსეთს შორის არის ჩავარდნილი, მაგრამ ამით იმას თავისი ნაციონალური ხასიათი არ მოუსპია. ისევ იმ თავის ენაზე ლაპარაკობს, სწავლობს, სასამართლოებში და ოფიციალურ საქმეებშიაც იმას ხმარობს. როდესაც ფილიანდიურ ენის შესახებ სურს კაცს ლაპარაკი, არ შეიძლება არ მოიხსენიოს კაცმა ჰელსინგფორსის უნივერსიტეტი, რომელიც არსებობს 200 წელზე მეტია. პირველათ აბოს ქალაქში გუსტავ-ადოლფს დაუარსებია გემნაზია. 1840 წელში ეს გემნაზია გარდაუკეთებიათ უნივერსიტეტათ და აბოს დაწვის შემდეგ გარდმოუტანიათ ჰელსინგფორსში. ამ უნივერსიტეტს ეკუთვნის უკეთესი სახელი ფილიანდიელებისა. ეს არის სულღი და ხორცი ფინლანდიელებისა. ამ უნივერსიტეტს გამოუტანია ფილიანდიური ენა დავიწყებიდან, შეუკრფეთა ყოველისფერი, რაც კი ფილიანდიელმა იცის თავისი ნაციონალური, იმას გაუზღია ფილიანდიელი საზოგადოება და უჩვენებია იმისთვის თავისი წილი ქვეყნიერების ისტორიაში. ეს უნივერსიტეტია, რომ აძლევს ამ ხალხს იმ ხეირიან ახალგაზდობას, რომელსაც უჭირავს ეს ქვეყანა წარმატების გზაზე. მართალიც უნდა თქვას კაცმა აქაურ ახალგაზდობაზე: ესენი არიან სეიმში,

სასამართლოში, ვაჭრობაში, სამღვდელთაში და ყველგან, სადაც კი შრომა და მოძრაობაა საჭირო ხალხისთვის. ამათ მტკიცეთ შეუკრავსთ ურთიერთ შორის კავშირი და საფლავამდე მისდევენ თავის ქვეყნის კეთილდღეობას. იმათს შორის თქვენ ძვირათ ნახავთ უთავბოლოთ პატრიოტობის შესახებ მყვირალ ყმაწვილ კაცს. მაგრამ იცოდეთ, რომ საქმით ის ნამღვილი პატრიოტია. მუდამ მოყვარულია იმისი, რასაც ფილიანდიის სახელი ქვიან... თითონ ფილიანდიელმა გადმოიშალა რუსული წიგნი, რომელშიაც ერთი ფილიანდიურ ნაციონალურ სიმღერის თარგმანი იყო დაბეჭდილი. ეს სიმღერა ფილიანდიურათ ასე დაიწყება: „Vårt land, vårt land, vårt fosterland...“ ჩვენო ქვეყანა, ჩვენო ქვეყანავ, ჩვენო სამშობლოვ!“....

ძვირფასო სიტყვავ! სად არის სხვა მთა, ცამდის აწვდილი, ანუ ხეობა, ანუ კიდე, ზვირთი უკუმქცეველი, რომელნიც უფრო უყვარდესთ, ვინემ ჩვენ გვიყვარს ჩვენი მხარე, ჩრდილოს მდებარე, ჩვენი მამული!

„ჩვენი ჩვეყანა ღარიბია და ღარიბადაც ღარჩება იმათთვის, ვისაც ოქრო სწყურის. აქ უცხო ქვეყნელი ამაყათ ჩარბის ჩვენ წინ, მაგრამ მაინც კი გვიყვარს ეს ქვეყანა; ეს ქაობიანი, მთა ზღვა-კლდოვანი ქვეყანა, ჩვენთვის ოქროვანი ქვეყანაა.

....„აბა უყურე, თუ ჩვენის სიყვარულისგან

არ აღმოვიდეს—შენი შუქი, შენი ელვარება, შენი სიხარული, შენი იმედი, ღაე, ერთი კიდევ გაიხმაუროს ჩვენმა სამამულო სიმღერამ*!

მს სიმღერაა, რომელიც ისმის მინდორში, სახლში, ბაღში, თეატრში და რომელიც არის პორტრეტი ფილიანდიელ ხალხის პატრიოტიზმისა. აბა ნახეთ, თუ ამ პატარა ხალხს, ამ ორ დიდ სახელმწიფოთა შორის მყოფს, არ შეუნახავს თავისი ნაციონალური ხასიათი! ნუ თუ არ კმარა მაგალითათ იმ მწერლებისათვის, რომელნიც ქადაგებენ, რომ დიდმა პატარა უნდა ჩაყლაპოსო... დასამტკიცებლათ მომყავს აქ ერთის რუსულ ოფიციალურ ჟურნალის სიტყვები, რომელიც მაგისტანა მქადაგებლებისათვის მადლობათ კმარა.

..ჩვენს საზოგადოებაში კიდევ იპოვებიან იმისთანა პირნი, რასაკვირველია, ნაკლებათ განვითარებულნი, რომელნიც ცუდის თვალით უყურებენ იმასაც, რომ ჩვენი მთავრობა შეუხებლათ სტოვებს ჩვენი თანამემამულე უცხო ტომის ხალხებში იმ ადგილობრივ განსხვავებითს თვისებებს, რომელნიც არ ეწინააღმდეგებიან არც სამართლიანობასა და არც გონიერებას. ძალიან სასურველია, რომ ჩვენში ძირიანათ ამოიკვეთებოდეს ეს მტრული აზრები, ეს ბრმა მიდრეკილება, რომელსაც არაფითარი გონიერი მიზანი არა აქვს“.

პეტერბურგი 1873 წ. 19 ივლისი.





ამი საათია ნაშუალამევის და მე კიდევ არა მძინავს, ჩემო დაუვიწყარო ა—ღმ. მიზეზი? მიხვდი!... მაგრამ რას ვამბობ? სამ საათს რუსეთში განა ღამეა ამ დროს? ღამე კი არა, სამოთხეა! რა მშვენიერი ცაა! ღმერთო ჩემო, რა ბედნიერი ვიქნები, რომ იმისი აწერა შემეძლოს, რასაც ვხედავ და ვგრძნობ ამ წამში! მაგრამ ამაოა ჩემი სურვილი! ვხედავ, რომ ის ძღვეს ჩემს ღონეს... ფანჯარა გაღებული მაქვს და დავსცქერი ამ პატარა ტბას. რომელსაც რუსები „ლუდერგოფის ტბას“ ეძახიან. მარჯვენა მხარეს მოსჩანს მთა იმავე სახე ლისა, და მარცხნით ეტყობა, რომ მზე ამოსვლას აპირებს. ეს ყველა—არაფერი! უნდა შეხედოთ, ცაზე რა ამბავია: რა და რა ფერათ იცვლება ის არე-მარე, საიდანაც ამოსჩანს მზის შუქი რა იცის ახლა იმან, ვისაც ტკბილათ სძინავს, რომ ეს სიფხიზლე უფრო ტკბილია და ამომავალი მზე აფხიზლებს კაცის გულში სიყვარულს და, მაშასადამე, სიცოცხლესაც! არა, ჭეშმარიტათ, კიდევ სიცოცხლე მიჩვენია სიკვდილს! ღმერთო, დაილოცა შენი სახელი, რომ ერთი-ორი წამი იშოვება იმისთანა, როდესაც კაცის სული და გული დამტკბარია!..

ბათავდა ნეტარება. . ოთხი საათია... ისმის
 რკინის გზაზე მაშინის კვილი, რომელიც ამ ტბასა
 და პატარა მთას შუა გარბის გიჟივით. ჰეპელაც ჩემი
 მტერია: დახედეთ, ჩემს, უიმისოდაც ჩამშრალ საწე-
 რელში ჩაფრენას აპირებს და მარტოხელ ბუზანკა-
 ლის ბზუილს ყურთასმენა მიაქვს!.. ტკაც!.. ა შე
 წყეულო! შუბლი მეტკინა, მაგრამ ესეც მოვკალი.
 დახედეთ, კოლოსაც კბენა სკოდნია! რა უნდათ ჩემ-
 გან! რომ არ მაყენებენ. გამომიყვანეს მყუდროე-
 ბიდან და ისევ შემიყვანეს ცხოვრების ბრძოლაში!..

ღმერთო ჩემო! რა კარგი ჟამი იყო და რა მა-
 ლე წავიდა!?!..

კრასნოე-სელო. 1873 წ. 18 ივნისს.



უ ე ნ ი უ ვ ე ა .



ამის თერთმეტი საათია და კიდევ გავა-
 თავე კითხვა ნეკრასოვის თხზულების „Рус-
 скія женщины“ (отечественныя записки 73 წ.
 იანვარი). რა მშვენიერება რამ არის! რა ცვლილე-
 ბას ახდენს კაცის გულში ეს მშვენიერი თხზულება!
 შორსა ვარ, თორემ მინდა მისს გულს თაყვანი ვსცე
 და ხელებს ვაკოცო! რა ძალა გაქვს, პოეზია!.. წყე-

უღიმკ იყოს, ვისაც შენ არა სწამხარ! ნეტავ თუ ვინმემ თქვას, რომ ეს ათ ფურცელზე დაწერილი პოემა არა სჯობდეს ზოგიერთ თორმეტ ტომიანს რომანებს? პოეზია! პოეზია! შენა ხარ სარკე კაცის გულის იმ შემთხვევაში, როცა გული ამაღლებულია ცის სიწმინდეში და ის მოშორებულია კაცობრიობის უხეირო ამაოებას. მაშ რა გჯობია შენ და რა განწმენდს კაცობრიობის ზნეს, თუ არ შენ?!..

გომბორი. 1873 წ. 27 ოქტომბერს.



ა ზ ო რ ი ზ მ ე ბ ი .



ხალგაზდები ლაპარაკობენ იმაზე, რასაც შერებთან; უფრო ხნიერები—რაც უქნიათ; სულელები-კი—რისიც ქმნა უნდათ.

მრთი ქალი ამბობდა, ჩემი არშიყი იმისთანა წიგნის მკითხველსა ჰგავს, რომელიც მუდამ წინასიტყვაობით ათავებსო.

თუ ქალმა სახე დაიფარა, სხვა რასმე გამოაჩენს.

თუ სამნი ხართ და საიღუმლო გინდა ილაპარაკო, ორი მაინც უნდა დაითხოვო.

უქალოთ ხეირიანათ ვერც ადგომას შეეგებები
და ვერც დაწოლასო.

ძალის ტუჩი ისეთი მიყვარს, რომ მთქნარების
დროსაც უზანთულის ტოლი იყოს, დილა ადრინა-
თაც—ბროწეულივით წითელი და საღამოზე კი—
წებოსავით იკვრებოდეს.

თუ ცოლი ანგელოზივით გიცინის, დაუკვირდი:
გულში ეშმაკი ხომ არ ჩასჯდომია?

სიყვარული სამის წყაროთი იზრდება: თვალით,
ენით და ტუჩით.

ადამიანი ცოცხალი უნდა მიცურავდეს მდინა-
რეში აღმა, თორემ დაღმა მკვდარსაც წაიღებს მდი-
ნარე.

რ—ი ისეთი ქვეყანაა, რომ ყველაფერსა ჰყი-
ნავს. ამისათვისაც ასე ძლიერ უკვირსთ ახალგაზ-
დობის დუღილი. აქ ნება აქვს იდულოს მხოლოდ
„შჩისა“ და „სამოვარს“.



(სალიტერატურო სადამოზე).

ღღეს სადამოს ტფილისის საზაფხულო თეატრში იყო ქართული სალიტერატურო კითხვა. ჩემთვის მით უფრო სასიამოვნო იყო ამ კითხვაზე ყოფნა, რომ აქ კითხულობდენ სხვათა შორის, ჩვენის ლიტერატურის წარმომადგენელნი: ილ. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, დ. ი. ყიფიანი და რაფიელ ერისთავი.

ძნელი შესადარებელია აკაკი და ილია. ერთი ილიაა და მეორე—აკაკი და ისეთი იქმნებიან მუდამ, ესე იგი, ორნივე ქართველნი, მაგრამ ერთი იმერელი და მეორე ქართლელი. ერთი გაიცინებს არათუ თხზულებით, იმერლობითაც. მეორე კი—მხოლოდ თხზულებით. მაგრამ როგორც ერთის, ისე მეორისაც მადლიერი რჩებით, და დიდხანს არ იკარგება იმათი გავლენა მსმენელებზე.

მაგრამ ჩემი აზრი ეს არის აკაკის შესახებ: იმეორებს ერთსა და იმავე საგანს, მაგალითად; ადვოკატი იმას ყავს ჩინებულათ გამოხატული თავის „სცენა საპატიმროში“ და კიდევ მეორე თხზულებაში „ადვოკატის დილა“. რა საჭიროა მწერლისთვის განმეორება. მწერალი ცხოვრობს, ფიქრობს, გრძნობს. მაშასადამე, იმას უნდა სწერდეს, რასაც;

გრძნობს, და რაც გაუვლია და უნახავს ან მოე-
ლის. რაც ერთხელ გამოუხატავს, მეორეთ რად
უბრუნდება?.. ამ შემთხვევაში ნამდვილი მწერალი
გველსა გავს, რომელიც არ შეიმოსება ისევ იმ
ტყავით, რომელიც ერთხელ გაუცვეთია მოუშო-
რებია.

თფილისი.



ზ ე ნ ი ზ ვ ნ ა.

1875 წ. 8 აპრილს.



კითხულობ ვოლფგანგ გეტეს თხზულებას
და ვადარებ მისს ცხოვრებას. მაგრამ
ძლიერ მაკვირვებს იმისი ცხოვრების ამწერის აზ-
რი (Д. Г. ЛЮИСЪ), ვითომც გეტეს ყვარებოდეს
ფრედერიკს შემდეგ—ლოტხენი, შემდეგ—მაქსი-
მილიანა ლაროში და სხ... არა მჯერა, იმიტომ რომ
სიყვარული მხოლოდ ერთხელ შეიძლება; თუ შემ-
დეგ ჩვენ ვხედავთ სიყვარულის მაგალითს, ეს ნამ-
დვილი სიყვარული არ არის; არა მჯერა, რომ 'შემ-
დეგ პირველის სიყვარულისა სული, გული და გრძნო-
ბა ადამიანის ისევ იმავე გრძნობით გაახლდეს. რაც

უნდა სთქვან, მე მაინც არა მჯერა, რომ რამდენადაც არ იქმნეს მეორე სიყვარული პირველზე: უსუსტესი, მაგრამ სიყვარული ისეთი გრძნობაა, რომ ან „სულ“ და ან „არა“, იმისი გაყოფა და განაწილება შეუძლებელია.

თფილისი.



მზვიდობიანობა თუ ომი? *)

(წერილი რედაქციის მიმართ)

მუდმივი მზვიდობა საფლავშია.

ლეიბნიცი.



-ნო რედაქტორო! თქვენს ჟურნალ „მოამბეში“, ამ წლის პირველ ნომერში არის დაბეჭდილი ბ-ნ შ. ეულის წერილი, სახელდობ, „რა არის ომი?“. როგორც შინაარსიდან სჩანს, ბ-ნ ეულს სურს განიხილოს საჭირო არის ომიანობა და ბრძოლა, მოითხოვს ამისთანა სასტიკ საშუალებას ქვეყნიერობის საჭიროება თუ არა?.

აქ მოყვანილია შ. ლეტურნოს აზრები, დასამტკიცებლათ იმისა, რომ ომიანობა და ბრძოლა უსარგებლო და მავნებელი საშუალებაა. ავტორი.

*) „მოამბე“ 1897 წ. № 3.

ვიწროთ არჩევს ამ საგანს და უფრო მომთხოვნე მკითხველს ვერ დააკმაყოფილებს.

ამ საგანზე ბევრი რამ არის დასაწერი, მრავალ მეცნიერთა აზრები არიან ქალაქებზე გადაღებული; მაგრამ ქვეყნიერობის გაჩენის შემდეგ, ჩვენს დრომდღე, ვერავითარმა აზრმა ვერ მოსპო ომიანობა და ბრძოლა; ნამეტურ, შემჩნეულია, რომ რამდენათაც ჭკუითა და გონებით, ხალხის განვითარება მატულობს, იმდენათ უფრო ხშირდება ომიანობა და ბრძოლა ქვეყანაზე.

მაგალითათ, ავიღოთ უკანასკნელი მეცხრამეტე საუკუნე, რომელიც ჭეშმარიტად მაღლა სდგას ყველა სხვა საუკუნეზე მეცნიერული განათლების მხრივ; ვნახავთ, რომ არას დროს, არც ერთ საუნიეში ასე ხშირათ ომები არ მომხდარა.

მს ომები იყო: რუსთა და კავკასიელთა შორის, რუსთა და სპარსელთა შორის, რუსთა და ოსმალთა შორის, ფრანგების ომიანობა ალჟირში, ყირიმის ომი, ფრანგთა და ავსტრიას შორის, მექსიკაში, ამერიკაში, ინგლის-საფრანგეთსა და ჩინეთ შორის, შლეზვიგში, ავსტრიასა და პრუსიას შორის, საფრანგეთსა და პრუსიას შორის, რუსთა და ოსმალთა შორის, ფრანგების ომიანობა ტონკინში, იაპონიასა და ჩინეთს შორის, იტალიასა და აბისინიას შორის და სხვა წვრილმანი ომები. ერთ წელიწადსაც ვერ ვნახავთ, რომ ბრძოლა მოსპობილიყოს.

ამერიკის წარჩინებულმა პირებმა—გრანტმა, ლიიმ, მორგანმა, ფოსტერმა, ლინკოლმმა და სხვებმა კარგათ იცოდნენ, რომ ამერიკის შტატთა შორის ბრძოლა ბევრ მსხვერპლს მოინდომებდა, მაგრამ იმასაც ყველა გრძნობდა, რომ მონების და დაჩაგრული ხალხის განთავისუფლება უბრძოლველად შეუძლებელი იყო, რადგანაც პოლიტიკური კამათით არა გამოვიდა რა.

ვინ არ იცის, რომ ძველი ბერძნების და რომაელების განათლებას დიდი გავლენა ქონდა ქვეყნიერობის ვითარებაზე; მაგრამ როდესაც ამ განათლებას წინააღმდეგა ქრისტიანული აზრები და მიმართულება, რომელიც სხვა მშვიდობიან განათლებას და კაცთ-მოყვარეობას ქადაგებდა, მაშინ ძველ ცივილიზაციას ძალა-უნებურათ ადგილი უნდა დაეთმო ახალ ქრისტიანულ აზრებისათვის. ამისთანა ცვლილების მოხდენა შეუძლებელი შეიქმნა უომრად.

მაჰმადიანთ სჯულის კანონი ეუბნება: ვინც მართლმადიდებელ სარწმუნოების კაცს ბევრს დახოცავს, იმას პირველი ადგილი ექნება საიქიოსაო. ამ სარწმუნოების ძალით, თათრებს რომ ნება მიეცეთ, ხომ გასწყვეტენ ქრისტიანობას! მაშ რა საშვალეება ვიხმაროთ, თუ არა ბრძოლით და ომით დავიცვათ ჩვენი არსებობა!

წინდაწინ ვიცი, ამაზე მიპასუხებენ: ხმლით კი

არ უნდა ჩააგონო კაცმა კაცს, საზოგადოებამ— საზოგადოებას კეთილი აზრები, არამედ განათლებით, სწავლით, მშვიდობიანი რჩევით. ეს დიახაც უმჯობესია; მაგრამ, თუ შენი რჩევა არა სწამს! სანამ ის შენს რჩევას დაეთანხმება, ხომ ბევრ ავაზაკობას და მავნებელ საქმეს მოახდენს. პეტრეს მოსვლამდის პავლეს ხომ ტყავი გააძვრეს!

რაც უნდა კარგი და სასარგებლო აზრი გამოითქვას. წინააღმდეგ იმისა, რომელიც არსებობს, მაშინვე საზოგადოება განიყოფება ორ ნაწილად: ერთს ძველი სწამს და მეორეს ახალი; ბოლოს თავდება ბრძოლით; მით უფრო სასტიკ ბრძოლით, რამდენიც უფრო მტკიცე და პატიოსანი არიან ორივე მხარენი.

ზინც კარგათ ჩაკვირვებია ძველსა და ახალ ისტორიას, უეჭველია ეცოდინება, რომ ათასი იმისთანა გარემოება არის და იქნება, რომელიც ვერავითარ პოლიტიკით, რჩევით და ბაასით ვერ დასრულდება, თუ არა ბრძოლით.

მს სამწუხაროა, მაგრამ ნამდვილია, და თუ რამე სანატრელია, მხოლოდ ის, რომ ომიანობა უფრო იშვიათად ხდებოდეს და უფრო შემსუბუქებულ იქნას. ამისი ცდა არ აკლია უკანასკნელ დროს.

ქვეყნიერობის ბუნებისთვის სულ ერთია ვინ დაიჩაგრება და ვინ გაიმარჯვებს, მხოლოდ ეს კი

ნამდვილია, რომ უკეთესი დარჩება და უარესი მოი-
სპობა. თუ ყოველთვის ასე არ არის, ეს ცალკე
შემთხვევაა და არა კანონი. ამას ხომ დარვინიც
გვიმტკიცებს არა ნაკლებ საფუძვლიანად, ვიდრე
ლეტურნოს აზრები.

მომიანობა თუ უსაფუძვლოდაც მოხდება ხოლ-
მე, ეს მხოლოდ კაცობრიობის სისუსტეა და ნაკ-
ლულეფანება.

საწამლაფი არის ისეთი მასალა, რომელიც
ხშირათ იხმარება ავადმყოფის სასარგებლო წამლე-
ბის შესადგენად; მაგრამ თუ ექიმმა საწამლაფი მო-
მეტებული გაურია წამალში, მაშინ იმ წამალს
ადამიანის აგებულება ვერ იტანს და კვდება.

ზადლიერებული ქარი ბევრ უსიამოვნებას აყე-
ნებს ადამიანს, მაგრამ ბუნებას არა აქვს შეწყნა-
რება ჩვენი უკმაყოფილებისა და დრო გამოშვებით
ისეთ ქარიშხალს გვიგზავნის, რომელიც დაბერებულ
და დამპალ ხე-ტყეს შეუპოვრად აქცევს და სთხრის,
რომ ახალ ბუჩქებს გზა დაუცალოს, ჰაერი გაუ-
წმინდოს და ძირი გაუმაგროს.

სიცოცხლე არის მოძრაობა; მოძრაობა არის
ბრძოლა. რაც არ მოძრაობს და არ იბრძვის, ის ან
გაქვავდება და ან ტბათ იქცევა და აყროლდება.

ახალი აზრის და ცხოვრების დაბადებას, უე-
ჭველია, ადრე თუ გვიან მოსდევს სიკვდილი ძვე-

ლისა, მაშასადამე ბრძოლა, იმიტომ, რომ თავის
ნებით სიცოცხლეს არავინ შორდება.

რა დროს მოისპობა ბრძოლა და ომიანობა?
მაშინ, როდესაც კაცობრიობას, აგრეთვე ყოველ
ცხოველს მოესპობა სურვილი თავის მდგომარეო-
ბის გაუმჯობესობისა, მოკლედ რომ ვთქვათ: ან
სიცოცხლე და მიუცილებელი ბრძოლა, ან სამარა-
დისო მშვიდობა საფლავსა შინა!

ქ. მიწკი 1897 წ. 29 იანვარი.



ა. ნ.

ბარათზე პასუხი.



დეს, ესე იგი, 9 მარტს მივიღე ბარათი
თქვენგანით, მაგრამ არ გეგონოსთ, რომ
მე იმას ისე გავეკვირვებო, როგორც თქვენ ჩემ
ბარათს გაუკვირვებინართ! არ გაუვუკვირვებიათ
იმისთვის, რომ ეს საზოგადო კანონია: თუ ერთხელ
კაცმა თავი დაიმდაბლა, მაშინ იმას თავში ადვილათ
ჩაუკაკუნებენ, ე. ი., დაბალ ლობეს ადამიანი ადვი-
ლათ გარდახტება. თქვენ ეს ანდაზა კარგათ იცით,
და იმისთვისაც არის, რომ ფილოსოფიურათ გაფუ-
ფუნებული სიტყვები ჩაგიკერებიათ თქვენის გაშხა-

მებულ ბარათში, როგორც მაგალითად: „ვისაც ცოტაოდენი თავმოყვარეობა არა აქვს, ის ან სულელია და ან სულმდაბალი. და მე, მართალი მოგახსენო (ტყუილს ბრძანებო, ვინ გეუბნება?) არც ერთად თავი არ მიმაჩნია.

თქვენ იწერებით: „ვინ გინდათ, რომ მოგეტყვილებინათ თქვენ, რათ იქცევით ასეო და სხვები. მართალი ვარ მე, თუ მტყუანი იმაში, რომ ბარათი მე თქვენ ორჯერ გამოგიგზავნეთ, ამის განმეორებას საჭიროთ არ ვრაცხავ. მხოლოდ ვილაპარაკებ თქვენთან სხვა საგანზე.

ღაფიქრდი კარგათ! ესთქვათ, მე ყველაფერში დანაშაული ვარ: არც ბარათი მომიწერია, არც თქვენის თხოვნისათვის ყურადღება მიმიქცევია, არც ერთი და არც მეორე. ერთის სიტყვით, თქვენ სრულებით დავიწყებისათვის მიმიციხართ. ამით უნდა გათავებულყო საქმე, რადგანაც მე ჩემ მოქმედებაში არავისთან ვაღდეგებული არა ვარ, რომ ანგარიში მივსცე. მაშ რა მიზეზია, რომ მე, როგორც მონა მებატონესთან, მოვდივარ და თავს ვიპართლებ თქვენთან? ალბათ რამე უნდა იყოს ჩვენს შორის ისეთი, რომელიც მე ასე თავს მამდაბლებინებს თქვენს წინ. მაგრამ ის არის სამწუხარო და ძნელი ჩემთვის, რომ შენ ეს რამე არ გესმის და იმ რამეს ვერა გრძნობ, იმიტომაა, რომ შენ ამნაირ სიტყვებს თავზე მაყრი: „ურცხვათ (нахально) სცრუობს“, „თქვე-

ნისთანა უზრდელი და უხასიათო კაცის ყოფაქცევა“... და სხვა და სხვა.

მართალი ვარ მე თქვენთან, თუ არა, — ამის პასუხს მე მხოლოდ ჩემ სვინიდიის ვაძლევ და თქვენგანით მე მოველოდი სხვა რასმე! მე ასე მეგონა, რომ თუნდ დამნაშავე ვყოფილვიყავ, თუნდ ხასიათით გაფუჭებული ვყოფილვიყავ, თუნდ გავრყნილვიყავ, თუნდ უგუნურობის ტალახში ჩავფლულვიყავი, მაინც შენგანით ხელის გაწვდენას მოველოდი. ნაცვლათ ამისა, თუნდ ერთი იოტისოდენა მიზეზისათვის თლათ ხელის აღება, ლანძღვა და შეუპოვარი საყვედური!... უფრო მეტსაც გეტყვით: მე ჯერ არ მახსოვს თქვენგანით ისეთი ბარათი, რომელშიაც ერთი ნაპერწკალი სულის და გულის გამათბობელი ყოფილიყოს; მაგრამ ის ნაპერწკალი, ეტყობა, ისეთი რამ არის, რომლის ანთება შენს გულში მე ვერ შემძლება. იმისთვისაც არის, რომ შენთვის ასე ადვილია ჩემთვის წკიპარტის კვრა. თქვენ ისაყვედურებით, ვითომც მე ერთგული მოსამსახურე ვარ და სხვები კი შენიშნული არიან და ამ შენიშნულებს თქვენ ძლიერ თანაუგრძნობთ... მე ვისი ერთგული ვარ და ვისი მტერი, — ესეც ჩემ სვინიდიისზე ჰკილია; მე არა თუ კაცთან, ღმერთთანაც შემძლია გულწრფელათ ვსთქვა, რომ ჩემი სამშობლოსთვის თავი მისდღეში არ მეშურება მაშინ, როდესაც ეს ნამდვილი საჭიროება იქნება. მაგრამ ქუთათურ ლიბერა-

ლობით შეფეთქილი, მართალია, არა ვარ და ჩემ გრძნობას უთაებლოვით არა ვყვირი მარტო იმისთვის, რომ მართებლობამ შემნიშნოს...

თქვენი ბარათი ამტკიცებს, ვითომც მე კარგათ ვქამ, კარგათ მძინავს, თეთრი ლაიკის „ფერჩატკები“ მაცვია და არავის ვეხმარები. თქვენა გგონიათ, რომ ჩემი ორი ძმა მანდაურ გემნაზიაში და ერთი დის-შვილი სწორეთ ისე მაღაზიების შემოსავლიდან იზრდებიან, როგორც თქვენა და თქვენი ძმა გამოიზარდეთ. ქუთათური ლიბერალობა ამბობს, რა საჭიროა ძმისა და ნათესავის მოხმარება; იმას უნდა მოეხმაროს ადამიანი, ვინც უფრო ნიჭიერიაო. ვერ ვიტყვი, რომ ეს ცუდი აზრი იყოს; მაგრამ მე აქ ქუთათურ ლიბერალობამდე ჯერ არ მიმიღწევია. ლაიკის „ფერჩატკებზე“, ბალებსა და „ვეჩერებში“ ყოფნაზე და კავალრობაზე რა უნდა ვსთქვა?! თქვენ როგორ ფიქრობთ: თვეში ერთხელ საზოგადოებაში გამოსვლა, ხალხის გაცნობა, ზოგიერთ თავის აზრის სხვისთვის გარდაცემა და სხვისი აზრის გაგება— ეს ყმაწვილ კაცისთვის საჭირო არ არის ვითომ? თქვენის, ე. ი., ქუთათურ ლიბერალობის აზრით, თუ ვინმე „ნაჩალნიკის“ ცოლია, ის კარგი ადამიანი არ უნდა იყოს. იმასთან კავალრობა თქვენ სხვანაირ კავალერობათ მიგაჩნიათ; ვინც ქუთაურათ არ ლიბერალობს, ის კარგის აზრის ადამიანი არ უნდა იყოს... ერთის სიტყვით, იმერულ თავმოყვარეობით

რომ ვსთქვათ, „ვინც ჩვენისთანა არ არის, ის აბუ-
ჩი არ უნდა იყოს.“

ჩემის აზრით, აბუჩი არ არის, ვისაც თავისი
აზრი არა აქვს და რასაც ჩაუჭურჩულებენ, წალმა-
უკუღმა იმას როტავს შოშიასავით; არავიზე რწმუნე-
ბა არა აქვს, ნამეტანი თავმოყვარეა, თავისი შეც-
დომა ბუზად მიაჩნია და სხვისი-კი—სპილოდ.

მართის სიტყვით, თქვენი ბარათი იმერელ დე-
დედაკაცს მაგონებს (უკაცრავათ), რომელიც გამოდ-
გება, დაუწყებს გინებას, თუ ვინმე ხელში ჩაიგ-
დო და იმოდენს ხანს აგინებს, სანამ გულს არ და-
იმწვიდებს და შემდეგ ამბობს თავისთვის: „მოგეცა
ღვთის წყალობა, მე ის შევთელე!.. ჰე!.. ჯანდა-
რაში გავარონიე, ვირზე შევაჯინე და ისე გავუ-
შვიო“...

ჩემის აზრით, ესეც კარგია, რომ ჩემმა ბარათ-
მა, რადგან სხვითი ვერ გასიამოვნათ, დაგამწვიდათ
მაინც იმ იმერელ ქალსავით. ამას ამტკიცებს თქვენ
უკანასკნელი სტრიქონები, რომელშიაც თქვენ
მირჩევთ, თუ ბარათი მოგწეროთ, ტყვილებს თავი
დავანებო; მაგრამ ვინ გაგაბედვინებს ჩემთან ბარათის
მოწერას, დაგიშლიანო!..

ჯერ, არ მგონია, რომ გაჩენილიყოს ისეთი
ადამიანი, როგორსაც ჩემთვის ის ექნევიანებინოს,
რაც მე არა მსურს და თუ არ მოგწერთ, იმისთვის
რომ ჩემი ბარათი თქვენ გარდა უსიამოვნებისა, არა-

ფერს მოგიტანსთ, როგორც ვხედავ. მაშასადამე, ვე-
ცდები ეს ქირი ავაშოროთ.

მხოლოდ თუ ამ ბარათში რამე უკადრისი
იყოს, დააბრალეთ თქვენს ბარათსვე, რადგანაც ეს
მისი პასუხია; მაგრამ მე მაინც ბოდიშს ვიხდი თქვენ-
თან, თუმცა თქვენ თქვენის იმერულ ფხუკიან ხა-
სიათით ბოდიშსაც არ მიიღებთ. ეს მე ვიცი. მაგრამ
ჩემი სურვილია და ასე ვშვრები.

Chacun a'muse csmme il veut et chacun a son
gout.

ნაღბანდი 1877 წ. 12 მარტს.



გიგო დიდიასთან მიწერილი წერილი.

ძვირფასო მეზობელო და ძმაო!



ირველად ყოვლისა მოგილოცავ ახალს
წელს და ღმერთსა ვსთხოვ, მეზობლუ-
რათ, მშვიდობა და კეთილი ცხოვრება მოგანი-
ქოს. დიდათ მოხარული ვარ, რომ წრეულს
თქვენ გაგიცანით და დავრწმუნდი, რომ ჩვენი
რიონის პირიდანაც გამოდიან პატროსანი მოღვაწე
და მუშა კაცები. თუ ჩემს ამბავს იკითხავ, მე უნ-
და მოგახსენო, რომ შორიდან გლახათ ვჩანვარ

და ვითომ ჩემი ნოტიანი და კონკყო სამშობლო
დავიწყებული მქონდეს; მაგრამ, ჩემო ბატონო გი-
ორგი, ეს იმისთვის მომიხთა, რომ საწყალი მამა ჩე-
მი პატარაობიდან მარიგებდა: „შვილო შორი გზა
გამოიარე, ოღონდ-კი შინ მშვიდობით მოდიო.“ ასეა
ჩვენი საქმე! ამას იმიტომ მოგახსენებ, რომ მე ჩვე-
ნებური ტალახი ბევრათ მირჩევნია მარმალილოს
ქვით მოგებულ ტროტუარებს. ეს მიზეზია,
რომ ეს ბარათი თქვენ გაწუხებს, როგორც ადგი-
ლობრივ გამოცდილ კაცს. კარგათ ამიხსნით მე
და, ვინც კი საჭიროთ ვნახავთ ვიხმაროთ ლონის-
ძიება, რომ რიონის მცხოვრებ ხალხს მისვლა-მოსვ-
ლა გავუფოთ, შევუმსუბუქოთ და რიონში პარა-
ხოდი მოვაწყოთ. ეს მისცემს, ჩემის აზრით, დიდ
შემწეობას ხალხს, როგორც ადებ-მიცემაზე, შვი-
ლების გამოზრდაზე და აგრეთვე მამულების ღირ-
სებასაც ასწევს და სხვა ათასი რამე. მე ჯერ ჯერო-
ბით შორსა ვარ, თქვენ ახლოს, მე ადგილობრივი
გარემოება, იქნება, ნაკლებათ ვიცი, თქვენ—გამო-
ცდილი ადგილობრივი კაცი ხართ და უფრო
გაქვრეტო საქმეს.


ჩემის აზრით პირველ წელს, სანამ ხალხი
მიჩვეული არ იქნება, „პარახოდს“ დიდი შემოსავალი
არ ექნება; მაგრამ ამან არ უნდა შეგვაწუხოს და
შეგვაშინოს; თანდათან იმატებს მოთხოვნილება და
საქმეც. უმორჩილესათ გთხოვთ ამ ჩემ აზრს და

თხოვნას ყური უგდოთ და ეცადოთ ეს საქმე გავაწყლოთ. ყოველგვარ შემწეობაზე თანახმა ვარ. თუ გინდათ, შევადგინოთ კომპანია; თუ გინდა, მარტო ჩვენ ავიღოთ და ვითაოთ. ერთის სიტყვით, როგორც გინდა საშვალემა, ისეთს მივმართოთ.

ჩემს ძმას ალექსანდრეს მე განცხადება დავუტოვე ამის თაობაზე, ჩემის ხელით დაწერილი, რომელიც უნდა დაებეჭდა და ჩვენს სოფლებში გაეგზავნა. ამას გარდა, გუბერნატორთანაც თხოვნა დავუტოვე, იქნება, ფოთის პარახოდს საშვალემა მისცეს, რომ რიონში ამუშავოს. ეს ფოთის პარახოდის საქმე მისი საქმე კი არ არის; მაგრამ შემწეობა კი შეუძლია მისცეს, რადგან სოფლებს გზა არა აქვს და ფულს კი ახთევენებენ.

თქვენგანით პასუხს ველი, ამიტომ რომ თქვენ შემპირდით მაცნობოთ ყოველივე გარემოება ფოთის პარახოდის თაობაზე და სხვა თქვენი აზრებიც ამ საგანზე. მე ჯინიანი კაცი ვარ და თუ რამე აზრი ჩამიჯდა, იმას არ მოვშორდები, სანამ იმის უსაფუძვლობას და უსარგებლობას არ დამიმტკიცებენ თქვენისთანა გამცოდელი კაცები.

მე რომ ქალადიდს ვიყავი, აი რა აზრები მომივიდა. რომელიც იქვე ლექსათ გამოვთქვი.



७५५० ७५ ५५३.

७